ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ დამდეგ 2014 წელს

ეპიცენტრი მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
31 დეკემბერი **სამშაბათი** 2013
№305 (14 221) ფასი 80 თეთრი



## არ მოგენატრათ ქართული ფეხბურთის სადღეგრძელო?

2



## უკრაინა, მოვდივართ!

12



## ბევრი ტიტული მინდა

10



## გიორგი ლორიას საახალწლო სურვილები

3



## სანტას წერილები იტალიიდან

6

# ლელოს რჩეული



29 დეკემბრის ჩათვლით „ლელომ" ჩაატარა ტრადიციული საახალწლო გამოკითხვა წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 5 311-მა მკითხველმა. ისევე, როგორც 2011 წელს, ჩვენი გაზეთის მკითხველთა რჩეული გახდა მორაგბე **მამუკა გორგოძე**. აღსანიშნავია, რომ პირველ სამეულში სწორედ მორაგბეები მოხვდნენ, რაც ჩვენში სპორტის ამ სახეობის დიდი პოპულარობის მაჩვენებელია.

გამოკითხვაში მონაწილეთა ხმების შეჯამებით ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| **1. მამუკა გორგოძე (რაგბი)** | **1407** |
| 2. მერაბ კვირიკაშვილი (რაგბი) | 1218 |
| 3. მერაბ შარიქაძე (რაგბი) | 708 |
| 4. სალომე მელია (ჭადრაკი) | 547 |
| 5. ნინო სალუქვაძე (სროლა) | 356 |
| 6. ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო) | 174 |
| 7. გურამ კაშია (ფეხბურთი) | 139 |
| 8. ჯაბა კანკავა (ფეხბურთი) | 135 |
| 9. გიორგი ლორია (ფეხბურთი) | 115 |
| 10. გენო პეტრიაშვილი (ჭიდაობა) | 67 |

*ლაურეატის დაჯილდოება 2014 წლის აპრილში, „ლელოს" დაარსებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იგეგმება.*

**ლელოს მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 იანვარს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2013 წლის მონაგარი

**იანვარი**


ირაკლი უზნაძე

**3. ძიუდო.** ფედერაციამ ნაკრების ახალი მწვრთნელი წარადგინა - **ირაკლი უზნაძე.**

**8. ჭიდაობა. ლუკა კურტანიძემ** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელად **ზაზა თურმანიძის** ნაცვლად **რეზო მინდორაშვილი** დანიშნა.

**9. ზოგადი.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენად ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** დაასახელა; საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი **ამირან იანვარაშვილია** (სამბო); გუნდი - ფეხბურთელთა 17-წლამდელების ნაკრები; სპორტული ფედერაცია - რაგბის კავშირი; მწვრთნელი - **ნიკოლოზ ბიბილაშვილი** (ძიუდო).

**18. წყალბურთი.** გადაწყდა, რომ ეროვნულ ნაკრებს ვლადიმერ **ისელიძე** გაწვრთნის.

**24-26. ფიგურული ციგურაობა.** ევროპის ჩემპიონატზე **ელენე გედევანიშვილმა** მე-14 ადგილი დაიკავა, ხოლო **ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას** წყვილმა - მე-20.

**26-27. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ირაკლი შავაძე** (50 კგ), **ედნარ შავაძე** (55), **ხვიჩა ჭითავა** (60), ფირუზ წულუკიძე (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **კუკური კირცხალია** (96) და **იაკობ ქაჯაია** (120).

**27. კალათბურთი.** საქართველოს თასი „შსს აკადემიამ" მოიგო.

**27. სუმო.** იანვრის ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი).

**31. ზოგადი.** „ლელომ" 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენი (მკითხველის გამოკითხვით) **ლაშა შავდათუაშვილი** დააჯილდოვა.

**თებერვალი**

**2. რაგბი.** ერთა თასის 1 ტურის მატჩში საქართველომ სტუმრად დაამარცხა ბელგია - 17:13.

**2. კალათბურთი.** თურქულ „გალათასარაიში" დებიუტი ჰქონდა **მანუჩარ მარკოიშვილს.**


მანუჩარ მარკოიშვილი

**2-3. ძიუდო.** თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი - ევროპის თასი. პირველობა ქართველებიდან წილად ხვდა **ადამ ოქროუაშვილს** (100+ კგ), ვერცხლის მედალი მოიპოვა **ლაშა გურულმა** (100), ბრინჯაოს მედლები მოიგეს: **ამირან პაპინაშვილმა, პაატა მერებაშვილმა** (60), **ტრისტან ფეიქრიშვილმა** (66), **ლაშა ტაველურმა** (90), **დავით ლორიაშვილმა** (100), **გიორგი ზაქარიაძემ** (100+).

საფეხბურთო 2013

# ქართული ფეხბურთის სადღეგრძელო არ მოგვენატრათ?

...უკვე მერამდენე წელია, როცა საფეხბურთო წელიწადს ვაჯამებთ-ხოლმე, ფაქტობრივად, ერთი და იგივეს ვიმეორებთ: „განვლილ წელიწადში იმედგაცრუება სჭარბობდა სიხარულს; თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალი წელიწადი უკეთესი იქნება და ქართულ ფეხბურთსაც ზეობის პერიოდი დაუდგება!"

ჰო, ასე გრძელდება ორ ათეულ წელიწადზე მეტჯერ, და ახლაც, ძველი და ახალი წლების მიჯნაზე, თითქმის იგივეს გამეორება გვიწევს: 2013 წელს ქართული ფეხბურთისათვის წარმატებულს ვერ ვუწოდებთ (თუმცა, რამდენიმე გამონათება მაინც იყო) და იმედი ვიქონიოთ, რომ 2014 წელი ჩვენი ფეხბურთისათვის ბევრად უფრო წარმატებული და, რაც მთავარია, აღმავლობის დასაწყისის პერიოდი ყოფილიყოს!

ზუსტად ერთი წლის მერე, სიამაყით გვეთქვას თუ აგვეღნიშნოს: ქართულ ფეხბურთს მსგავსი წარმატებული წელიწადი არასდროს ჰქონიაო! თანაც, არა მხოლოდ „ლელოს" ფურცლებიდან გვეთქვას, - ქართული ფეხბურთის სადღეგრძელოც (გინდა - „განსხვავებული" სასმისით, გინდა - „წელში გამოყვანილი" ჭიქით) შეგვესვას!

თუმცა, სადღეგრძელოები ამ დღეებშიც „გვეყოფა", მანამდე კი გასული საფეხბურთო წელიწადი შევაფასოთ - ქართველ გულშემატკივარში, ტრადიციულად, გაორებული შთაბეჭდილება რომ დატოვა...

## ეროვნული ნაკრები: პრეტენზიების წელიწადი


საქართველოს ნაკრებს საფრანგეთთან კარგი თამაში გამოუვიდა

...არცთუ შორეულ წარსულს გაგახსენებთ, როცა მართლაც საამაყოდ გვქონდა საქმე: 2010 წელი საქართველოს ნაკრებმა ხომ წაუგებლად დაასრულა! ჰოდა, ყველანი რომ უფრო უკეთესის მოლოდინსა თუ ახალ-ახალი წარმატებების იმედად ვიყავით, აი, სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი უპირველესი გუნდის უკუსვლა.

სამწუხაროდ, 2013 წელს იმედგაცრუება სჭარბობდა ჩვენი ნაკრების შედეგებისა თუ თამაშის ხარისხიდან გამომდინარე: 8 მატჩიდან 1 მოგება, 1 ფრე და 6 წაგება (ბურთების სხვაობა - 5:14) არც ერთი „თავმოყვარე" გუნდის აქტივში ნამდვილად ვერ ჩაითვლება. თანაც, ის ერთადერთი მოგებაც (მართალია, სტუმრად, მაგრამ, მაინც...) ამხანაგურ შეხვედრაში, წლის დასაწყისში ალბანეთის ნაკრებთან გვქონდა.

თუმცა, მხოლოდ ციფრებში როდია საქმე: წინა წელს დაწყებული შესარჩევი ციკლი ხომ სწორედ 2013-ში უნდა დასრულებულიყო და რა შედეგიც მივიღეთ, ყველას კარგად მოეხსენება! ჰო, ხუთგუნდიან ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასვლას, ზოგიერთებისგან განსხვავებით, ჩვენ „წინსვლად" ნამდვილად ვერ შევაფასებთ.

ოღონდ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 2013 წელს ჩატარებული ოთხი ოფიციალური მატჩიდან ორი საფრანგეთთან გვქონდა და ერთიც - ესპანეთთან; ანუ, 2013 წლის დასაწყისში არავის გვქონდა იმის ილუზია, რომ მართლაც სასწაული მოხდებოდა და საქართველოს ნაკრები თუნდაც მეორე ადგილისათვის იბრძოლებდა - ჩვენთვის ეს უკანასკნელი შესარჩევი ციკლი ხომ, ფაქტობრივად, 2012 წლის შემოდგომაზე დასრულდა, როცა ჩვენი „კალიბრის" მეტოქეებთან (ფინეთთან და ბელარუსთან) სტუმრად ჩატარებულ ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ.

იდეალური ვარიანტი მაშინ, რაღა თქმა უნდა, 6 ქულა იქნებოდა, თუმცა ოთხ ქულაზეც არავინ ვიქნებოდით უკმაყოფილონი, მაგრამ როცა ჯგუფში საფრანგეთი და ესპანეთი გყავს და დანარჩენ ორ გუნდთან ურთიერთდაპირისპირებებში რომ ვერ იყოჩაღებ, მაშინ პრეტენზია არაფერზე უნდა გვქონდეს.

..."პრეტენზია" ვახსენეთ და, სამწუხაროდ, ეს სიტყვა თითქმის მთელი წლის განმავლობაში ყველაზე... აქტუალური იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან მიმართებაში; ჰო, აქეთ, ქართულ სპორტულ მედიას ჰქონდა პრეტენზიები ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიმართ, თუმცა არანაკლები კი არა, ლამის უფრო „საპასუხო" პრეტენზიებს ვისმენდით ქართველი ჟურნალისტები საქართველოს ეროვნული თავკაცის მხრიდან; ალარაფერს ვამბობთ ამაზე ბევრად უსიამოვნო და არასასურველ ფაქტ(ებ)ზე, როცა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი საჯაროდ (ოღონდ, დაუსწრებლად) უყენებდნენ ერთმანეთს პრეტენზიებს.

არადა, ზემოთ რომ 2010 წელი ვახსენეთ, მაშინაც (ისე როგორც - 2013 წელს) ხომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** გახლდათ! სხვათა შორის, თემურ ქეცბაიას საამაყოდ მაინც აქვს საქმე: ერთადერთი მწვრთნელია, ვინც საქართველოს ნაკრებს ზედიზედ ორ შესარჩევ ციკლში უხელმძღვანელა!

ამას გარდა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ და მართლაც ჯიგრიან მოთამაშეს თემურ ქეცბაიას 2014 წელს ახალი მიღწევაც ელოდება: კიდევ სამი მატჩი და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით **ალექსანდრე ჩივაძის** რეკორდსაც დაამხობს!

## სასიამოვნო გამონათება

საბედნიეროდ, წელიწადს ქართულ ფეხბურთში სასიხარულო ფაქტებიც გვხვდებოდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების წარმატებული ასპარეზობებით იყო განპირობებული; რაც მართალია, მართალია: საქართველოს ასაკობრივმა ნაკრებებმა უკვე ისე გაგვანებივრეს ლამაზი გამარჯვებებით, რომ ლამის არის, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა კი არა, რომელიმე სინჯის მედალის მოპოვებაც მოვითხოვოთ! ჰო, ფინალურ ეტაპზე მოხვედრა უკვე „სავალდებულოდაც" გავუხადეთ ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს, არადა, ხანდახან „გვავიწყდება", რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კონტინენტის 8 საუკეთესო გუნდი გადის!

სწორედ ასეთ წარმატებას მიაღწია 2013 წლის მაისის ბოლოს ჩვენმა 19-წლამდელთა ნაკრებმა, როცა ბელგიაში ჩატარებულ ელიტ-რაუნდში მასპინძლების, ინგლისელების და შოტლანდიელების „გარემოცვაში" ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა!

**გია ცეცაძის** შეგირდებმა პირველი მატჩი ინგლისელ თანატოლებთან ფრედ (1:0) ითამაშეს, მერე იყო მართლაც სასწაული შეხვედრა შოტლანდიასთან, როცა 9 ფეხბურთელით (!) მოასპარეზე ჩვენმა ბიჭებმა მაინც შეძლეს მეტოქის დამარცხებაც (3:1) და უაღრესად ტენდენციურ მსაჯობასთან გამკლავებაც; თუმცა მთავარი წინ იყო: დისკვალიფიკაციების გამო ლამის „განახევრებულმა" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გადამწყვეტ მატჩში მასპინძლებს, ბელგიელებს მოუგო და კონტინენტის 8 საუკეთესო გუნდშიც მოხვდა. სამწუხაროდ, ლიტვაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთი და კიდევ უფრო მასშტაბური სასწაული არ მოხდა: საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში ვერ გავიდა...

...ეს ყველაფერი წლის პირველ ნახევარში იყო, შემოდგომაზე კი კიდევ ორი კარგი ამბავი გველოდა: ჯერ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი - **ნოდარ აკობია**) გაგვახარა, მერე კი - ახალი ფორმაციის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი - **ვასილ მაისურაძე**); შეგახსენებთ, რომ ამ ორივე ნაკრებმა მომავალ წელს გასამართი ელიტ რაუნდის საგზური მოიპოვა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი ვასილ მაისურაძის დამოძღვრილი 19-წლამდელების ჩინებული თამაში იყო: ჩვენმა 19-წლამდელებმა ჰოლანდიელ, მოლდოველ და უელსელ თანატოლებთან სასურველ შედეგთან ერთად ლამაზი სანახაობაც შემოგვთავაზეს. სამწუხაროდ, გასული წელი წარუმატებელი გამოდგა საქართველოს ახალგაზრდული (21-წლამდე) ნაკრებისათვის: ალექსანდრე ჩივაძის გუნდს, ფაქტობრივად, თეორიული შანსიც აღარ დარჩა პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## დინამო, რონალდო და შევჩენკო

საქართველოს ჩემპიონატზე რა უნდა ვთქვათ: ხვალ ახალი წელია და უმაღლესი ლიგის 12 კლუბიდან, ალბათ, ერთი-ორგან თუა დაგეგმილი მოსამზადებელი პერიოდისა და სავარაუდო ტრანსფერების ამბავი. ამ გუნდების უმრავლესობა კი სრულ გაურკვევლობაშია: რა ბიუჯეტი ექნებათ, რა კონტიგენტი ეყოლებათ და ასე შემდეგ; ისე კი, 2013 წელი (ევროტურნირებს თუ არ ჩავთვლით) განსაკუთრებული იყო თბილისის „დინამოსათვის": ჩეხი სპეციალისტის, **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ხუთწლიანი პაუზის მერე საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, ათწლიანი პაუზის შემდეგ კი „დუბლიც" შეასრულა!

თუმცა, შიდა ასპარეზზე „ტრიპლეტის" გაკეთება ველარ შეძლო: ჩვენში უკვე ტრადიციასავით დამკვიდრებულ, დეკემბერში (!) ჩატარებულ სუპერთასზე „დინამოს" ხელი მოეცარა. სამაგიეროდ, კლუბის ისტორიაში პირველი ტიტული მოიპოვა სოსო ფრუიძის „ჩიხურამ"...

...ისევ „დინამოზე", გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ: სწორედ წლეულს მოხდა, რომ საბოლოო სახე მიიღო კლუბის მართლაც ჩინებულმა საწვრთნელმა ბაზამ; თუმცა, „დინამოს" პრეზიდენტს **რომან ფიფიას** სამადლობელი ბევრად უფრო მასშტაბური და საშვილიშვილო საქმისათვის ეკუთვნის: ამ ზაფხულს ხომ ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს" ბავშვთა საფეხბურთო აკადემია გაიხსნა, რომლის ანალოგიც, გვერწმუნეთ, ევროპაში ბევრი ნამდვილად არ იქნება. თანაც, ამ აკადემიის გახსნაზე ხომ ახლო წარსულისა და თანამედროვეობის ორი ვარსკვლავიც გვესტუმრა: უკრაინელი **ანდრეი შევჩენკო** და პორტუგალიელი **კრიშტიანო რონალდო!**



მარცხნიდან: რომან ფიფია, კახა კალაძე, კრიშტიანო რონალდო, ანდრეი შევჩენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო 2013

## ჩვენ და ევროტურნირები

2004 წელს, გია გეგუჩაძის განვრთნილმა თბილისის „დინამომ" რომ უეფას თასის (დღევანდელი - ევროპა ლიგის) ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა, აი, ეს შედეგი კვლავაც ერთადერთ წარმატებად რჩება დამოუკიდებელი ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში. გამონაკლისი არც წლევანდელი ზაფხული იყო, თუმცა, ევროტურნირებზე მოასპარეზე ოთხივე ქართული გუნდის გამოსვლა, რალა თქმა უნდა, არაერთგვაროვნად უნდა შეფასდეს.

უპირველეს ყოვლისა, „დილას" ასპარეზობა უნდა აღვნიშნოთ: ისე როგორც ერთი წლის წინათ, **გიორგი დევდარიანის** დამოძღვრილ გორელთა გუნდს ცოტა დააკლდა ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. „დილა" ერთადერთი ქართული გუნდი იყო, წლევანდელი ევროტურნირები დადებითი ბალანსით რომ დაამთავრა: 6 მატჩი, 3 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება (ბურთების სხვაობა - 5:4). აქვე, „დილას" იმ წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედიც უნდა ვახსენოთ: **ნუკრი რევიშვილმა** დანიურ „ოლბორგთან" და ხორვატიულ „ჰაიდუკთან" ისე იასპარეზა, როგორც მაღალი დონის მეკარეს შეეფერებოდა!


გორის დილამ ევროტურნირებზე სასიამოვნოდ გაგვაოცა

ქართველი გულშემატკივარი, ალბათ, უფრო მეტს მოელოდა ერთწლიანი პაუზის მერე ევროტურნირებზე დაბრუნებული თბილისის „დინამოსგან"; პირველ ბარიერს რომ ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი უპრობლემოდ გაივლიდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა და ასეც მოხდა: ფარერების „სტრეიმურს" ორივე მატჩში უპრობლემოდ მოუგო (6:1, 3:1), მაგრამ აი, მომდევნო მეტოქესთან პაექრობამ ყველას დაგვანახვა, თუ რა მდგომარეობაშია დღესდღეობით ქართული საკლუბო ფეხბურთი; ყოველ შემთხვევაში, რუმინულ „სტიაუსთან" და განსაკუთრებით, შემდეგ, ევროპა ლიგაზე გადანაცვლებისას ინგლისურ „ტოტენჰემთან" მატჩებში ნათლად გამოჩნდა, რომ ვიდრე ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება, საერთაშორისო ასპარეზზე რაიმე წარმატებაზე არც უნდა ვიფიქროთ.

სამწუხაროდ, წლევანდელ ევროტურნირებზე „დინამომ" ერთი ანტირეკორდიც დაამყარა: გუნდს აქამდე არასდროს წაეგო საშინაო მატჩი ხუთბურთიანი სხვაობით...

ევროტურნირების დებიუტანტ „ჩიხურასგან" ბევრს არც არავინ მოელოდა, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** გუნდმა ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გადალახა, აი, მეორეში კი შვეიცარიულ „თუნთან" ვერაფერს გახდა. ასევე წინასწარ განწირულად მიგვაჩნდა ჩვენი მეოთხე წარმომადგენლის ასპარეზობაც: ევროტურნირების წინ „ტორპედო" ხომ ერთიანად გაახალგაზრდავდა და სლოვაკურ „ჟილინასთან" ორრაუნდიან დაპირისპირებაში ქუთაისელთა საყვარელ გუნდს რომ შანსი არ ექნებოდა, ყველასათვის ცხადი იყო და ასეც მოხდა.

## კალაძე, იაშკა, კობი...


კახა კალაძე


ლევან კობიაშვილი


ალექსანდრე იაშვილი

2013 წლის 31 მაისს თბილისში, ჩვენს უმთავრეს საფეხბურთო არენაზე ვარსკვლავთცვენა იყო! ერთ მხარეს - **პაოლო მალდინი, ფრანკო ბარეზი, ფაბიო კანავარო, ანდრეი შევჩენკო, ლუკა ტონი, ზვონიმირ ბობანი, ფილიპო ინძაგი,** მეორე მხარეს - **გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, გოჩა ჯამარაული, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე, გიორგი დემეტრაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი!** თუმცა, იმ ლამაზი, მაგრამ მაინც სევდიანი სალამოს მთავარი მოქმედი პირი მაინც სხვა გახლდათ: დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ყველაზე წარმატებულმა მოთამაშემ **კახა კალაძემ** თავისი გამოსათხოვარი მატჩი მართლაც რომ ზღაპრულად მოაწყო!

აი, როგორც თვითონ ჰქონდა ზღაპრული კარიერა, სწორედ ისე! კალაძის შთამბეჭდავ კარიერაზე ბევრს არ ვილაპარაკებთ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ გვინდა დავსვათ უკვე არაერთგზის ხსენებული კითხვა: ნეტავ, როდის იქნება, როცა ქართველი ფეხბურთელი სერია A-ში ათ სეზონს ჩაატარებს (თანაც, გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელის სტატუსით)?

აი, მეორე კითხვას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში კი, ვფიქრობთ რიტორიკაც უადგილოა: როდის მოვა ის დრო, როცა ესა თუ ის ქართველი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგას ორჯერ მოიგებს! ვერ გეტყვით, ჩვენი პირველ-მეორე კითხვა (გნებავთ - სურვილი) როდის აგვისრულდება, მაგრამ დღესდღეობით იმით უნდა ვიამაყოთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენმა თანამემამულემ, **კახა კალაძემ** შეძლო!..

...**კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი,** - თითქმის თანატოლებმა, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე დროს „შემოაბიჯეს" დიდ ფეხბურთში: ჯერ - თბილისის „დინამოში", მერე - საქართველოს ნაკრებში; ამასობაში, ამ მართლაც კაცების „სამეულმა" საკლუბო კარიერაც გაიკეთა: კალაძემ კიევის „დინამოს" გავლით „მილანს" მიაშურა, კობიაშვილი რუსულ „ალანიაში" შთამბეჭდავი სეზონის მერე დღემდე (!) გერმანიაშია, იაშვილი კი ასევე გერმანიაში გატარებული 17 (!) სეზონის შემდეგ დღესაც აგრძელებს თავის ისედაც ჩინებულ საკლუბო კარიერას.

ჰო, 2013 წლის ყველაზე „საინტერესო" ქართული ტრანსფერი, რალა თქმა უნდა, „იაშკას" გერმანიიდან წამოსვლა და აზერბაიჯანის ყველაზე ქართულ გუნდში, ბაქოს „ინტერში" ჩარიცხვა იყო. არადა, ვინც ერთხელ მაინც მიადევნა თვალი „ინტერში" იაშვილის თამაშს, დაგვეთანხმება 37 წლის ფეხბურთელის ყველასათვის მისაბაძ პროფესიონალიზმში! ისე, როგორც ჩვენ ვეთანხმებით „ინტერის" ქართველ თავკაცს **კახა ცხადაძეს,** ამას წინათ გაზეთ „ყველა სიახლესთან" ინტერვიუში რომ განაცხადა: იაშვილის დონის ფეხბურთელს აზერბაიჯანის ჩემპიონატში ჯერ არ უთამაშიაო! ვის-ვის და, კახა ცხადაძეს აზერბაიჯანული ფეხბურთი არ ესწავლება: ქართველი სპეციალისტი უკვე მეხუთე სეზონია ჩვენს სამეზობლოში წარმატებით მოღვაწეობს და ლეგიონერ მწვრთნელებს შორის ყველა რეკორდიც მოხსნა...

...და ბოლოს, **„კობი"!** ერთადერთი ქართველი ფეხბურთულია, ტოპ-ლიგაში (თანაც, რომელში - ბუნდესლიგაში) რომ თამაშობს! ჰო, თამაშობს, კი არ ირიცხება: წლეულს გაზაფხულზე, სწორედ ლევან კობიაშვილის უდიდესი დამსახურებაც იყო, ბერლინის „ჰერტა" ერთწლიანი პაუზის მერე ბუნდესლიგას რომ დაუბრუნდა!

ჰოდა, „კობიც" დაბრუნდა და 36 წლის ასაკში ერთი-ორი ისეთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა, გულგრილი რომ ვერავინ დარჩებოდა! ლევან კობიაშვილს ბუნდესლიგაში 340 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ მაჩვენებლით, ბუნდესლიგის ისტორიაში, ლეგიონერთა შორის მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ კონკურენტს **კლაუდიო პისაროს** ჩამორჩება; ისე, რეკორდი, რალა თქმა უნდა, მშვენიერი რამეა, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ კობიაშვილის (ისე როგორც - ალექსანდრე იაშვილის) კარიერა, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს: ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ჭეშმარიტი პროფესიონალის ეტალონად ვინმე ხომ უნდა ჰყავდეთ? ჰოდა, ვიდრე „კობი" და „იაშკა" თავიანთ ხანგრძლივ და წარმატებულ კარიერას აგრძელებენ, მათზე უკეთესს ვისლა უნდა მიბაძონ?!.

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

# ...ვინაა ის ბიჭი, ესპანეთთან გოლი რომ არ გაუშვაო?!

## გიორგი ლორიას საახალწლო სურვილები

26 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განვლილი წელი შეაჯამა და 2013 წლის გამორჩეული ფეხბურთელები დაასახელა. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლორია აღიარეს, რომელმაც თანაგუნდელებს - ელგუჯა გრიგალაშვილს და ესპანელ ლეგიონერ ჩისკოს გადაასწრო.

ლორია „ლელოს" განვლილ სეზონზე, სამომავლო იმედებსა და სხვა საინტერესო თემებზე ელაპარაკა...

გაგრძელება მე-4 გვერდზე


გიორგი ლორია

2013 წლის მონაგარი

**6. ფეხბურთი.** ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 2:1 დაამარცხა ალბანეთის ნაკრები.

**9. რაგბი.** ერთა თასის II ტურში საქართველოს ნაკრებმა 25:12 მოუგო პორტუგალიას.


ვალერი ლიპარტელიანი

**9-10. ძიუდო.** პარიზის ტურნირზე **ვალერი ლიპარტელიანმა** (90 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81) - ვერცხლი, ამირან პაპინაშვილმა (60) - ბრინჯაო.

**16. ფეხბურთი.** ვარშავის „ლეგიასთან" გააფორმა ხელშეკრულება **ლადო დვალიშვილმა.**

**23. რაგბი.** ერთა თასის მატჩში, საქართველოს ნაკრებმა სოჭში დაამარცხა რუსეთის ნაკრები - 23:9

**23-24. ძიუდო.** დიუსელდორფის გრან-პრიზე ქართველებმა 2 ოქროს (**ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81 კგ) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90), 2 ვერცხლის (**ლევან წიკლაური** (81), **ადამ ოქრუაშვილი** (100+) და 3 ბრინჯაოს (**ამირან** პაპინაშვილი (60), **ზვიად ქარდავა** (66) და **ზვიად გოგოჭური** (90) მედალი მოიპოვეს.


ავთანდილ ჭრიკიშვილი

**23-24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** უნგრულ სომბათჰეიში, ოქროს გრან-პრიზე ქართულმა დელეგაციამ 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო (გუნდური პირველი ადგილი) მოიპოვა. გრან-პრის გამარჯვებული გახდა **მიხეილ ქაჯაია** (96 კგ).

**27. სამბო.** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **გივი ნადარეიშვილი** (52 კგ), **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), **პაატა მერებაშვილი** (62), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **პაატა ლვინიაშვილი** (90), **ლაშა გურული** (100) **და ონისე ბულაძე** (100+).

**27. წყალბურთი.** „ლიგამუსმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩში უნგრულ „ეგერთან" 4:12 წააგო და ტურნირი მოუგებლად დაასრულა.

### მარტი

**2-3. ძიუდო.** ქართველმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს ვარშავაში (პოლონეთი) ევროპის ღია ტურნირზე. **ნუგზარ ტატალაშვილი** (73 კგ) და **ლევან წიკლაური** (81 კგ) ჩემპიონები გახდნენ, **ზებედა რეხვიაშვილმა** (73 კგ) კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**5. ფარიკაობა. სანდრო ბაზაძე** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულია.

**9. რაგბი.** ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა 61:18 დაამარცხა ესპანეთი. ნაკრებიდან საზეიმოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2013 წლის მონაგარი


ირაკლი აბუსერიძე

გაეცილეს წლების განმავლობაში გუნდის კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე**.

**16. რაგბი.** ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 9:9 ითამაშა რუმინეთთან და ერთა თასთან ერთად ანთიმოზ ივერიელის თასი მოიგო.

**18. ჭიდაობა.** თბილისში გაიმართა ევროპის ჭიდაობის ასოციაციის (სელა) გენერალური ასამბლეა. ორგანიზაციის პრეზიდენტად კიდევ ერთი ვადით ბულგარელი **ცენო ცენოვი** აირჩიეს.

**19. ჭიდაობა.** თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი.

**20. თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონი გახდა **გიორგი ედიშერაშვილი** (55 კგ).

**20. თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (60 კგ).

**21. თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი **გენო პეტრიაშვილმა** (120 კგ) მოიპოვა.

**22. თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონი **დავით მარსაგიშვილი** (84 კგ) გახდა.

**22. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრებმა პარიზში 1:3 წააგო საფრანგეთის ნაკრებთან.

**22. რაგბი.** ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ირლანდიასთან 27:31 დამარცხდა.

**23. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი **გურამ ფერსელიძემ** (120 კგ) მოიპოვა.

**24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა **ზურაბ დათუნაშვილმა** (74 კგ).

**24. შვიდკაცა რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ლონდონის შესარჩევი ეტაპის საგზური დაიმსახურა.

**24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა **ვლადიმერ გეგეშიძემ** (84 კგ).

**24. ფეხბურთი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდში სერბეთის გუნდთან 0:2 დათმო.

**26. რაგბი.** ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა 17:12 დაამარცხა იტალიის ნაკრები.

**27. ფეხბურთი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდში ირლანდიას 3:0 მოუგო.

**30. ძიუდო.** სამსუნის (თურქეთი) „დიდ პრიზზე" **ზებედა რეხვიაშვილმა** (73 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**30. რაგბი.** ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები V ადგილისთვის მატჩში უელსთან 0:50 დამარცხდა.

**30. ფეხბურთი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდში ავსტრიასთან 1:2 დათმო და ევროპის ჩემპიონატის ფინალური საგზურის გარეშე დარჩა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

# ...ვინაა ის ბიჭი, ესპანეთთან გოლი რომ არ გაუშვაო?!

« მე-3 გვერდიდან

**- ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებას გილოცავთ!**

- დიდი მადლობა. ბავშვობიდან ბევრი პრიზი მიმიღია, როგორც საუკეთესო მეკარეს და თითოეული მათგანი ჩემთვის ღირებული იყო, მაგრამ საუკეთესო მოთამაშე პირველად გავხდი. აღიარება და დაფასება ყოველთვის სასიამოვნოა. მით უფრო, რომ ფედერაციამ ლამაზი საღამო მოაწყო. საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და მისი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელება პატარა ამბავი არ არის.

**- საქართველოში ტოპ-კლასის ჩემპიონატი არ გვაქვს, მაგრამ საუკეთესოობა მაინც სასიამოვნო განცდაა...**

- საწყენია, ძლიერი ჩემპიონატი რომ არ გვაქვს. ყველას უკეთესი დონე და ევროპულ ტურნირებზე ჩვენი კლუბების წარმატებული გამოსვლა გვსურს. მაგრამ მთავარია, ამ პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატში ნიჭიერი მოთამაშეები მაინც იზრდებიან. ამიტომაა სასიამოვნო, შრომა რომ გიფასდება. ამ ტიტულით კი, ასე მგონია, მადლობა ყველა იმ ადამიანს გადავუხადე, ვისაც ჩემს გაზრდაში მცირე წვლილი მაინც მიუძღვის - მშობლებსაც, მწვრთნელებსაც, კლუბსაც, თანაგუნდელებსაც...

**- განვლილი წელი თქვენთვის იმითიც იყო გამორჩეული, რომ სამსახიობო დებიუტი გქონდათ, თანაც, საკმაოდ ხმაურიანიც...**

- ხმაურიანის რა გითხრათ, მთხოვეს და დავთანხმდი. ეს კინოში ჩემი დებიუტი იყო. რაც მთავარია, რეჟისორი კმაყოფილი დარჩა.

**- ცნობილ ლიგებში ფეხბურთელთა პირადი სასპონსორო კონტრაქტები არავის უკვირს. ჩვენი უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებით კი ბიზნესი არ ინტერესდება. ამის გათვალისწინებით, იშვიათი შემთხვევაა, რომ სარეკლამო კლიპში გადაგიღეს...**

- კი, „ცივი ჩაის" რეკლამაში გადამიღეს. არ დავმალავ, მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. თავს არ მოვიტყუებ, ესეც ესპანეთთან სანაკრებო თამაშის შედეგი იყო. ეტყობა, მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ რაღაც მოულოდნელი მოხდა, რომ ესპანეთს წინააღმდეგობა გავუწიეთ და რამდენიმე კარგი ბურთი ავიღე. გაუკვირდათ - ვინაა ის ბიჭი, ესპანეთთან გოლი რომ არ გაუშვაო?! (იცინის). უბრალოდ, მაშინ ეს თემა საფეხბურთო სამყაროს გასცდა და მერე მოვიდა აღიარება, თუ ამას აღიარება ჰქვია. დიდი აღიარებისთვის მაინც ევროპაში თამაშია საჭირო.

**- ევროპიდან რეალური წინადადება არ გქონიათ?**


გიორგი ლორია

- „დინამოსთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება, თან გუნდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მაგრამ კარიერის ბოლომდე საქართველოში, ალბათ, არ დავრჩები, უცხოეთში თამაში არ მსურს... ისე, „დინამოში" დროს არ ვკარგავ. დიდი ხანია, ვფიქრობ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელი გავხდე - სხვა საქმე არც ვიცი. „დინამოში" რამდენი მწვრთნელიც მყავდა, იმდენი რაღაცას ვინიშნავდი და ვიმახსოვრებდი. კარიდან ყველაფერი კარგად ჩანს, მწვრთნელის პლუს-მინუსებიც და შანსი ახლა უფრო მაქვს, ეს საქმე რომ ავითვისო. დანარჩენი უკვე პრაქტიკაზე იქნება დამოკიდებული.

**- ლორია ნაკრებში და ლორია „დინამოში" - გარედან ისე ჩანს, თითქოს, ეს ორი სხვადასხვა მეკარეა...**

- თუ იმას გულისხმობთ, რომ ნაკრები სხვაგვარი სტიმულია, ეს სავსე ტრიბუნების დამსახურებაა. ასეთი გარემო ნებისმიერ მოთამაშეს მუხტავს. მაგრამ თავმოყვარე მეკარეს არ აქვს უფლება, ზერელედ მოეკიდოს ეროვნული ჩემპიონატის რიგით შეხვედრასაც კი. თუ დამიჯერებთ, მე სწორედ ასე ვარ. მაგრამ შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის და თუ „დინამოს" კარში გოლი ჩემ გამო გასულა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატის ან კლუბის მიმართ აგდებული დამოკიდებულება მაქვს. პროფესიონალები იმიტომაც ვართ, რომ პრობლემები დავივიწყოთ და ყველა მატჩს ერთნაირად მივუდგეთ.

**- შვებულება ფეხბურთელებისთვის დიდი ფუფუნებაა. საერთოდ, ახალ წელს სად ხვდებით ხოლმე?**

- სახლში ყოფნას ვამჯობინებ. მაგრამ მიყვარს ერთია და, სამწუხროდ, ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ. თუმცა წლეულს ასე იქნება - ახალ წელს ოჯახში შევხვდები და ეს ძალიან მახარებს.

**- რას უსურვებთ საკუთარ თავს, გულშემატკივრებსა და „ლელოს"?**

- ჩემთვის, უპირველესად, ჯანმრთელობას ვისურვებდი და მერე, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ქართველ გულშემატკივარს ვუსურვებ, რომ 2014 წელმა ბევრი სიხარული მოუტანოს, პრობლემები და გაჭირვება აღარ ჰქონოდეს. მათაც ვუსურვებ და ჩემს თავსაც, რომ სტადიონზე ევლოთ და ტრიბუნები შეევსოთ. რაც შეეხება „ლელოს", ახალ წელს ტირაჟის გაზრდას გისურვებთ და ერთი თხოვნაც მექნება - კარგი იქნება, თუ გაზეთს მთლიანად გააფერადებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა

# საახალწლო მოლოდინი

გორის „დილას" ამბავს შეგახსენებთ - წინა სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს სახელმწიფომ 2 მილიონი ლარი გამოუყო, აქედან დაახლოებით 800 000 დავალიანების დაფარვას მოხმარდა, დარჩენილი თანხით „დილა" ხელახლა დაკომპლექტდა და ევროპალიგაზე სამი ეტაპი ითამაშა, რითიც კიდევ დაახლოებით მილიონი ლარი გამოიმუშავა.

სეზონის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კი კლუბი ისევ ელის დაფინანსებას, ფეხბურთელებს კონტრაქტები დაუსრულდათ, **ირაკლი მოდებაძე** თბილისის „დინამოში" გადავიდა, **გრიგოლ დოლიძე** და **გიორგი გურული** „ზესტაფონში" წავიდნენ და, საკითხავია, ვინ დარჩება „დილაში" და, საერთოდ, რა დაფინანსება ექნებათ გორელებს.

ამის გასაგებად „დილას" მენეჯერ **გია ისიანს** დავუკავშირდით, რომელმაც ეს გვითხრა: *„ჯერაც ველოდებით ბიუჯეტის დამტკიცებას, რაც წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს. გორის გამგეობა და მაჟორიტარი დეპუტატი გვპირდებიან, რომ „დილას" ნორმალური დაფინანსება ექნება. იმედიანად ვართ, თურქული შეკრებაც გვაქვს დაგეგმილი. ვფიქრობ, კლუბების დაფინანსებამ სისტემური სახე უნდა მიიღოს, ისეთი პროექტი უნდა განხორციელდეს, რომელიც გრძელვადიანი იქნება და, შესაბამისად, იმის საშუალებასაც მოგვცემს, რომ დახარჯული ფული გაცილებით ნაყოფიერი აღმოჩნდეს საფეხბურთო კლუბებისთვის".*

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# ხარჯი გაიყოფა: აქეთ გამგეობა, იქეთ კოკაია?

გუშინ „ზესტაფონის" გულშემატკივრები ქალაქის გამგეობასთან შეიკრიბნენ და გამგებელ **ტარიელ თუშარაშვილს** შეხვდნენ. ამ ყველაფრის მიზეზი „ზესტაფონის" მდგომარეობაა, რომლის პრეზიდენტი კლუბიდან წავიდა, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ზესტაფონს" ისევ **ილია კოკაია** უპატრონებს.

კლუბის ინფრასტრუქტურას სახელმწიფომ მიხედოს, დანარჩენ ხარჯებს ისევ მე ვუზრუნველვყოფ - დაახლოებით ასე იდგა საკითხი და, როგორც ჩანს, კონსენსუსი მიღწეული იქნება.

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „ზესტაფონის" ინფრასტრუქტურულ ხარჯებზე გამგეობა იზრუნებს

*„გავითვალისწინეთ გულშემატკივრების თხოვნა და ის თანხა, რაც ინფრასტრუქტურული მომსახურების ხარჯების დაფარვას სჭირდება, გამოყოფილი იქნება ახალი წლიდან, დაახლოებით 300 000 ლარი. ასე რომ, ამ კუთხით პრობლემა არ იქნება"*, - ასეთი განცხადება გაკეთდა ზესტაფონის გამგეობიდან.

რა თქმა უნდა, ეს სასიხარულო ამბავია „ზესტაფონის" გულშემატკივრებისთვის და, საერთოდ, საკლუბო ფეხბურთისთვის, რადგან საქმე გვაქვს იმ მაგალითთან, როცა საფეხბურთო კლუბის მფლობელი და სახელმწიფო ერთად იზრუნებენ კონკრეტულ კლუბზე.

ჯერ უცნობია, დაუბრუნდება თუ არა „ზესტაფონს" კოკაია, თუმცა ამის წინაპირობა უკვე არსებობს. ისიცაა, რომ „ზესტაფონი" ახალ ფეხბურთელებს იმატებს, უცხოურ შეკრებას გეგმავს და, დიდი ალბათობით, გუნდის მთავარ მწვრთნელ **გია გეგუჩაძესა** და მის სამწვრთნელო შტაბს კონტრაქტსაც გაუგრძელებს.

ვნახოთ, იქნებ თანამშრომლობის იგივე მოდელი სხვა კერძო კლუბებთან მიმართებაშიც ამოქმედდეს.

**დავით თავართქილაძე**

მოსაზრება

# ბრძოლის ჯენტლმენური და ხისტი მეთოდები

საქართველოს ეროვნული ნაკრების 2013 წლის ორომტრიალი იმით დასრულდა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ისევ **თემურ ქეცბაია** გახლავთ.

ქეცბაიამ, ნაკრებმა და გულშემატკივარმა ძალიან რთული წელიწადი გადაიტანეს -წარუმატებლობებისა და კონფლიქტების, ურთიერთბრალდებებისა და დაპირისპირებების, ნერვული შემოტევებისა და მორიგი განბილების...

ეს ყველაფერი ნამდვილი ორომტრიალი იყო და ვნახოთ, როგორ გააკაუებს ის ჩვენს უპირველეს გუნდს.

ცხადია, ქეცბაიას ახლა უფრო მეტი გამოცდილება ექნება, ვიდრე მაშინ, როცა საქართველოს ნაკრების გაწვრთნას დათანხმდა. ჩვენთან ასეა: ფეხბურთი თითქმის აღარ გვაქვს, მაგრამ გვინდა, რომ ნაკრებმა რაღაც წარმატებას მიაღწიოს.

ფეხბურთის მოლონიერებას სახელმწიფოსგან ხელშეწყობა, კერძო სახსრებიდან მეტი ფულის მოზიდვა სჭირდება - ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ რაღაცა უშლის ხელს ამ საქმეს.

ნაკრები კი ეროვნული საქმეა. ქეცბაიაც ავად თუ კარგად ეროვნულ საქმეს აკეთებს, შედეგი არ ჩანს, მაგრამ გუნდის მთავარსარდალი ისევ ის არის.

ისიც აშკარაა, რომ მას ველარ ექნება იმხელა ნდობა, რაც მანამდე ჰქონდა. მისი გაწვრთნილი ნაკრების ყოველი მორიგი მატჩი საპირწონე იქნება - შეცდომების ლიმიტი ხომ ამონურულია.

ფეხბურთის ფედერაციის ამ ხელმძღვანელობას ებრძვიან. რამდენად ჯენტლმენურად მიმდინარეობს ეს ბრძოლა, რთული სათქმელია, ის კი ნაღდია, რომ ეროვნული ნაკრების შედეგები ფედერაციის უფროსობის სასარგებლოდ ვერ იქნება ამ ბრძოლაში. არადა, ბრძოლა გრძელდება, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა კვლავაც ძალზე პრესტიჟული, პოლიტიკური თანამდებობაა საქართველოში, ამ პოსტისთვის ბრძოლაში ჩარევა-არჩარევით ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის შეფასებაც კი არის შესაძლებელი.

...2014 საინტერესო წელი უნდა იყოს, ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნებისთვის კარგად შეამზადებს ნიადაგს, ოღონდაც, ყველაფერს თუ ამ კუთხით შევხედავთ, ვერ დაგვემართება კარგი საქმე - ნაკრებიც განზე დაგვრჩება და კლუბებიც.

ქვეყანაში კი ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოს აღარ სჭირდება ქარიზმატული ლიდერები, ამის აუცილებლობა, უბრალოდ, აღარ არსებობს და, ვფიქრობ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაც აღარ უნდა იყოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. სახელმწიფო ფეხბურთს იმის მიუხედავად უნდა დაეხმაროს, თუ ვინ იქნება ფედერაციის სათავეში - ასე მგონია და თუ სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძვით, წარსულში დაბრუნება არაფერს მოგვცემს.

ქეცბაიას კი ახლა ყველაზე უფრო მხარდაჭერა სჭირდება, ოღონდაც, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ფედერაციასთან მისი კონტრაქტის პირობები გადასახედი არ უნდა იყოს. ფაქტია, ქართული ფეხბურთის მესვეურები მოერიდნენ ხისტი გადაწყვეტილების მიღებას ქეცბაიასთან დაკავშირებით, თუმცა ნაკრების შედეგებზე და მის ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა აკისრია და, ალბათ, რაღაცაზე მოლაპარაკება ეროვნული გუნდის თავკაცს.

იყო საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელი - გვარიანად რთული ხელობაა.

იყო ხელმოცარული ამ საქმეში - გვარიანად ძნელია ამასთან შეგუება ქვეყნის მთავარი გუნდის ქართველი მწვრთნელისთვის.

ფედერაცია და ქეცბაია - ის, რაც 2013 წელს უნდა მომხდარიყო, 2014 წლისთვის გადაიდო, საახალწლოდ ოდენ ვარაუდები უნდა ვიკმაროთ...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტურის შეჯამება

# წლის გამორჩეული დასასრული

„ლივერპულმა“ 2013 წელი მძიმედ დაასრულა. „წითლები“ გასვლაზე ზედიზედ ორ ძირითად კონკურენტს შეხვდნენ და ორჯერვე დამარცხდნენ. **ჟოზე მოურინიომ** განაგრძო „ლივერპულთან“ წარმატებული მატჩების ტრადიცია. ვნახოთ, როგორ შეაფასეს გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა XIX ტურის ცენტრალური დაპირისპირება.

*ჟოზე მოურინიო (ჩელსი): „ეს იყო დიდი გამარჯვება ძალიან ძლიერ მეტოქესთან. მთელი თამაში იდეალურად ჩაჯდა ინგლისური ფეხბურთის სულში. სწორედ მსგავსი სანახაობების გამო უყვარს გულშემატკივარს ჩვენი ჩემპიონატი. ნამდვილი ომი გავმართეთ, ფეხბურთელებმა უკანასკნელი ძალები გაიღეს გამარჯვებისთვის. ამის დასტურია ტრავმებიც. ბოლო წამებამდე არაფერი იყო გარკვეული, თუმცა საბოლოო გამარჯვება 100%-ით დავიმსახურეთ. „არსენალის“ შედეგი თამაშის დაწყებამდე ვიცოდით. ცხადია, ვფიქრობდით იმაზეც, რომ ერთი ფეხის დაცდენის შემთხვევაშიც კი ლიდერს უკვე ძალიან დავშორდებოდით.*

■ ■ ■

„ასტონ ვილამ“ „სუონსისთან“ შეხვედრაში მე-8 ქულა აილო საშინაო შეხვედრებში. ამაზე უარესი შედეგი მხოლოდ „სანდერლენდსა“ და „ფულჰემს“ აქვთ.

„ვილამ“ შეწყვიტა 4-მატჩიანი წაგებათა სერია და აღარ გაიმეორა 2001 წლის ანტირეკორდი.

მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა, რომ „ასტონ ვილამ“ ანგარიში გახსნა და ვერ მოიგო.

■ ■ ■

„ფულჰემი“ ერთადერთი პრემიერლიგური კლუბია, ვისაც „ჰალი“ შინ ერთზე მეტჯერ შეხვედრია და 100%-იანი შედეგი აქვს.

„ფულჰემი“ პრემიერლიგაში მე-13 სეზონს ატარებს და წლის უკანასკნელი შეხვედრა მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული.

სტატისტიკურად „ვეფხვებისთვის“ დეკემბერი ყველაზე წარუმატებელი თვეა. 17-დან მათ მხოლოდ 3 მოგება აქვთ.

■ ■ ■

„ევერტონს“ „საუთჰემპტონთან“ ბოლო 8 შეხვედრაში 4 მოგება და ამდენივე ფრე აქვს. სულ კი „წმინდანებთან“ 15 საშინაო მატჩში 15-დან 11 მოგება, 3 ფრე და 1 წაგება აქვს.

„ევერტონს“ ჩემპიონატში 31 გოლი აქვს გატანილი და აქედან 9 მცველების ანგარიშზეა, რაც საუკეთესო შედეგია პრემიერლიგაში.

**ტიმ ჰოვარდმა** 2007 წლის სექტემბრიდან მოყოლებული ჩემპიონატის მხოლოდ მე-3 თამაში გამოტოვა.

■ ■ ■

„არსენალმა“ ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკზე“ ბოლო 13 შეხვედრაში მე-5 მოიგო. (1 წაგება, 7 ფრე).

ამ გუნდებმა 2012 წლის ბოლო მატჩიც ერთმანეთში ითამაშეს. მაშინ „არსენალმა“ 7:3 იმარჯვა.

„არსენალმა“ პირველ წრეში სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ყველაზე მეტი, 22 ქულა მოიპოვა.

„არსენალის“ თავდამსხმელ **ოლივიე ჟირუს** პრემიერლიგაში სულ 19 გოლი აქვს გატანილი. აქედან 17 მან ლონდონში შეაგდო, 2 ტაინსაიდში (1-1 სანდერლენდსა და ახლა უკვე ნიუკასლში).



ბრენდან როჯერსი და ჟოზე მოურინიო თამაშის დასრულების შემდეგ

*იმ პრობლემების გათვალისწინებით, რასაც ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე და მატჩის მიმდინარეობისა შევეჩხეთ, შედეგით კიდევ უფრო ვამაყობ“.*

**ბრენდან როჯერსი** (ლივერპული): *„მოგების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ „ჩელსის“ სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ლონდონელები ამაყობენ იმით, რა შედეგსაც მიაღწიეს. ჩემი ფეხბურთელები ალალად იმსახურებენ თბილ სიტყვებს. ზედიზედ ორი წაგებით უკმაყოფილო რომ არ ვიყო, უცნაურიც იქნება, მაგრამ მეორე მხრივ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორჯერვე ევროპული ფეხბურთის გრანდებს დავეჭიდეთ“.*

### ტურის წვრილმანები

„ვესტ ჰემმა“ „ვესტ ბრომვიჩს“ „აპტონ პარკზე“ მეექვსედ უმასპინძლა. ყოველ ჯერზე სტუმარს სხვადასხვა დამრიგებელი ჰყავდა.

„ვესტ ჰემს“ „ბრომვიჩთან“ უკანასკნელ 10 შეხვედრაში მხოლოდ 1 წაგება აქვს (4 მოგება, 5 ფრე).

„ჩაქუჩებმა“ ზედიზედ მე-3 შეხვედრაში გაუშვეს 3 გოლი და პირველად არ დამარცხდნენ.

დედაქალაქელებს პირველ ტაიმებში მხოლოდ 4 გოლი აქვთ გატანილი.

სწორედ ამ ორმა გუნდმა აილო დეკემბრის 6-6 შეხვედრაში ყველაზე ნაკლები 2 და 3 ქულა შესაბამისად.

„ბრომვიჩმა“ მე-9 შეხვედრა ჩაატარა მოგების გარეშე, რაც ყველაზე დიდი მიმდინარე წარუმატებელი სერიაა.

„ფულჰემს“ მიმდინარე სეზონში 19-დან 16 შეხვედრაში აქვს გაშვებული, რაც ჩემპიონატში ყველაზე ცუდი შედეგია.

■ ■ ■

2002/03 წლების სეზონში ელიტურ ლიგაში დაბრუნების შემდეგ „მანჩესტერ სიტის“ წლის ბოლო შეხვედრა არ წაუგია (6 მოგება, 6 ფრე).

„კრისტალ პალასთან“ **ედინ ჯეკოს** გოლით „მანჩესტერ სიტიმ“ პრემიერლიგის ყველა დროის რეკორდი დაამყარა. 19 შეხვედრაში 54 ბურთი აქამდე გატანილი არავის ჰქონია.

„სიტიმ“ 10-დან 10 საშინაო შეხვედრა მოიგო და მათში საშუალოდ 3.8 გოლი გაჰქონდა.

„ქალაქელებმა“ ზედიზედ მე-60 საშინაო შეხვედრაში მოახერხეს გატანა.

■ ■ ■

„ნორვიჩმა“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ უკანასკნელი 17 შეხვედრიდან 14-ჯერ წააგო.

„კეროუ როუდზე“ ჩატარებულ ბოლო 5 შეხვედრაში პირველად მოხდა, რომ **გარი ჰუპერმა** ვერ გაიტანა.

■ ■ ■

„კარდიფი“ „სანდერლენდს“ უმაღლეს ლიგაში უკანასკნელად 1956/57 წლების სეზონში იყო შეხვედრილი.

„სანდერლენდს“ წლის ბოლოს ჩატარებული 13 მატჩიდან მხოლოდ 1 აქვს მოგებული.

„კარდიფის“ გოლკიპერმა **დევიდ მარშალმა** საკუთარი გუნდი 77-ჯერ გადაარჩინა გოლს.

■ ■ ■

„ჩელსიმ“ „ლივერპული“ ბოლო 6 საშინაო შეხვედრიდან მხოლოდ მეორედ დაამარცხა., მთლიანად კი 14 შეხვედრიდან „პენსიონერებმა“ მხოლოდ მესამედ იმარჯვეს.

„ლივერპულმა“ 2013 წელი 84 გოლით დაასრულა, რაც საუკეთესო შედეგია ლიგაში.

**ლუის სუარესს** ერთი გოლი დააკლდა, რათა წლის განმავლობაში 30 გოლი ჰქონოდა აქტივში. აქამდე მსგავსი ან უკეთესი შედეგი სულ 7 თავდამსხმელს ჰქონია.

■ ■ ■

„ტოტენჰემმა“ „სტოკი“ 39-ე საშინაო შეხვედრაში 29-ედ დაამარცხა (8 ფრე, 2 წაგება).

სტუმრად გამართულ შეხვედრებში „სტოკს“ მხოლოდ 5 ქულა აქვს. ასეთი ცუდი შედეგი პრემიერლიგაში მხოლოდ „ჰალს“ აქვს.

„ტოტენჰემმა“ ბოლო 9 შეხვედრაში პირველად მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

### სტატისტიკა XIX ტურის შემდეგ

#### საუკეთესო ბომბარდირები

19 - ლუის სუარესი (ლივერპული)
13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
10 - ლოიკ რემი (ნიუკასლი)
9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), რომელუ ლუკაკუ (ევერტონი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

#### საუკეთესო მევასეები

8 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)
7 - მესუთ იოზილი (არსენალი)
6 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), აარონ რემსი (არსენალი), ხესუს ნავასი (მანჩესტერ სიტი)

#### გოლი+პასი

24 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 19+5
17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 13+4, უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 9+8
14 - აარონ რემსი (არსენალი) - 8+6

#### ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები

8 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი)
7 - პაულინიო (ტოტენჰემი), კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი), ტიმ ჰოვარდი (ევერტონი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

### მომდევნო ტური

#### 1 იანვარი

| | |
|---|---|
| სუონსი-სიტი | 16:45 |
| არსენალი-კარდიფი | 19:00 |
| პალასი-ნორვიჩი | 19:00 |
| ფულჰემი-ვესტ ჰემი | 19:00 |
| ლივერპული-ჰალი | 19:00 |
| საუთჰემპტონი-ჩელსი | 19:00 |
| სტოკი-ევერტონი | 19:00 |
| სანდერლენდი-ასტონ ვილა | 19:00 |
| ბრომვიჩი-ნიუკასლი | 19:00 |
| იუნაიტედი-ტოტენჰემი | 21:30 |

ლევან ბიბილაშვილი

### სიმბოლური ნაკრები




### 2013 წლის მონაგარი

#### აპრილი

**4-7. წყალბურთი.** თბილისში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველოს ნაკრები სლოვაკეთთან, დიდ ბრიტანეთთან, პოლონეთთან და ჩეხეთთან ბრძოლაში პირველ ადგილზე გავიდა.

**11-15. სამბო.** ლიმასოლში ევროპის ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ჩემპიონატზე ქართველმა სამბისტებმა ჯამში 18 მედალი მოიპოვეს.

**12. ძალოსნობა.** ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა **რაულ ცირეკიძემ** (85 კგ).

**13. ძალოსნობა.** ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **დავით გოგიამ** (105 კგ).

**13. კალათბურთი.** დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი და გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები.

**20. რაგბი.** „ლელომ“ 24:16 დაამარცხა „არმია“ და ფინალის პირველი საგზური მოიპოვა.

**25. ძიუდო.** ევროპის ჩემპიონები გახდნენ **ამირან პაპინაშვილი** (60 კგ) და **ლაშა შავდათუაშვილი** (66).

**26. ძიუდო.** ევროპის ჩემპიონის ტიტული მოპოვა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81 კგ), ვერცხლის მედალი ხვდა წილად **ნუგზარ ტატალაშვილს** (73), ბრინჯაოსი — **ზებედა რეხვიაშვილს** (73).

**27. რაგბი.** თბილისის „არმიამ“ 31:17 დაამარცხა ქუთაისის „აია“ და საქართველოს ჩემპიონატის ფინალში „ლელოსთან“ თამაში დაიბევა.

**27. ძიუდო.** ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ვალერი ლიპარტელიანმა** (90 კგ) და **ადამ ოქრუაშვილმა** (100 +კგ).

**28. ძიუდო.** ევროპის გუნდურ ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე**) რუსეთს 4:1 მოუგო და ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

#### მაისი

**4. ფეხბურთი.** თბილისის „დინამომ“ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

**4-5. ძიუდო.** ბაქოს დიდ სლემზე ჩემპიონი **ლევან წიკლაური** გახდა (81 კგ.), ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **შალვა ქარდავამ** (66), **ტრისტან ფეიქრიშვილმა** (66), **ზებედა რეხვიაშვილმა** (73), **ლევან მატიაშვილმა** (81).

**13. ბერძნულ-რომაული.** **ბეგი დარჩიას** ნაცვლად საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** გახდა. ჭაბუკთა მწვრთნელი კი **დავით ბედინაძე** გახდა.

**15. ჭადრაკი. ბელა ხოტენაშვილმა** ჟენევის გრან პრი მოიგო.

**18. ფეხბურთი.** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონი გახდა თბილისის „დინამო“. მეორე ადგილზე გორის „დილა“ გავიდა, მესამეზე - ქუთაისის „ტორპედო“.

**19. რაგბი.** ჰეინეკენის თასი **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩალიჩავას და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ მოიგო.

**20-21. სამბო.** ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 7 მედალი მოიპოვეს.

**22. ფეხბურთი.** საქართველოს თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ 3:1 მოუგო საჩხერის „ჩიხურას“ და „ოქროს დუბლი“ გაიფორმა.

**22 ფეხბურთი.** ევროპის 19-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრები 1:1 დაუზავდა ინგლისს.

**25. ძიუდო.** ტიუმენის მასტერსზე ადამ ოქრუაშვილმა (100+ კგ.) ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლები მოიგეს: **ამირან პაპინაშვილმა** (60), **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81), **ვალერი ლიპარტელიანმა** (90).

**26. კალათბურთი.** „შსს აკადემიამ“ ფინალური სერია 3:2 მოუგო „ოლიმპს“ და გახდა საქართველოს ჩემპიონი

**26. ფეხბურთი:** ევროპის 19-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიას 3:1 მოუგო.

**26. რაგბი.** საქართველოს ჩემპიონი გახდა „ლელო“, რომელმაც ფინალში „არმია“ 16:10 დაამარცხა.

**29. კალათბურთი.** „ოლიმპმა“ სუპერთასისთვის მატჩში „შსს აკადემია“ დაამარცხა - 90:72.

## ამბები

**29. ფეხბურთი:** ევროპის 19-წლამდელთა ელიტრაუნდში საქართველოს ნაკრებმა 2:0 მოუგო ბელგიას და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

**30. ფეხბურთი.** პოლონეთის ჩემპიონის ტიტული „ლეგიასთან" ერთად **ლადო დვალიშვილმა** მოიპოვა.

**31. ფეხბურთი.** ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს **კახა კალაძე.**

### ივნისი

**1. კალათბურთი.** „ბუდიველნიკის" შემადგენლობაში უკრაინის ჩემპიონი გახდა **გიორგი ცინცაძე.**

**2. ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებმა დუბლინში 0:4 წააგო ამხანაგური მატჩი ირლანდიის ნაკრებთან.

**5. ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებმა სტუმრად დანიასთან წააგო ამხანაგური მატჩი 1:2.

**7. რაგბი.** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასი". საქართველოს ნაკრები მზარდ ირლანდიის ნაკრებთან დამარცხდა - 15:20.

**7-9. წყალბურთი.** საქართველოს ნაკრებმა სტამბოლში ოთხთა საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა.

**11. რაგბი.** „თბილისის თასზე" საქართველოს ნაკრებმა 27:3 მოუგო ურუგვაის ნაკრებს.

**16. რაგბი.** „თბილისის თასზე" საქართველოს ნაკრებმა 16:21 წააგო სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის გუნდთან.

**19. კალათბურთი.** „მონტეპასკისთან" ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა **ვიქტორ სანიკიძე.**



ვიქტორ სანიკიძე

**21-22. ძიუდო.** ევროპის ჩემპიონატზე კადეტთა შორის პირველობა მოიპოვა **მარიამ ჯანაშვილმა** (52 კგ), მესამე ადგილზე გავიდნენ: **მზია ბებოშვილი** (48), **რობინზონ ბეგლარიშვილი** (50), **კობა მჭედლიშვილი** (66), **თამაზ კირაკოზაშვილი** (73) და **დავით რამაზაშვილი** (90).

**22. რაგბი.** ტესტ-მატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად არგენტინასთან 18:29 დამარცხდა.

**28-29. შვიდკაცა რაგბი.** საქართველოს ნაკრებმა მოსკოვში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში ყველა თამაში წააგო, საბოლოოდ კი მე-19 ადგილი დაიკავა.

### ივლისი-2013

**2-3. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** მაკედონიაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 5 მედალი მოვიპოვეთ: ოქრო - **იაკობ ქაჯაია** (120 კგ); ვერცხლი - **ირაკლი შავაძე** (50); ბრინჯაო - **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84) და **გენადი კირცხალია** (96).

**3. ფეხბურთი. ჯანო ანანიძე** იჯარით „როსტოვში" გადავიდა, ხოლო **გია გრიგალავა** - „კრილია სოვეტოვში".

**4. ფეხბურთი.** ევროპალიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში ქუთაისის „ტორპედო" შინ 0:3 დამარცხდა „ჯილინასთან", ხოლო საჩხერის „ჩიხურა" 0:0 დაუზავდა „ვადუცს".

**6. ჩოგბურთი.** გერმანულ ფერსმოლდში 50 ათასიანი ტურნირი მოიგეს წყვილებში **ანა ტატიშვილმა** და **სოფიო შაფათავამ.**

ახალი წელი და კალჩო

# სანტას წერილები იტალიიდან

## რა სურთ სერია A-ს გინადრებს?




**სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში საშობაო პაუზაა, თუმცა ფეხბურთელების, მწვრთნელების და უბრალო გულშემატკივრების ფიქრები მაინც სპორტის უპირველეს და უსაყვარლეს სახეობას დასტრიალებს. ქვემოთ შეგიძლიათ გაეცნოთ, რა სურვილები ჩაუთქვეს საახალწლოდ სერია A-ს გუნდებმა...**

### ატალანტა

ბერგამოში ოცნებობენ, რომ დადგეს ჟამი, როდესაც „ნერაძურის" ხსენებაზე „ინტერი" ეშმაკსაც აღარ გაახსენდება. სანამ **ხავიერ ძანეტი** ცოცხალია და **როდრიგო პალასიო** გოლებს იტანს, სანტას სურვილის შესრულება გაუჭირდება.

### ბოლონია

ბოლონიელებმა სანტას შესთხოვეს, რომ გუნდს ახალი **რობერტო ბაჯო, ჯუზეპე სინიორი**, ან თუნდაც **მარკო დი ვაიო** მოუვლინოს; სანაცვლოდ დიდსულოვნად ჰპირდებიან, რომ ლაპლანდიაში **ჯონატან ესეკილ კრისტალდოს** გააყოლებენ და მის უკან დაბრუნებასაც ალარასდროს მოსთხოვენ.

### კალიარი

კალიარიში ოცნებობენ ისეთ სტადიონზე, სადაც თამაშის უფლება ექნებათ და ისეთ პრეზიდენტზე, რომელიც თავის ფეხბურთელებს სხვა გუნდების ძებნისკენ არ მოუწოდებს; შესაბამისად, ოცნებობენ **რაჯა ნაინგოლანის, დავიდე ასტორის, მაურისიო პინილიას, მარკო საუს, ვიქტორ იბარბოს** და სხვა წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებაზე. სანტას სარდინიისკენ გახედვაც არ უნდა...

### კატანია

კატანიელებმა სანტას სერია A-ს სატურნირო ცხრილის ამობრუნება სთხოვეს, რათა ახალ წელს ლიდერის რანგში შეხვდნენ. ამ ქალაქში სანტა კლაუსის ღრმად სწამთ, რადგან შარშან ლაპლანდიის ბინადრმა „პალერმო" სერია B-ში მოისროლა.

### კიევო

სამაგიეროდ, „კიევოში" აღარ სჯერათ სანტა კლაუსის უანგარო დახმარების, რადგან 2012 წელს „ვერონა" ელიტაში ალაზევა. ამიტომ, მარხილისთვის სანტას მფრინავი ვირები შესთავაზეს და სანაცვლოდ, სერია A-ში ადგილის შენარჩუნება ითხოვეს.

### ფიორენტინა

ფლორენციელებმა **ჯუზეპე როსის** ჯანმრთელად ყოფნა და **მარიო გომესის** სწრაფად გამოჯანმრთელება ისურვეს. ამასთან, ბოდიშები იხადეს, რომ წინა წლებში სანტა ზედმეტად შეაწუხეს მეკარეთა წონასთან დაკავშირებული პრობლემებით - ოღონდ **ნეტო** წაიყვანოს და ტოსკანელები მზად არიან, საყვარელი გუნდის კარში კვლავ ჩასუქებული **სებასტიან ფრეი**, ან **არტურ ბორუცი** იხილონ.

### ჯენოა

**ენრიკო პრეციოზი** და **ჯამპიერო გასპერინი** ოცნებობენ, რომ ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს; გულშემატკივრებმა კი სანტას სთხოვეს, აღარასდროს მოუწიოთ პრეზიდენტისგან ამ კომენტარის მოსმენა: *„ჩვენ ვაბრუნებთ გასპერინის, რადგან მან ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა დაძლიოს „ჯენოამ" კრიზისი".*

### ინტერი

„ინტერისტებმა" სანტას ქედმაღლურად შეუთვალეს: წელს ნუ დაიღლები, აქეთ გვითხარი რა გინდა და ლაპლანდიაში ინდონეზიიდან გამოგიგზავნითო. სანტამ საპასუხო წერილი **როდრიგო პალასიოსთან** აფრინა: 12 საათზე შენთან ვარ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

### იუვენტუსი

ტურინში ოცნებობენ, რომ **ანტონიო კონტეს** „იუვენტუსს" სერია A-ს წყალი ჩემპიონთა ლიგაზეც გადაესხას. **ჯანლუიჯი ბუფონი** და **ანდრეა პირლო** 10-10 წლით გაახალგაზრდავდნენ, **ჯუზეპე მაროტამ** კი **პოლ პოგბას** გაყიდვაზე არც კი იფიქროს. ყველა სიკეთესთან ერთად, **სიმონე პადოინს** და **ფედერიკო პელუზოს** თუ რომელიმე ლაპლანდიურ გუნდში მოაწყობს, ამაზე უკეთესი არაფერი იქნება. მაგრამ, ანიელებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ სანტამ უკვე მიიღო სრულიად სხვა დავალებები **ლუჩანო მოჯისგან.**



ახალ წელს, ჟერვინიო სანტა კლაუსი იქნება

### ლაციო

„ლაციოს" გულშემატკივრები სანტასგან ძველი დიდების დაბრუნებას ითხოვენ - ისეთ მცველებს, როგორებიც **ალესანდრო ნესტა** და **ფერნანდო კოუტუ** იყვნენ; **პაველ ნედვედის** და **სებასტიან ვერონის** მსგავს ნახევარმცველებს და **ერნან კრესპოს** დარ ფორვარდებს. უიმედო სანტამ საპასუხო წერილი გაამზადა: **კლაუდიო ლოტიტოს** გაფუჭებულ საქმეს, მე კი არა, ბენიტო მუსოლინი ველარ გამოასწორებდაო.

### სამპდორია

„სამპდორიას" გულშემატკივრებმა სანტას სთხოვეს, რომ კიდევ იხილონ მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სადაც „ბარსელონას" შეხვდებიან და ვენდეტაც შედგება. სანტამ გენუელებს გონს მოსვლისკენ მოუწოდა.

### ლივორნო

„კომუნისტებს" სანტა კლაუსის არ სჯერათ და შესაბამისად, მანდარინითა და ტკბილეულით დახუნძლულ „ძედ მაროზს" ელოდებიან.

### მილანი

„მილანისტების" სურვილები: **მარიო ბალოტელი** დაჭკვიანდეს; **სტეფან ელ შაარავი** გამოჯანმრთელდეს; **რიკარდო კაკა** ძველებურად ათამაშდეს; **ადრიანო გალიანის** და **ბარბარა ბერლუსკონის** კოაბიტაციამ გაამართლოს; „მილანმა" სერია A-ში ადგილი შეინარჩუნოს; სანტა მზადაა საქმეს შეუდგეს, თუ სიიდან პირველი სურვილი ამოიშლება.

### ნაპოლი

ნეაპოლელებმა სკუდეტო, ევროპალიგის თასი და ჩემპიონთა ლიგის საგზური ისურვეს. თუმცა ეს არა თხოვნა, არამედ მოთხოვნაა - ლაპლანდიაში უკვე ჩავიდნენ „კამორას" წევრები და სანტას იტალიის სამხრეთში სტუმრობა საჭირო აღარაა.

### პარმა

ემილიელებმა სანტას სთხოვეს, რომ 2014 წელსაც გამოჩნდნენ ისეთი კლუბები, რომლებიც თავისთან **ბელფოდილის** დარ ფორვარდებს წაიყვანენ - სანაცვლოდ, **კასანოს** კალიბრის თავდამსხმელებს შეელევიან და თან, ზედ მილიონებსაც მიაყოლებენ. ასეთ შემთხვევაში, „პარმამ" შესაძლოა მართლაც დაიბრუნოს ძველი დიდება.

### რომა

„რომანისტებმა" **ფრანჩესკო ტოტის** ჯანმრთელობა ისურვეს, **რუდი გარსიასთან** სამუდამო ხელშეკრულების გაფორმება, ნანატრი სკუდეტოს მოპოვება და რაც მთავარია, „ლაციოს" მიერ აღებული ტემპის არ დაგდება.

ეს ყველაფერი გულშემატკივრებმა, მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ისურვეს, რომ **ჟერვინიომ** კეთილ ჩანაფიქრზე ხელი აიღოს და ახალ წელს, მათი ბავშვების გასახარებლად თანაგუნდელთა ოჯახებს სანტა კლაუსის ეკიპირებით არ ესტუმროს.



ნეაპოლელები ლაპლანდიაში

### სასუოლო

სასუოლოში მადლიერნი არიან, რომ გასული წლის თხოვნა შესრულდა და გუნდი ელიტაში ალზევდა. თუმცა, თუ გუნდში **ესეკილ სკელოტოზე** უფრო ტექნიკური ფეხბურთელებიც გამოჩნდებიან, სანტას ამ ქალაქში ძეგლს დაუდგამენ. და ერთიც, სასურველია, რომ 0:7 ალარასდროს განმეორდეს...

### ტორინო

„ტორინოში" სამ **ალესიო ჩერჩიზე** ოცნებობენ, რომელთაგან ერთი მარჯვენა ფრთიდან შეუტევს, მეორე მარცხენა ფლანგს აიკლებს და მესამე ცენტრფორვარდის პოზიციაზე გაირჯება; და იქნებ 2014 წელს მაინც მოხდეს სასწაული და ტურინულ დერბიში „ტორომ" გაიმარჯვოს. სანტამ „გრანატას" გულშემატკივრებს მეორე სურვილის დავიწყება ურჩია.

### ვერონა

გასული წელი „ვერონასთვის" წარმატებული გამოდგა და გულშემატკივრებიც მადლიერებით არიან აღვსილნი - მაგრამ, თუ მათი საყვარელი გუნდი გასვლაზეც ისწავლის ქულების აღებას, მთლად უკეთესი იქნება. და **ლუკა ტონი** თუ 3 კილომეტრს მაინც დაფარავს 90 წუთის განმავლობაში, ვერონელები სიხარულით ცას ეწევიან.

### უდინეზე

„უდინეზეს" შემთხვევაში არაფერი იცვლება - იტალიურად DI NATALE საშობაო დღესასწაულს ნიშნავს და ამით, ყველაფერია ნათქვამი.

**ლაშა ნიკლაური**

ბიბლიოთეკა

შესაძლო დანიშვნა

# დიდი გადაადგილებები?

## კონტე მონაკოში და პრანდელი იუვეში



ჩეზარე პრანდელი (მარცხნივ) და ანტონიო კონტე

გავრცელებული ინფორმაციით, **ანტონიო კონტეს** მონწევა „მონაკოს" სურს. იმასაც ამბობენ, ახალგაზრდა სპეციალისტი უკვე შეხვდა მონტეკარლოელთა ვიცე-პრეზიდენტ **ვადიმ ვასილიევსო**, მართალია, თავად კონტე ამბობს, მომავალზე ამ წუთას არ ვფიქრობ და „იუვენტუსში" თავს კარგად ვგრძნობო, ხოლო ტურინელი კლუბის პრეზიდენტის **ანდრეა ანიელის** თქმით, იგი მწვრთნელის გაშვებას არ აპირებს, პრესაში მაინც ინერება იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, მხარეებმა თანამშრომლობა შეწყვიტონ. ამ მითქმა-მოთქმას საფუძველს ის აძლევს, რომ „იუვეს" უფროსობა კონტეს ჯერჯერობით ახალ კონტრაქტს არ უფორმებს. ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობას კი შორსმიმავალი გეგმები აქვს და ამბობენ, „მონაკოს" უფროსები **კლაუდიო რანიერითი** ბოლომდე კმაყოფილები არ არიანო. იმასაც ამბობენ, თუ კონტე „მონაკოში" წავა, „იუვენტუსში" მის ადგილს ჩეზარე პრანდელი დაიკავებს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ნაკრების დატოვებას აპირებსო.

**გიორგი პაპაბაძე**

ამბები



გენო პეტრიაშვილი

**6-7. თავისუფალი ჭიდაობა.** მაკედონიაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 3 მედალი მოვიპოვეთ. ოქრო - **გენო პეტრიაშვილი** (120 კგ); ბრინჯაო - **დავით ბუზიაშვილი** (66) და **ლაშა გიგაშვილი** (74).

**6. კალათბურთი. ზაზა ფაჩულია** 3 წლით „მილუოკი ბაქსში" გადავიდა.

**7. ფეხბურთი.** თბილისის „დინამოს" აკადემია საზეიმოდ გახსნეს **კრიშტიანო რონალდომ** და **ანდრეი შევჩენკომ.**

**11. ფეხბურთი.** ევროპალიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებში „ტორპედო" სტუმრად 3:3 დაუზავდა „ჟილინას" და გამოეთიშა ასპარეზობას, ხოლო „ჩიხურამ" სტუმრად 1:1 ითამაშა „ვადუცთან" და ბრძოლას აგრძელებს.

**11-13. წყალბურთი.** მალტაში, ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ რაუნდში საქართველოს ნაკრებმა ყველა მატჩი მოიგო.

**14. შვიდკაცა რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი მოიგო ქუთაისის „აიამ".

**14-19. ოლიმპიზმი.** ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე უტრეხტში (ჰოლანდია) საქართველომ 8 მედალი მოიპოვა (2 ოქრო და 3-3 ვერცხლი და ბრინჯაო).

**16. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ" ფარერის კუნძულების „სტრეიმური" დაამარცხა - 6:1.

**18. ფეხბურთი.** ევროპალიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში გორის „დილამ" შინ დანიურ „ოლბორგს" 3:0 მოუგო, ხოლო საჩხერის „ჩიხურა" სტუმრად შვეიცარიულ „თუნთან" 0:2 დამარცხდა.

**20. ძიუდო.** მოსკოვის „დიდ სლემზე" **ამირან პაპინაშვილი** (60) ჩემპიონი გახდა, ხოლო **ზებედა რეხვიაშვილმა** (73) ბრინჯაოს მედალი მოიგო.

**20 ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის I მატჩში (19 წლამდელები) საქართველოს ნაკრები საფრანგეთს ფრედ ეთამაშა 0:0.

**23 ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის II მატჩში (19 წლამდელები) საქართველოს ნაკრები სერბეთთან 0:1 დამარცხდა.

**23. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში თბილისის „დინამომ" სტუმრად 3:1 დაამარცხა ფარერის კუნძულების „სტრეიმური" და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

**25. ფეხბურთი.** ევროპალიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებში დორის „დილამ" სტუმრად 0:0 ითამაშა „ოლბორგთან" და შემდეგ ეტაპზე გავიდა. „ჩიხურა" შინ 1:3 დამარცხდა „თუნთან" და გავარდა.

**27. ჩოგბურთი.** ოქსანა კალაშნიკოვამ ბაქოს საერთაშორისო ტურნირი (235 ათასი დოლარი) მოიგო წყვილთა თანრიგში.

**28. ძიუდო.** ევროპის ახალგაზრდულ თასზე **ელენე ქებაძემ** (+78 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**30. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ" ბუქარესტის „სტიაუას" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ამბები

### არწივებმა გომისს თვალი დაადგეს

ინგლისური „კრისტალ პალასი" იანვარში გაძლიერებას აპირებს, **ტონი პულისს** გუნდის პრემიერლიგაში დატოვება სურს და ამისთვის ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი სჭირდება. „არწივებმა" მიზანში **ბაფეტიმბი გომისი** ამოილეს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ „ლიონთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს და ძალების მოსინჯვა სხვა გუნდში უნდა. ბაფე ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და შესაბამისად, იანვარში ლიონელები მის იაფად გასხვისებასაც დასთანხმდებიან, რომ მერე საერთოდ უფასოდ არ დაკარგონ იგი. „კრისტალ პალასმა" კი სხვებს უნდა აჯობოს და მომხიბვლელი წინადადება მოამზადოს თუ მართლაც უნდა 28 წლის ფორვარდის ხელში ჩაგდება.

### ალონსო სანდერლენდში მიდის

„სანდერლენდი" ესპანელი მცველით **მარკოს ალონსოთი** გაძლიერდება. 23 წლის ფეხბურთელს „ფიორენტინაში" სათამაშო დრო არ ეძლევა, ხოლო „შავ კატებს" ახალი უკანახაზელი ნამდვილად არ აწყენთ. მხარეები ტრანსფერს ოფიციალურად იანვრის პირველ რიცხვებში გააფორმებენ. ალონსო „სანდერლენდში" სეზონის ბოლომდე იჯარის წესით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ მას ინგლისში აქამდეც უბურთავია, ესპანელი „ბოლტონის" რიგებში ირიცხებოდა.

პარალელურად, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" **ხუან მანუელ ვარგასის** წაყვანა უნდა. რუსული კლუბი დიდი ხანია პერუელითაა დაინტერესებული.



ბაფეტიმბი გომისი

თუმცა გავრცელებული ცნობებით, **ვინჩენცო მონტელას** 30 წლის ფეხბურთელის გაშვება აღარ სურს და შეეცდება ამ ტრანსფერს ხელი შეუშალოს.

### იბრა კარიერის დასრულებას სელტიკში აპირებს

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ამბობს, რომ კარიერას სიამოვნებით დაასრულებდა „სელტიკში". ბოსნიურ-ხორვატული ფესვების მქონე შვედი გლაზგოელთა ქომაგებითაა მოხიბლული.

*„ეს უდიდესი ისტორიის მქონე კლუბია. ყველა ტოპ-ფეხბურთელი ისურვებდა თუნდაც კარიერის ბოლოს „სელტიკში" თამაშს. რომელ მოთამაშეს არ მოუნდება იმ საოცარი გულშემატკივრებისთვის თამაში ყოველ კვირას?"* - განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

### პიანიჩი რჩება

იტალიურ „რომას" **მირალემ პიანიჩის** გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა არ მოეწონა და ბოსნიელს ახალი კონტრაქტი გაუმზადა, რომლის თანახმადაც, იგი „ჯალოროსიში" 2018 წლის ზაფხულამდე დარჩება და წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს (პლუს ბონუსებს). შეგახსენებთ, რომ პიანიჩით „მანჩესტერ იუნაიტედი", მიუნხენის „ბაიერნი" და პსჟ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ, როგორც ჩანს, „მგლები" მის გაშვებას არ აპირებენ.

ამასობაში, დედაქალაქელები ინგლისში ფარმ-კლუბს ეძებენ, ამ საკითხით კლუბის დირექტორი **ვალტერ საბატინია** დაკავებული, რომელიც შესაბამის გუნდს ლონდონში ეძებს.



მირალემ პიანიჩი

### ნადირობა რაჯაზე

**რაჯა ნაინგოლანზე** ნადირობა გრძელდება. „კალიარის" ნახევარმცველი უკვე საკმაო ხანია დიდი გუნდისთვის მომწიფდა, მაგრამ აქამდე სარდინიელებს შემორჩა და ახლა 90%-ით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი იანვარში ან ზაფხულში მაინც, აუცილებლად გამოიცვლის კლუბს. ცოტა ხნის წინ, „კალიარის" მმართველმა **მასიმო ჩელინომ** განაცხადა - რაჯასაც ვყიდი და მზად ვარ მთლიანად გუნდიც გავყიდოო. ჩელინო წუხდა, არ ვიცი როგორ მოვიქცე, ნაინგოლანის თაობაზე პირველი „იუვენტუსის" გენერალური დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** დამიკავშირდა, მაგრამ მეორე მხრივ, **ადრიანო გალიანი** ჩემი ახლო მეგობარია და ხათრი როგორ გავუტეხოო. ახლა კი სარდინიელთა პრესიდენტს საფიქრალი დაემატა, რადგან 25 წლის ბელგიელი ნახევარმცველით „ინტერი", „ბაიერნი", „რეალი" და პსჟ-ც დაინტერესდნენ.

### სიმეონემ ინტერი სამომავლოდ დაიბევა

**დიეგო სიმეონე** მომავალში „ინტერში" მუშაობას არ გამორიცხავს. არგენტინელი სპეციალისტის თქმით, იგი თავის კიდევ ერთ ყოფილ გუნდს სიამოვნებით ჩაუდგებოდა სათავეში. თუმცა „ჩოლო" მადრიდის „ატლეტიკოდან" წასვლას ჯერჯერობით არ აპირებს.

*„ჩემთვის დიდი პატივი იქნება „ინტერში" მუშაობა. თუმცა ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ჭორებია. უახლოეს მომავალში „ატლეტიკოდან" წასვლაზე არ ვფიქრობ. ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ შეიძლება ადგილობრივი ფერგიუსონი გავხდე"* - აღნიშნა ღიმილით სიმეონემ.

### კვალიაგოლი ლაციოში?

რომის „ლაციოს" **ფაბიო კვალიარელას** დამატება უნდა. „ბიანკოჩელესტის" აშკარად აკლია ფორვარდი და „კუალია" გუნდს დახატავდა. თანაც მას „იუვენტუსში" იმდენი სათამაშო დრო არ აქვს, რამდენიც თავად სურს. ამასთანავე, ფეხბურთელი იტალიის ნაკრებთან ერთად ბრაზილიის მუნდიალზე წასვლაზე ოცნებობს და რეგულარულად თამაში სჭირდება. დედაქალაქელები კი წინა ხაზის გვარიან გაძლიერებას საჭიროებენ, თუ მით უმეტეს, **ერნანეშის** შესაძლო გაშვებაზე ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება. თავად ერნანეში კი ამბობს, „ლაციოში" სიამოვნებით ვთამაშობო, მაგრამ ბოლო ცნობებით, პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** მზადაა ბრაზილიელი 18 მილიონ ევროდ გაყიდოს.

### არჩევანი ჯონიზეა

ინგლისური „ევერტონის" მცველი **ჯონი ჰეიტინგა** მიმდინარე სეზონში სათამაშო დროის ნაკლებობას უჩივის და იანვარში კლუბის გამოცვლა უნდა. მისი მომსახურებით უმალვე დაინტერესდნენ „ბეტისი", „რომა", „ფიორენტინა", „ფულემი", „ნორვიჩი" და „ვესტ ჰემი". სევილიელები ცოტა ხნის წინ **ხუან კარლოს გარიდომ** ჩაიბარა და ანდალუსიელთა ახალ თავკაცს ძალიან სდომებია 30 წლის ჰოლანდიელის ხელში ჩაგდება, მაგრამ კულუარებს თუ ვენდობით, თავად ჰეიტინგას ინგლისში დარჩენა ურჩევნია.

**გიორგი პაპაბაძე**

● სატრანსფერო ბაზარი

# თითქმის თავისუფალი აგენტები
## ენდი გარსია, ნაიარევი სახე და ბებერი კაცები

თანამედროვე კლუბებსა და მათ ხელმძღვანელებს რას გაუგებ. ჰოდა, მეც ვეცადე, ისეთი 22 გამორჩეული ფეხბურთელი ამომერჩია, რომლებსაც ზაფხულში თავიანთ გუნდებთან კონტრაქტი უმთავრდებათ, შესაძლოა ნავსაყუდელი გამოიცვალონ, თუნდაც იანვარშივე ან კლუბთან ახალი შეთანხმება გააფორმონ, ანდა სულაც კარიერის დასრულება გაიფიქრონ. როგორც წესი, ამ კატეგორიაში 30-წელს გადაცილებული ფეხბურთელები ხვდებიან, მაგრამ არის რამდენიმე გამონაკლისიც. ისე, ამ 22 მოთამაშიდან, რომელთაგანაც 2 ძალიან კარგი გუნდი გაკეთდებოდა, 4 „ჩელსის“ ფეხბურთელია, 3 „მანჩესტერ იუნაიტედის“ და 2 „არსენალის“.


„ჩელსის“ ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდი აღარ უნდა?

**ანდრეა პირლო** (34 წლის. იუვენტუსი) - თავის დროზე პირლო „მილანიდან“ იმიტომ წამოვიდა, რომ მოთხოვნილი ორწლიანის ნაცვლად, ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და ამ გენიალურ ფანტაზისტას პატარა დეტალები არ დაუთმეს. თითქოს ისტორია მეორდება - „როსონერიმ“ ის ნაბიჯი ინანა, რომლის გადადგმაზეც ტურინელები ფიქრობენ. ახალი „იუვენტუსი“ პირლოს გარშემო აშენდა, მაგრამ შესაძლოა ტურინელები მიიჩნევენ, რომ დროა გზა ახალგაზრდებს დაუთმონ. ფრთხილად „ბებერო ქალბატონო“, ბებერი პირლოს რქებიც ხნავენ.

**ფრენკ ლამპარდი** (35 წლის. ჩელსი) - ლონდონელთა ხელმძღვანელობა ვერაფრით ჩამოყალიბდა. აქაც კონტრაქტის პირობების ამბებია. თორემ **ჟოზე მოურინიო**, ყოველ შემთხვევაში საჯარო გამოსვლებისას, ამბობს, რომ ეს ფეხბურთელი სჭირდება. ფანები ხომ საერთოდ გიჟდებიან მასზე. თავადაც დაფიქრდით, ღირს იმ კაცის გაშვება, რომელიც ამპლუით ნახევარმცველია, მაგრამ 208 გოლით კლუბის საუკეთესო და პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, სახელად კი ფრენკი ლამპარდია?

**ჯონ ტერი** (33 წლის. ჩელსი) - მშვიდი და მეოჯახე ლამპარდიდან მის გიჟმაჟ და სკანდალურ თანაკლუბელზე გადავერთეთ. თუმცა, რამდენიც და როგორც არ უნდა ამკონ ტერი, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით - მასზე თავდადებული კაცის პოვნა, გნებავთ კლუბისთვის და გნებავთ ნაკრებისთვის, ძალიან ძნელია, ვიტყოდი, შეუძლებელიც.

**ჩაბი ალონსო** (32 წლის. რეალი) - მადრიდელები გარკვეულ რეორგანიზაციას აპირებენ და ამას შესაძლოა ცოტა ტრავმებისკენ მიდრეკილი ალონსო შეეწიროს. თუმცა ჩაბის ახალი კლუბის შოვნა ნამდვილად არ გაუჭირდება, ის თავის პოზიციაზე კვლავ ერთ-ერთი საუკეთესოა. ამჟამად ამბობენ, ექსლივერპულელი პრემიერლიგას დაუბრუნდება და კარიერას ქალაქ მანჩესტერში „იუნაიტედის“ ან „სიტის“ რიგებში გააგრძელებსო.

**ბლეზ მატუიდი** (26 წლის. პსჟ) - სწორედ მატუიდიმ შეიძლება შეცვალოს ჩაბი ალონსო „რეალში“. თავისი დახვეწილი, პროდუქტიული და შთამბეჭდავი თამაშით, მან მადრიდელები მონუსხა, მათ ნუსხაში მოხვდა და თავადაც მოხიბლულია „სამეფო გუნდის“ ინტერესით. ამიტომაც, პსჟ-სთან კონტრაქტს არ ახანგრძლივებს. ვნახოთ, დაველოდოთ.

**რობერტ ლევანდოვსკი** (25 წლის. დორტმუნდი) - ამ შემთხვევაში თითქოს ყველაფერი ცხადი და ნათელია. პოლონელი ფორვარდი სეზონს ჩაამთავრებს და დორტმუნდელთათვის სამწუხაროდ, უფასოდ მიებარება მიუნხენის „ბაიერნს“.

**ჯოლეონ ლესკოტი** (31 წლის. სიტი) - აღარც პატარა ბიჭია და ბოლო დროს ტრავმებმაც აურიეს საქმე, მაგრამ ვინ უნდა ნახოს „სიტიმ“ „ნაიარევ სახეზე“ უკეთესი?

**ეშლი კოული** (33 წლის. ჩელსი) - უცნაურადაა „ლურჯების“ საქმე. გაახალგაზრდავებისკენ სწრაფვა კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა. ლამპარდი, ტერი, კოული... ასე ერთი ხელის მოსმით მოიშორო და ახალ კონტრაქტზე აწუწუნო, ცოტა უხერხული და მოულოდნელია. თანაც „ჩელსის“ დაცვაში ფლანგებზე ისედაც უჭირს.

**პატრის ევრა** (32 წლის. მანჩესტერი) - „ჩელსის“ დარად, „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ახალი სისხლის გადასხმას ცდილობს, მაგრამ „წითელი ეშმაკების“ დაცვის ხაზი ამას ყველაზე მტკივნეულად იღებს. ისე, თუკი ძველი გვარდიიდან ვინმეს გაშვებაზეა ლაპარაკი, ყველაზე ნაკლებად ევრას კანდიდატურა უნდა განიხილებოდეს. ფრანგმა ისევ მოუმატა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ სეზონში უკვე არაერთი საგოლე პასით გამოირჩა.

**რიო ფერდინანდი** (35 წლის. მანჩესტერი) - როგორც სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავის ავტობიოგრაფიაში დაწერა - „სიტისთან“ სამარცხვინო 1:6-ისას მიხვდა, რომ ფერდინანდის საუკეთესო წლები უკან დარჩა და ეს ის რიო აღარ არის. ეჰ, რიო, რიო...

**ნემანია ვიდიჩი** (32 წლის. მანჩესტერი) - კი ბატონო, ველარც სერბი აკმაყოფილებს მოთხოვნებს ბოლომდე, მაგრამ ჩნდება კითხვა - ჰყავს კი „მანჩესტერ იუნაიტედს“ მისი, ფერდინანდის ღირსეული შემცვლელები? შეძლებენ ამას **ჯონი ევანსი, ფილ ჯონსი და კრის სმოლინგი**?

**ვიქტორ ვალდესი** (31 წლის. ბარსელონა) - „ბარსას“ ახალი, უფრო ძლიერი მეკარე უნდა. ვალდესი კი დაიღალა იმის მოსმენით, რომ კატალონიელთა ყველაზე სუსტი წერტილია და მასაც ახალი მოტივაცია სჭირდება. ამიტომაც, მხარეები ზაფხულში ტკბილად დაშორდებიან ერთმანეთს. ვალდესით, რომელიც 14 იანვარს 32 წლის გახდება, ამ წუთისთვის ყველაზე აქტიურად „მონაკო“ და „მანჩესტერ სიტი“ არიან დაინტერესებულნი.


„იუნაიტედში“ ნემანია ვიდიჩისა და რიო ფერდინანდის დრო მიდის

**ტომაშ როსიცკი** (33 წლის. არსენალი) - მთელი კარიერის განმავლობაში ტრავმებით განამებული ნიჭიერი ჩეხი ამბობს, რომ დარჩენა უნდა, მაგრამ „მეთოფეების“ ხელმძღვანელები ჯერ ფიქრობენ და დიდია შანსი იმისა, რომ მისი გაშვება მოიფიქრონ. ასეთი დონის მოთამაშის უფასოდ ხელში ჩაგდებაზე უარს ცოტა თუ იტყვის.

**ჯო კოული** (32 წლის. ვესტ ჰემი) - კიდევ ერთი ბოლომდე გაუხსნელი ტალანტი. პირადად ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი ჯოზეფ ჯონ (ჯო) კოული უკვე 32 წლისაა... ძნელი დასაჯერებელია. „პატარა ჯო“ ამჟამადაც პრემიერლიგის 10 უმდიდრეს ინგლისელ ფეხბურთელს შორისაა, მაგრამ ისეთ თამაშს ვერ აჩვენებს, როგორიც შეუძლია, შესანახად კი ძვირი სიამოვნებაა.

**ბაქარი სანია** (30 წლის. არსენალი) - სენეგალური ფესვების მქონე ფრანგი 14 თებერვალს 31 წლის გახდება. „არსენალის“ პოლიტიკა მოგეხსენებათ, გუნდი 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებს ერთწლიან კონტრაქტზე მეტს არ სთავაზობს ხოლმე. ასე რომ, ეს ალბათ მაქსიმუმი იქნება, რასაც სანიას შესთავაზებენ, თუ საერთოდ შესთავაზეს.

**სამუელ ეტოო** (32 წლის. ჩელსი) - რუსეთში ოდნავ მიყინულ-მიძინებული „მკვლელის ინსტინქტი“ და გოლის ალღო კამერუნელს ნელ-ნელა უბრუნდება. თუმცა ვნახოთ, გააკეთებს თუ არა ის იმის სამყოფს, რომ მოურინიომ უფროსობას ეტოოს შენარჩუნება მოსთხოვოს.

**დიმიტარ ბერბატოვი** (32 წლის. ფულემი) - 30 იანვარს ბულგარელი 33 წლის მოიყრება, მაგრამ თუ ხასიათზეა და თუ თამაში არ ეზარება, „ფეხბურთის ენდი გარსიას“ ყველაფრის გაკეთება შეუძლია მინდორზე და ძალუძს ისევ უაღრესად დახვეწილი და სასარგებლო იყოს. ერთი რამ, რაც 90%-ით შეგვიძლია ვივარაუდოთ ესაა - ბერბა „ფულემში“ არ დარჩება.

**ესტებან კამბიასო** (33 წლის. ინტერი) - „ინტერის“ გაჭირვების ტალკვესი. მებრძოლი, ჟინიანი, შეუპოვარი და ბოლომდე დაუფასებელი არგენტინელი, როგორც ჩანს, „ნერაძურის“ ახალი უფროსობის გეგმებში აღარ შედის. მეტსახელიც ისეთი აქვს... კამბიასოს „კუჩუს“ ეძახიან, რაც „ბებერ კაცს“ ნიშნავს. გავრცელებული ცნობით, სამშობლოში აპირებს დაბრუნებას.

**დიეგო** (28 წლის. ვოლფსბურგი) - ევროპაში ბრაზილიელმა „ვერდერის“ მერე ვერც ერთ კლუბში ვერ მოიკიდა მყარად ფეხი და ვერსად გაიბრწყინა. თუ „მგლები“ მის გაშვებას გადაწყვეტენ, საინტერესოა, სად იქნება დიეგო რიბას და კუნიას მორიგი გაჩერება.

**ბაფეტიმბი გომისი** (28 წლის. ლიონი) - „სენტ ეტიენის“ ექსფორვარდმა თავად გადაწყვიტა, რომ „ლიონიდან“ უნდა წავიდეს. ახლახან კლუბმა მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ გომისმა განაცხადა: „დროა გარემო შევიცვალო და სხვა გუნდში გამოვცადო საკუთარი თავი“. არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ სენეგალური ფესვების მქონე ფრანგით „ნიუკასლია“ დაინტერესებული.

**ტიმო ჰილდებრანდი** (34 წლის. შალკე) - ბოლო წლებში გელზენკირხენულ გუნდში მეკარის პრობლემა აქტუალურია. ტრავმებისა და სხვა მიზეზების გამო, ეს საკითხი ამ სეზონშიც დღის წესრიგშია და სწორედ აქ გაგვახსენა თავი ვეტერანმა ჰილდებრანდმა. იგი გუნდს ძალიან დაეხმარა და დაამტკიცა, რომ თუ ხასიათზეა და თუ ფორმაშია, შეუდარებელი გახლავთ. კლასი და ნიჭი არ იკარგება. თუმცა მომავალ ზაფხულს არასტაბილური ტიმო უკვე 35 წლის იქნება. იგი „შალკეს“ გადაწყვეტილებას ელოდება.

**ფილიპ ჯორჯევიჩი** (26 წლის. ნანტი) - „იადონების“ მთავარმეგოლე კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. ასე, თავისუფალ აგენტად ის ზაფხულში უფრო მიმზიდველი იქნება მსურველებისთვის, რომლებიც იტალიის სერია A-დან და ინგლისის პრემიერლიგიდან ჰყავს. თუმცა იქამდე სერბმა გოლების გატანაც უნდა გააგრძელოს.

**გიორგი პაპაბაძე**



● ოქროს ბურთის ლაპები

# მოდი, დავაკვირდეთ
## რას გვეუბნებიან რონალდო, მესი და რიბერი თავიანთი სხეულის ენით


ფრანკ რიბერი

**რიბერი, რონალდო,** თუ ისევ **მესი**? ეს კითხვა 2013 და 2014 წლების გზაგასაყარზე საფეხბურთო მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანია და ამ კითხვას პასუხი 13 იანვარს, „ოქროს ბურთის“ გალა-დაჯილდოვებაზე გაეცემა. თუმცა ამ კითხვას აქვს ქვეკითხვებიც, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა: რა კრიტერიუმებით ირჩევენ თავიანთ ფავორიტებს სხვადასხვა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები და კაპიტნები? აი, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მიღება კი შეუძლებელია. ზოგი ტიტულებს ანიჭებს მნიშვნელობას, ზოგი გოლების რაოდენობას, ზოგიც, უბრალოდ, მისთვის ყველაზე პატივსაცემს აძლევს ხმას. არჩევანის გაკეთებისას, წესით, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს ისიც, თუ როგორ წარმოაჩენენ თავის თავს კანდიდატები, ან, მარტივად რომ ვთქვათ, როგორი ტიპები არიან ისინი. გერმანული ჟურნალის, „ფოკუსის“ ექსპერტი **შტეფან ფერა** რიბერის, რონალდოს და მესის აკვირდებოდა და მათი სხეულის ენა გააანალიზა.

### ფრანკ რიბერი

ფრანგი ყველაზე გამოკვეთილი ტიპაჟია და მისი ხასიათი რიბერის ნებისმიერ მიმიკაში კარგად ჩანს. „ბაიერნისა“ და საფრანგეთის ნაკრების ლიდერი, რომლისთვისაც 2013 წელი იდეალური იყო (ყველა ტიტული მოიგო), თავის ემოციებს, გაბრაზებას თუ სიხარულს ყოველთვის მკვეთრად და გულახდილად გამოხატავს.

ამიტომაც მოსწონთ, ოღონდ მხოლოდ მათ, ვისი გულიც „ბაიერნისთვის“ ან საფრანგეთის ნაკრებისთვის ძგერს, რადგან ნეიტრალური ქომაგისთვის რიბერი ყოველთვის მოსაწონი და შესაბამისად, საყვარელი არ არის. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანს ქვეცნობიერად ყოველთვის მოსწონს, როცა ზუსტად იცის, რასთან, ან, ამ შემთხვევაში, ვისთან აქვს საქმე. რიბერის კი ნიღბები არ აქვს - მისი ქცევა ყოველთვის გულახდილია. განსაკუთრებულია მისი იუმორი და სიმსუბუქეც. მაგალითად, მას მერე, რაც **ლუკა ტონი** წავიდა, მიუნხენის „ბაიერნში“ რიბერიზე ხშირად არავინ იცინის და მასზე ხშირად თანაგუნდელებს ვერავინ აცინებს.

რიბერის ემოციურობასა და სიმსუბუქეს „ბაიერნზე“ დადებითი გავლენაც აქვს და უარყოფითიც. რაკი ფრანგი მარტივად ბრაზდება, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ მოედნიდან გააძევონ. რეკორდმაისტერში რიბერი ყველაზე ახლოს ახალგაზრდა ავსტრიელ ფეხბურთელთან, **დავიდ ალაბასთანაა** - მიუხედავად ასაკში სხვაობისა, ალაბა და რიბერი საუკეთესო მეგობრები არიან.

### რონალდო

პორტუგალიელი მეგავარსკვლავი რიბერის ანტიპოდია. რონალდო ძალიან იშვიათად იღიმება და როცა იღიმება, მაშინაც ეტყობა, რომ ეს იუმორის გრძნობით გამოწვეული ღიმილი არ არის. რიბერისგან განსხვავებით, დედაბუნებამ რონალდოს კარგი გარეგნობა მისცა და კრიშტიანოს ყოველთვის, ნებისმიერ მომენტში ეტყობა, რომ ეს კარგად იცის. ამიტომაცაა, რომ მისი სხეულის ენა ხშირად მხოლოდ მასვე ემსახურება. ცნობილია, რომ კრიშტიანო ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს საკუთარ გარეგნობას და ხშირად ახდენს ათლეტურობის დემონსტრირებას.

ყველამ ვიცით, როგორ დგას რონალდო იმ დროს, როცა საჯარიმო დარტყმის შესასრულებლად ემზადება - ბურთისგან საკმაოდ შორს, ფეხები განზე, ხელები უკან, შუბლი წინ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კრიშტიანო საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა, როგორ უნდა დამდგარიყო ისე, რომ პოზა თავის სავიზიტო ბარათად ექცია. შესაბამისად, კრიშტიანო აგრესიული ჩანს. ამ დროს მას პირი ყოველთვის ოდნავ ღია აქვს, რაც ფსიქოლოგების ენით იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ დროს რონალდო მაქსიმალურად კონცენტრირებულია (ზუსტად ისე, როგორც პატარა ბავშვი, რომელიც მაქსიმალური კონცენტრაციით უყურებს მულტფილმს). ფსიქოლოგების ენას თუ დავუჯერებთ, ასეთი დგომა საჭირო სულაც არ არის, მაგრამ, რაც მთავარია, გავლენას ახდენს როგორც თავად რონალდოს ფსიქიკაზე (დადებითს), ისე მოწინააღმდეგეებზეც (უარყოფითს).


კრიშტიანო რონალდო

### ლიონელ მესი

ლეო მესი კი აბსოლუტურად სხვანაირი ტიპაა. მისი მიმიკა ნაკლებ მოქნილობას გვიჩვენებს. მესი ფეხბურთის თამაშის დროს დიდად არ განსხვავდება მესისგან, რომელსაც ფოტოებს უღებენ.


ლიონელ მესი

ამის გამო მესი მოედანს მიღმა ყურადღების ცენტრში ნაკლებად ექცევა და ცნობილი ფეხბურთელი რომ არ იყოს, საზოგადოებაში, შესაძლოა, ვერც ვერავის შეემჩნია. თანაც, ტანად დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი პერსონის სხეულის ენით დემონსტრირება ნაკლებად შეუძლია.

მესის ეტყობა, რომ ბავშვობაში წუხდა თავისი სიმაღლის გამო და, შეიძლება ითქვას, რომ ახლაც წუხს, რადგან თუნდაც გოლის ზეიმის დროს თანაგუნდელებთან ფიზიკურ სიახლოვეს გაურბის. ცნობილია, რომ მესი ვერ იტანდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** - შვედი ხომ აყლაყუდაა.

რიბერისგან განსხვავებით, არგენტინელს თამაშზე ან ვარჯიშებზე თითქმის არ ეტყობა, რომ რომელიმე თანაგუნდელის ახლო მეგობარია. მისი მთავარი პლუსი, საფეხბურთო თვალსაზრისით, წარმოუდგენელი მოქნილობაა, რომლითაც მცველებს თავზარს სცემს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2013 წლის მონაგარი

### აგვისტო

**1. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილამ" სტუმრად დაამარცხა ხორვატული „ჰაიდუკი" - 1:0.

**3. ჭადრაკი.** ევროპის ჩემპიონატზე **სალომე მელიამ** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**3-4. ძიუდო.** ბერლინის ახალგაზრდულ მსოფლიო თასზე ქართველმა ძიუდოისტებმა ჯამში 10 მედალი დაიმსახურეს.

**6. ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში თბილისის „დინამო" სტუმრად 1:1 დაუზავდა „სტიაუას" და ევროპალიგაზე გადაერთო.

**7. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში იტალიასთან 69:85 წააგო.

**8. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში პოლონეთთან 75:87 წააგო.

**8. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში გორის „დილამ" ხორვატული „ჰაიდუკი" 1:0 დაამარცხა და პლეი ოფში გავიდა.

**8-10. ძიუდო.** მაიამიში მსოფლიოს ჩემპიონატზე კადეტებში **კობა მჭედლიშვილი** (66 კგ) ჩემპიონი გახდა, **მარიამ ჯანაშვილმა** (52 კგ) და **თამაზ კირაკოზაშვილმა** (73კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

**9. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში ისრაელს 79:77 მოუგო.

**10. ფეხბურთი.** დაიწყო საქართველოს XXV ჩემპიონატი.

**13. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში ბოსნიასთან 63:68 წააგო.

**14. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში ბოსნიას 81:78 მოუგო.

**14. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **შმაგი ბოლქვაძემ** (66 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**14. ფეხბურთი.** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად ყაზახეთთან ამხანაგური მატჩი წააგო - 0:1.

**14. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლატვიის ნაკრები სტუმრად ამხანაგურ მატჩში გაანადგურა - 4:0.

**16. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში სერბეთი 75:71 დაამარცხა.

**17. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ტესტმატჩში საფრანგეთთან 71:86 წააგო.

**17-18. თავისუფალ ჭიდაობაში** მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო **გენო პეტრიაშვილმა** (120 კგ), **დავით ბუზიაშვილმა** (66) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო **ბექა ბუჯიაშვილმა** (55) და **შოთა ფარტენაძემ** (60) - ბრინჯაოსი.

**18. ჩოგბურთი.** აპიანოს (15 ათასი $) საერთაშორისო ტურნირი **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მოიგო.

**20. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში** ჭაბუკებში **ზვიად პატარიძე** (100 კგ) ჩემპიონი გახდა, **ლევან ქავჟარაძემ** (58) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**22. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფში თბილისის „დინამო" შინ 0:5 დამარცხდა „ტოტენჰემთან", ხოლო „დილამ" სტუმრად „რაპიდთან" 0:1 წააგო.

**24-25. თავისუფალ ჭიდაობაში** მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭაბუკებში **რამაზ ზოიძემ** (58 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, **ირაკლი მხეიძემ** (50) და **გივი მაჭარაშვილმა** (100) - ბრინჯაოსი.

**25-26. ძალოსნობა.** დუშეთში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი.

**26. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ) მე-5 ადგილი დაიკავა.

**26. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრები ტესტმატჩში ისრაელს შეხვდა სტუმრად და 74:73 მოუგო.

**27. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლაშა შავდათუაშვილი** (66 კგ) მე-3 ეტაპზე დამარცხდა.

**28. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატს **ნუგზარ ტატალაშვილი** და **ზებედა რეხვიაშვილი** (73 კგ) მე-3 ეტაპიდან გამოეთიშნენ.

## ბაკურიანი 2014

# საახალწლო საჩუქარი




**ბაკურიანის ერთ-ერთი მშვენება დიდველი მართლაც დიდებული ადგილია — ლამაზი მთები, თანამედროვე ულტრაიისფერი გონდოლებიანი საბაგირო გზები, მშვენიერი სასრიალო ტრასები, რესტორნებით და ადამიანები, რომლებიც იქ მისულთ ბრწყინვალედ ემსახურებიან.**

შპს „სერვის-8" დირექტორის **ნინო მიქაბერიძის** თქმით, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ატუ"-მ სახელმწიფოს გადასცა დაწოლილი ლიფტი ანუ ვაგონი, იგი გაივლის იმ ვიწრო ლიანდაგზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ გაკეთდა დიდველში. ულტრათანამედროვე საბაგირო გზებით მთაში ასვლის შემდეგ ვიწროლიანდაგიანი ვაგონი იქნება ის ბოლო აკორდი, რომლითაც შესაძლებელია დიდველის მთის წერტილზე დავდგათ ფეხი, საიდანაც უკვე თვით უმშვენიერეს ტაბაწყურამდე რამდენიმე ნაბიჯილა რჩება. ამ ადგილიდან, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2750 მეტრზე მეტია, ხელისგულივით მოჩანს კავკასიის მარადთოვლიანი ულამაზესი მთები. აქ თხილამურებით სრიალი შეუძლიათ მხოლოდ ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს.

სს „დიდველის" ლაიტნერის ფირმის საბაგირო გზაზე, რომლის სიგრძე 1600 მეტრია, ჩამოკიდებულია 8-8 ადგილიანი 34 გონდოლა და საათში 1500 ადამიანის მომსახურება შეუძლია, ანუ 5 წუთში შეგიძლიათ გადაადგილდეთ. შემდეგია „სერვის-8" დოპპელმაიერის 1100 სიგრძის საბაგირო გზა, რომელზეც ჩამოკიდებულია 31 ოთხადგილიანი დახურული სავარძელი. სათხილამურო ტრასის სიგრძე — 1600 მეტრია. აქვეა საჩოჩიალო-საბუგელე 900-მეტრიანი გზა 77 ბუგელით, რომელსაც მოიხმარენ მხოლოდ მოთხილამურეები. ტრასის სიგრძე 1200 მეტრია, რაც მთავარია, წლეულს ტრასის ხარისხი ბევრად გაუმჯობესდა. საახალწლოდ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვიწროლიანდაგიანი ლიფტი, ვაგონი ანუ ჩვენებურად ბაკურიანული „კუკუშკა" ჩადგა მწყობრში ვაგონი 40 კაცს იტევს, 3 წუთსა და 40 წამში გაივლის 380-მეტრიან ვიწრო ლიანდაგს და უმაღლეს წერტილზე ადის. აქედან ხელისგულივით მოსჩანს ბაკურიანი.

იქ, სადაც „კუკუშკას" ბოლო გაჩერებაა, 28 წლის **ალექსანდრე პონიატოვსკი,** რომელსაც ვიწროლიანდაგიან გზის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის, ეგებება სტუმრებს. იმ დღით, დიდველში როცა ავდიოდი, კარგი, მზიანი ამინდი იყო. ლაჟვარდოვან ცაში, ძალიან ლამაზად მოსჩანდა ცის კაბადონს მიკერებული ბოლო წერტილი, მაგრამ სანამ იქ ავიდოდი ამინდი ისე სწრაფად შეიცვალა (ეს აქ ხშირია), რომ მხოლოდ ნისლიანი სურათების გადაღება შევძელი. ცხადია, შევწუხდი. საშა შემპირდა, რომ წინა დღის გადაღებულ ფოტოებს გამომიგზავნიდა.

... ვდგავარ ზღვის დონიდან 2750 მეტრზე. ძლიერი ქარი არა მარტო ქრის, არამედ ზმუის კიდეც. ვიყურები ტაბაწყურისაკენ, მაგრამ იქაურობაც ღრუბელშია, ისევე, როგორც კავკასიონი, ხოლო მაღალი წერტილიდან ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის გათვლილ ტრასაზე პირველად ეშვება 26 წლის **ნუგზარ დიაკონაშვილი,** საქართველოს სნოუბორდის ფედერაციის წარმომადგენელი და ნაკრების წევრი, რომელმაც, როგორც შემდგომ გვითხრა, დიდი სიამოვნება მიიღო დაშვებისას. ძალიან მოეწონა „კუკუშკაც" და ექსტრემალური ტრასაც.

დიდველში სათხილამურო ტრასები ყოველთვის მზადყოფნაშია. გზები თოვლისაგან იწმინდება და იქელება სპეციალური თოვლსატკეპნი მანქანებით. ასევე, ადგილებზე მობილიზებულია მაშველთა ბრიგადა და სასწრაფო დახმარების მანქანა.

ახალი წლის წინა დღეებში ს.ს. „დიდველმა" და „სერვის-8"-ის წარმომადგენლებმა ბაკურიანში ჩამოსული ყველა სპორტული სკოლის მოთხილამურეები ერთი დღით მიიპატიჟეს ტრასებზე და მათვე შესთავაზეს პირველი გასეირნება „კუკუშკით".

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
ბაკურიანიდან

## ქართული სპორტის რჩეული 2014. ინტერვიუ გენო პეტრიაშვილთან

# მინდა ბევრი ტიტული მოვიპოვო

**19 წლის გორელი ფალავანი გენო პეტრიაშვილი ქართული საჭიდაო სამყაროს ამომავალი ვარსკვლავია. წლეულს მან თანატოლებში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატი აშკარა უპირატესობით მოიგო. უფროსებში კი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიდან მხოლოდ მან შეძლო მედლის მოპოვება. წლევანდელი სპორტული სეზონის მიწურულს ჯერ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და მერე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ იგი წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად აღიარეს. ორგზის ლაურეატი დღეს „ლელოს" სტუმარია.**



**— გენო, გილოცავთ, კმაყოფილი ხარ წლევანდელი წლით?**

— დიდი მადლობა მილოცვისთვის. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ.

**— დიდებში შენთვის ევროპის სადებიუტო ჩემპიონატზე მედლის მოპოვების მერე, საქართველოს თასიც მოიგე, რითაც, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა გაინაღდე**

ქვეყნის თასი, რომელშიც ყველა ლიდერს უნდა ესპარეზა, ჩემთვის მორიგი გამოცდა იყო საშინაო ასპარეზზე. უნდა დამემტკიცებინა, რომ შარშან დიდებში საქართველოს ჩემპიონი შემთხვევით არ გავმხდარვარ. საბედნიეროდ, თასიც მოვიგე, რითაც საკუთარ თავს და ჩემდამი სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებსაც ბევრი რამ დავუმტკიცე. ძალიან მინდოდა დიდების მსოფლიოს ჩემპიონატში ასპარეზობა, რისთვისაც საქართველოს თასის მოგება აუცილებელი წინაპირობა იყო. მწვრთნელთან ერთად ყველაფერი სწორად დავგეგმეთ.

**— უცნაური იყო, რომ საქართველოს თასზე სამივე ლიდერი შენ, მოძმანაშვილი და საკანდელიძე ერთ ბადეში მოხვდით...**

— გადაწყვიტეს, რომ არავინ განეთესათ და სამივე ერთ ჯგუფში აღმოვჩნდით. მოძმანაშვილი და საკანდელიძე თავიდანვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, საკანდელიძე კი მე ნახევარფინალში შემხვდა. საბოლოოდ ოთხი შეხვედრის მოგებით საქართველოს თასი მე მხვდა წილად, რამაც ახალგაზრდებს შორის მოახლოებული ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ სტიმული მომცა.

**— ორივე ეს ჩემპიონატი ტრიუმფით განვლე. აღსანიშნავია, რომ საერთო ანგარიშით შეხვედრები ევროპაზე 31:0, მსოფლიოზე კი 44:6 დაასრულე.**

— ამაზე ბევრმა უშუალოდ შეჯიბრებებზეც მითხრა, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, ანგარიშებს ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ — მთავარი საბოლოო მიზანია — შენი ქვეყნის ჰიმნს რომ აჟღერებინებ მეტად საამყოა! ისე, იმას უფრო დიდხანს ვიმახსოვრებ ვისთან რამდენი ქულა დავკარგე.

**— დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრებიდან მხოლოდ შენ დაიმსახურე მედალი. სხვებზე უკეთ იყავი მომზადებული, თუ გუნდს უბრალოდ ჩავარდნა ჰქონდა?**

— სხვებზე ვერაფერს გეტყვით. თავად კი, ვფიქრობ, კარგად მოვემზადე. მნიშვნელოვანი შეჯიბრების მერე მსოფლიოს ჩემპიონატის შეკრებაში კარგად ჩავერთე, მაგრამ ნაკრების თავკაცმა რეზო მინდორაშვილმა და პირადმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა გადაღლა შემნიშნეს და გადამიყვანეს ე.წ. „მიმყვან" ვარჯიშებზე, ზედმეტი დატვირთვა ამაცილეს. ასეთი მიდგომა რომ სწორი იყო, ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატმა დაადასტურა.

**— გაცალოვთან კარგად დაწყებულ შეხვედრაში მარცხი რომ არა, ბუდაპეშტშიც ახლოს იყავი ტრიუმფთან.**

— ყველა შეხვედრა კარგად მოვიგე. ნახევარფინალში გაცალოვთან კი მიუხედავად იმისა, რომ ვიგებდი, დასანანად წავაგე. ბევრმა მითხრა, რომ ეს გამოუცდელობის გამო მოხდა. შესაძლოა ასეც იყო, არ ვიცი. მე უზომოდ მინდოდა ჩემპიონობა, ხალიჩაზე დიდი ჟინით შევედი, პირველი ქულის აღების

>> მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. სკანდალი

# შლეზინგერი – ისრაელის გერი?

საახალწლოდ უჩვეულო სკანდალმა იფეთქა ებრაულ ძიუდოში, რომლის ეპიცენტრშიც ქალთა ნაკრების ლიდერი **ალისე შლეზინგერი** (63) აღმოჩნდა – ის ქვეყნის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ **მოშე პონტს** თავისი კარიერის დაბლოკვაში ადანაშაულებს და სასამართლოში უჩივის, პარალელურად კი სხვაგან წასვლით იმუქრება.

25 წლის შლეზინგერი მსოფლიოს 2009 წლის ბრინჯაოს მედალოსანია, ევროპის პირველობაზე კი სამჯერ მოუპოვებია ანალოგიური ჯილდო. მისი ბოლო მიღწევა ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრაა, თუმცა იქ წარუმატებლად გამოვიდა – მეორე წრეში სლოვენიელთა მომავალ ჩემპიონ **ურსკა ზოლნირთან** დამარცხდა. ამის შემდეგ ის მხოლოდ ერთხელ გავიდა ტატამზე – წლეულს სამსუნში, „დიდ პრიზზე“, სადაც ისევ მესამეზე გავიდა.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე შლეზინგერმა გაიხსენა ლონდონური თამაშების შემდეგ პონტის ინიციატივით გამართული შეხვედრა, სადაც, მისი თქმით, პრეზიდენტმა გარკვევით მიანიშნა, რომ სამომავლოდ მისთვის ოლიმპიადის კარი ჩაიკეტებოდა. *„პონტისთან საუბარში ყველაფერი გავიგე, რაც მას სურდა. მისი სურვილი იყო, არ დავრჩენილიყავი ძიუდოში. სპორტულ ასპარეზზე რაც უნდა გამეკეთებინა, რეიტინგში პირველიც რომ ვყოფილიყავი, ოლიმპიადაზე მაინც არ მოვხვდებოდი. იმ წუთებში მივხვდი, რომ მას სურდა ჩემი კარიერის განადგურება და ამის შანსიც აქვს. თუმცა იქვე მივიღე ახალი წინადადება, ამას თუ წინადადება ჰქვია – სავარჯიშოდ გადავსულიყავი შანი გერშკოსთან, ვინც ჩემი კონკურენტის პირადი მწვრთნელია“.*

აი, პირადი მწვრთნელების თემას თუ გადავხედავთ, საინტერესო სურათს ვიხილავთ – გერშკო მართლაც ავარჯიშებს შლეზინგერის მთავარ კონკურენტს, პარალელურად კი სწორედ ოლიმპიადის შემდეგ ქალთა ეროვნული ნაკრებიც ჩააბარეს. რაც შეეხება თავად შლეზინგერს, მას თავისივე მეუღლე – **პაველ მუსინი** ამზადებს. როგორც ალისე ამბობს, ამ კრიტიკულ ვითარებაში მან მეუღლისთვის მსხვერპლის უანგაროდ გაღებაც მოინდომა და, ოღონდ კი მისი კარიერა არ შეეფერხებინა, თურმე მზად იყო, გვერდზე გამდგარიყო, თავის პრემიაზეც კი ეთქვა უარი, მაგრამ პონტი ამაზეც არ დათანხმდა. შლეზინგერი იმასაც დასძენს, პრეზიდენტმა კარგად იცოდა, რომ გერშკოსთან ვარჯიშს არ დავთანხმდებოდი.


ალისე შლეზინგერი

*„ჩვენი მთავარი მიზანი გათავისუფლებაა. ჩვენ დაახლოებით 15-მა ქვეყანამ მოგვმართა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც შოკირებულნი არიან ამ ამბით. მათ სურთ, რომ ალისემ იმათი ქვეყნის სახელით იასპარეზოს“* - განაცხადა მუსინიმ.

და ვინაა შლეზინგერის მთავარი კონკურენტი? მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი, მომხიბლავი და სადღეისოდ ერთ-ერთი გამორჩეულად ლამაზი ძიუდოისტი ქალბატონი **იასინ გერბი**, ვინც აგვისტოში ბრაზილიაში გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატზე ის მეორეზე გავიდა, შლეზინგერი – მესამეზე, თუმცა ოლიმპიადაზე მაინც შლეზინგერი წაიყვანეს, რადგან რეიტინგში უსწრებდა კონკურენტს.

აღნიშნულ კონფლიქტზე ებრაული მედია ახლო წარსულში ისრაელის ძიუდოისტთა ნაკრების კაპიტანს, ამჟამად ქნესეთის დეპუტატს პარტია „ეშ ატიდან“ **იოელ რაზვოზოვს** დაუკავშირდა, რომელმაც ხაზი გაუსვა შლეზინგერის მაღალ კლასს, აღნიშნა ისიც, რომ ორივე მონაწილეს კარგი მიღწევები აქვს და ასეთი კონკურენცია შედეგების ამაღლებას იწვევს, თუმცა მომხდარში უფრო ალისე დაადანაშაულა, როცა განაცხადა: *„მან არ ისურვა გერშკოსთან ვარჯიში და წავიდა შეკრებიდან. შემდეგ ის ჩაერია მოლაპარაკებებში და მიაღწია შეთანხმებას, რომ კვირაში მხოლოდ სამი დღე ივარჯიშებდა ნაკრებთან, დანარჩენ დროს კი მუსინთან მოემზადებოდა.*

რაზვოზოვის სიტყვებიდან ისიც ირკვევა, რომ პირველი კონფლიქტი წლეულს გაზაფხულზე მოხდა, როცა მუსინი ბუდაპეშტში, ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანეს. რაზვოზოვმა განმარტა, რომ მხოლოდ ნაკრების მწვრთნელებს აფინანსებს და არა პირად დამრიგებლებს. ესეც უტყუარი არგუმენტი ჩანს, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ისრაელის ძიუდოს ფედერაცია და ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი არც ისე მდიდარია. გავიხსენოთ ოლიმპიადის წინ ამტყდარი სკანდალი, როცა ლონდონში არ მიჰყავდათ ძიუდოისტი **არტიომ არშანსკი** (60), ორი მძლეოსანი და კიდევ 3 სპორტსმენი იმ მოტივით, რომ მათ მედლის მოპოვების შანსი არ ჰქონდათ და ფინანსებს დაზოგავდნენ.

რაზვოზოვმა შლეზინგერიას გადაბირების ერთი მსურველიც დაასახელა და როგორ გგონიათ, ვინ იქნებოდა ეს ქვეყანა? რა თქმა უნდა, აზერბაიჯანი, რომელიც კვლავაც აგრძელებს ნადირობას მსოფლიოს წამყვანი ათლეტების გადასაბირებლად. სულ უახლესი მაგალითი - ცოტა ხნის წინათ კვლავ შესთავაზეს 1 მილიონი დოლარი ქალთა ჭიდაობაში ბულგარელთა ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **სტანკა ზლატევას**, ხოლო შლეზინგერის გადაბირების ასეთ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ! თუმცა სპორტსმენს ბრიტანეთის მოქალაქეობაც ჰქონია და კუნძულზე გადასაბარგებლად მხოლოდ იქაურთა მიწვევა იყო საჭირო. მით უფრო, ბრიტანელებს ამ წონაში რიგიანი წარმომადგენელი არც ჰყავთ.

შლეზინგერის ამბავში ბევრი „ქართული“ მომენტი იკვეთება. კერძოდ, ჩვენთვისაც მტკივნეულად აქტუალურია თემა, როცა ნაკრების მთავარ მწვრთნელს პირადი მოსწავლეებიც ჰყავს. ისიც ნიშანდობლივია, როცა პირად მწვრთნელს ტურნირზე წასვლის შანსი არ ეძლევა და ორი ვარსკვლავის შეუთავსებლობაც ნაცნობი ამბავია. თუმცა დიდი სანდოობით არც ისრაელის ძიუდოს ფედერაცია დაიტრაბახებს, რადგან შიდა ქიშპი იქაც ისევე აქტუალურია, როგორც ჩვენთან იყო ამ ცოტა ხნის წინათ. თავის დროზე ამას გორელი ფალავანი **იოსებ ფალელაშვილიც** (73) შეეწირა - ალბათ, გახსოვთ, გახმაურებული სკანდალი, როცა მას გერმანულ სუპერმარკეტში ქურდობას ედავებოდნენ, სინამდვილეში კი გაირკვა, რომ ლაპარაკი იყო ბარგში აღმოჩენილ დაახლოებით 1-ევროიან კბილის პასტაზე, თუმცა გადაჭრით ვერავინ ამბობდა, შემთხვევით ჩავარდა ის კალათაში თუ ჩვენებურმა ჩააგდო. საბოლოოდ მას ჯარიმა გადაახდევინეს, მაგრამ ამ ამბავს ისრაელის ფედერაცია აქტიურად არეკლამებდა მთელ მსოფლიოში. შესაძლოა, ამაში ზემოხსენებული რაზვოზოვის ხელიც ერია, რადგან ფალელაშვილი მისი კონკურენტი იყო, რასაც ოლიმპიადამდე კონფლიქტი მოჰყვა - ჩვენებურმა სცემა ის, სამაგიეროდ, რუსმა ებრაელმა კაპიტანის უფლებები გამოიყენა და შეკრებიდან გააშვებინა ქართველი. საბოლოოდ, ფალელაშვილი სამშობლოში დაბრუნდა.

**ირაკლი თავაძე**

« მე-10 გვერდიდან

# მინდა ბევრი ტიტული მოვიპოვო

მერე ვიჩქარე, გამოცდილ მეტოქესთან საქმის მალე მოთავება მოვინდომე. ხალიჩიდან გამოსვლის მერე ძალიან რომ ვნერვიულობდი, ტიტულოვანი ხეტაგ გაზიუმოვი მოვიდა ჩემთან, გადამეხვია და მითხრა: „არაუშავს, შენ ძალიან მაგარი ხარ, მაგრამ მგონი თავი ისევ ახალგაზრდებში გეგონა, ამხელა სპორტსმენისთვის ეგრე ადვილად რომ გინდოდა მოგეგოო?“

**— ტიტულებით გაცალოვის დარ სპორტსმენს ადრე არ შეხვედრიხარ?**

— ის ხუთგზის მსოფლიოსა და ერთხელაც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია და აქამდე ვინც შემხვედრია, მათ შორის მართლაც ყველაზე ტიტულოვანია. ვნახე როგორ ჭკვიანურად მოქმედებს ხალიჩაზე, სხარტია და ფიზიკურად ძლიერი, მოკლედ, დიდი ფალავანია! დოპინგკონტროლზეც ერთად მოვხვდით და ვისაუბრეთ. მითხრა — მაგარი ბიჭი ხარ, პერსპექტიულიო და მომილოცა მოპოვებული ბრინჯაოს მედალი, მეც ცხადია, მივულოცე დამსახურებული გამარჯვება.

**— საერთაშორისო ასპარეზზე ვის მიიჩნევ მთავარ კონკურენტებად?**

— იგივე გაცალოვს (რუსეთი), ალან ზასიევს (უკრაინა), ტაჰა აკგულის (თურქეთი). კიდევ რამდენიმე ძლიერი სპორტსმენია, ვისთან მოგებაც იოლი არაა.

**— მთავარი კონკურენტების წინააღმდეგ საპაექროდ განსაკუთრებით ემზადები ხოლმე?**

— ამ საქმეში და საერთოდაც მომზადების პროცესში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემი პირადი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი. ის მართლაც უძლიერესი სპეციალისტია. ძალიან ბევრი რამე იცის ტექნიკის, ტაქტიკის თვალსაზრისით, იმასთან დაკავშირებით, თუ ცალკეულ მოწინააღმდეგეს რა უნდა დავუპირისპირო მოსაგებად. მე მისი დიდი მადლობელი ვარ!

**— მიუხედავად დიდებში წარმატებით გადასვლისა, კიდევ ერთი წელი დაგრჩა ახალგაზრდებში.**

— ამ დროსაც მაქსიმალურად გამოვიყენებ ახალგაზრდებში და საერთოდ, სადაც შევძლებ ჭიდაობას, მუდამ ჩემპიონობისათვის ვიბრძოლებ! ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი ტიტული მოვიპოვო და ჩემი ქვეყნის სახელი ყველგან ღირსეულად წარმოვაჩინო!

**— ქართული ჭიდაობის ტურნირებზე მაყურებელთა შორის ხშირად გხედავ ხოლმე. „ფალავნობაზეც“ ტრიბუნებზე იყავი. როდის გიხილავთ არენაზე?**

— სხვათა შორის, წლევანდელმა აბსოლუტურმა ფალავანმა პაატა ღვინიაშვილმ, ფალავნობის წინ ბევრჯერ მთხოვა, რომ მეც მიმეღო მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში, მაგრამ მოგეხსენებათ თავისუფალი ჭიდაობა ქართულთან სტილით არცთუ ახლოსაა და მეც ბოლოს მაინც უარი ვთქვი. ისე კი მართლაც ხშირად ვესწრები ნახერხმოყრილ არენაზე გამართულ შეჯიბრებებს. ტანში მბურძგლავს საჭიდაო მუსიკის გაგონებისასაც კი და ძალიან მომწონს ქართული ჭიდაობის სტილი.

**ვასილ ბალახაძე**

თარიღები და მოვლენები

## 01 - 05 იანვარი

**01. 1957.** დაიბადა **რამაზ შენგელია** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2012 წელს

**01. 1974.** დაიბადა **ხათუნა ქვრივიშვილი** — მშვილდოსნობა

**01. 1987.** დაიბადა **ნანა ძაგნიძე** — ჭადრაკი

**01. 1988.** დაიბადა **ადამ ოქრუაშვილი** — ძიუდო

**02. 1937.** დაიბადა **ვაჟა კაჭარავა** — ფრენბურთი

**02. 1938.** დაიბადა **ნოდარ ახალკაცი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1998 წელს

**02. 1948.** დაიბადა **გივი ნოდია** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს

**02. 1954.** დაიბადა **თინათინ ლეკვეიშვილი** — ცურვა

**02. 1969.** დაიბადა **ნინო სალუქვაძე** — ტყვ. სროლა

**02. 1978.** დაიბადა **დავით მუჯირი** — ფეხბურთი

**03. 1985.** დაიბადა **ალექსანდრე იაშვილი** — ფეხბურთი

**04. 1949.** დაიბადა **ფირუზ კანთელაძე** — ფეხბურთი

**04. 1973.** დაიბადა **გიორგი ანჩაბაძე** — ფეხბურთი

**04. 1985.** დაიბადა **სოფიკო ხუხაშვილი** — ჭადრაკი

**05. 1943.** დაიბადა **მურთაზ ხურცილავა** — ფეხბურთი

**05. 1949.** დაიბადა **ლევან ნოდია** — ფეხბურთი

**05. 1962.** დაიბადა **გრიგოლ ცაავა** — ფეხბურთი

**05. 1968.** დაიბადა **ლეილა მესხი** — ჩოგბურთი

**05. 1983.** დაიბადა **დავით ქევხიშვილი** — ძიუდო

**05. 1995.** თბილისში დაარსდა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია

ჩოგბურთი


ოქსანა კალაშნიკოვა (მარცხნივ)

# პირველი წრე გადალახა

თბილისელი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** ჩინეთში ჟენშენის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 500.000 დოლარი) ჩაება. ერთეულთა თანრიგში შეჯიბრება საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. პირველ წრეში ბულგარელ ცვეტანა პირენკოვას დაუპირისპირდა და ორ სეტში დამარცხდა - 2:6, 2:6, სამაგიეროდ, ჩვენებურმა წყვილებში იყოჩაღა უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან ერთად. სტარტზე მათ მასპინძლებს - ჟაოსინ იანსა და ქიუ იუ იეს სძლიეს სამ სეტში - 6:4, 6:7, 10:6. მეორე წრეში ისინი ასევე, ჩინელებს - იაფან ვანისა და ძიე ჟენის გაუწევენ მეტოქეობას, რომლებმაც თანამემამულეები - ცზიე სანი და შილინ სიუ დაამარცხეს - 6:4, 7:6.

**ვაჟა დანელია**

2013 წლის მონაგარი

**28. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრები ტესტმატჩში ისრაელს შეხვდა სტუმრად და 75:77 დამარცხდა.

**29. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფში თბილისის „დინამომ“ სტუმრად 0:3 წააგო „ტოტენჰემთან“. ასეთივე ანგარიშით „დილა“ შინ „რაპიდთან“ დამარცხდა. ორივე გუნდი ევროთასებს ჩამოშორდა.

**29. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო **ლევან წიკლაურმა** (81 კგ) მე-2 ეტაპზე წააგო.

**30. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ვარლამ ლიპარტელიანმა** (90 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**31. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლომერ ყორყოლიანმა** (100 კგ) მე-2 ეტაპზე წააგო, **ადამ ოქრუაშვილი** (100კგ+) მე-5 ადგილზე გავიდა.

## სექტემბერი

**1. კალათბურთი.** ტესტმატჩში საქართველოს ნაკრები 83:88 დამარცხდა (ოვერტაიმში) ლიტვასთან.

**1. ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე**) ოქროს მედალი მოიპოვა, ფინალში რუსეთი 3:2 დაამარცხა.

**4. კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა 84:67 დაამარცხა პოლონეთი.

**5. კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ხორვატიასთან 76:77 წააგო.

**5. ფეხბურთი.** საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა (მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**) ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში სტუმრად 3:0 დაამარცხა ლუქსემბურგი.

**6. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები შინ საფრანგეთს დაუზავდა - 0:0.

**7-8. რაგბი.** დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი.

**7. კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები სლოვენიასთან დამარცხდა - 68:72.

**8. კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ჩეხეთთან 79:95 წააგო.

**9. კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ესპანეთთან 59:83 დამარცხდა, ჯგუფში მე-5 ადგილი დაიკავა და გათამაშებას გამოეთიშა.

**9. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრად სლოვაკეთთან 0:1 დამარცხდა.

**10. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა შინ ფინეთთან 0:1 დათმო.

**10-11. მკლავჭიდი.** მსოფლიოს ჩემპიონატზე (დიდებში) 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **რევაზ ლუტიძე** (მძიმე).

**13. ჩოგბურთი.** ოქსანა კალაშნიკოვამ „ტრაბზონის თასი“ (50 ათასი $) მოიგო წყვილთა თანრიგში.

**17. თავისუფალი ჭიდაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუდაპეშტში **გენო პეტრიაშვილმა** (120 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**17-18. კალათბურთი. გიორგი შერმადინი** და **ვიქტორ სანიკიძე** „სარაგოსას“ წევრები გახდნენ.

**20-22. ძიუდო.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი - **გია გუგავა**) 5 მედალი მოიპოვა: 2 ოქრო - **ბექა ღვინიაშვილი** (90 კგ), **გურამ თუშიშვილი** (100), 2 ვერცხლი - **ლევან გუგავა** (73), **ლევან მატიაშვილი** (100+) და 1 ბრინჯაო - **გიორგი ზაქარიაძე** (100+).

**24-25. ძალოსნობა.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე (20 წლამდელთა შორის) **შოთა მიშველაძეს** (69 კგ) ვერცხლის მედალი ხვდა.

**24-25. ძალოსნობა.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე (23 წლ) **გიორგი ლომთაძემ** (77 კგ) ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

**27. ძალოსნობა.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე (20 წლ) **ლაშა ტალახაძემ** (მძიმე) ოქროს მედალი მოიგო.

**27. ფიგურული ციგურაობა. ელენე გედევანიშვილმა** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2013 წლის მონაგარი

### ოქტომბერი

**9. კალათბურთი.** დუდუ დადიანის მემორიალი „სოხუმმა“ მოიგო, რომელმაც ფინალში „არმია“ 84:57 დაამარცხა.

**10. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**) თბილისში ჰოლანდიასთან 0:6 წააგო.

**11-13. სამბო.** სალონიკში (საბერძნეთი) ჭაბუკთა და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა ჯამში 18 მედალი მოიპოვეს. 3 ოქრო, 5 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი მეტრეველი** (60 კგ, ჭაბუკები), **უშანგი მარგიანი** (82, ახალგაზრდები) და **ელენე ქებაძე** (80+, ახალგაზრდები).

**13. ჩოგბურთი.** მაკონის (აშშ) საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) მოიგო **ანა ტატიშვილმა.**

**13. ძიუდო. ნოდარ მეტრეველმა** (100+ კგ) მინსკის საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა.

**14. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2:1 მოუგო შოტლანდიას.

**15. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის ბოლო საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად ესპანეთის ნაკრებთან 0:2 დამარცხდა და ქვეჯგუფი ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა.

**17. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თბილისში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა (მწვრთნელი **ნოდარ აკობია**) 3:1 მოუგო სან მარინოს.

**19. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თბილისში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 2:0 დაამარცხა ლუქსემბურგი.

**19. კალათბურთი.** სტარტი აიღო საქართველოს 23-ე ჩემპიონატმა.

**19-20. თავისუფალი ჭიდაობა.** ხასავიურტში (რუსეთი) საკონტინენტთაშორისო თასზე ოქროს მედლები მოიპოვეს **ბექა ბუჯიაშვილმა** (55 კგ) და **გიორგი საკანდელიძემ** (მძიმე), ვერცხლი - **ლევან ქელეხსაშვილმა** (66).

**22. ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიასთან 0:1 დამარცხდა, თუმცა ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა,

**24-26. ძიუდო.** მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩემპიონი გახდა **ბექა ღვინიაშვილი** (90 კგ); მესამე ადგილებზე გავიდნენ **ლერი ჭელიძე** (55) და **ლევან მატიაშვილი** (100+).

**25-26. თავისუფალი ჭიდაობა:** ყაზახეთში საერთაშორისო ტურნირზე **დავით მარსაგიშვილმა** (84 კგ) და **ომარ გუსოშვილმა** (96) იმარჯვეს.

**25-26. თავისუფალი ჭიდაობა:** გროზნოში „კადიროვის თასზე“ **დავით მოძმანაშვილი** (120 კგ) ჩემპიონი გახდა.

**27. ძიუდო.** ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **გია გუგავა**) ფინალში საბერძნეთი 4:1 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

**27. ჩოგბურთი. ანა ტატიშვილმა** ფლორენსის (აშშ, 25 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**27. რაგბი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის 1/4 ფინალში ჩეხეთის ნაკრებს 69:8 აჯობა.

**30. რაგბი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ნახევარფინალში ესპანეთს 31:3 მოუგო.

**30. ხელბურთი.** მსოფლიოს 2015 წლის პირველობის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად ლიტვასთან 17:23 წააგო.

### ნოემბერი

**2. რაგბი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ლისაბონში ფინალში საქართველომ ბელგია 32:6 დაამარცხა.

---

საქართველოს ნაკრები

# უკრაინა, მოვდივართ!

ევროპასკეტი 2011, ევრობასკეტი 2013... ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატები ჯერჯერობით ორ წელიწადში ერთხელ იმართება. „საქართველოს ნაკრებმა, მართალია, პლეი ოფს ვერ მიაღწია, მაგრამ თავისი ორიგინალური სტილითა და ხასიათით თავისი კვალი დატოვა როგორც 2011 წლის, ასევე 2013-ის ევრობასკეტზე,“ - გაიხსენა ლიტველმა ლეგენდამ სერგეიუს იოვაიშამ. 2011 წელს ევროფორუმს ლიტვამ უმასპინძლა, 2013-ში - სლოვენიამ. ქართულ კალათბურთთან ორივე ქვეყანა ძალიან ახლოსაა, თუმცა არის კიდევ რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც ჩვენთან კულტურულადაც ახლოსაა და კალათბურთითაც. მათ შორისაა უკრაინა. შეგახსენებთ, რომ სწორედ საქართველოს, უკრაინისა და იტალიის კალათბურთის ფედერაციების პრეზიდენტების (შესაბამისად, ბესიკ ლიპარტელიანის, ალექსანდრ ვოლკოვისა და დინო მენეგინის) თაოსნობით შევიდა ფიბა-ევროპაში წინადადება ევრობასკეტის მონაწილეთა რაოდენობის 16-დან 24-მდე გაზრდის შესახებ. მასპინძელი ლიტველები კი უმალ დაყაბულდნენ.

ურთიერთობის კონტექსტში უკრაინა და საქართველო მართლაც ახლოს არიან, არც გეოგრაფიულად არიან ცხრა მთითა და ცხრა ზღვით დაშორებულები, საკალათბურთო თვალსაზრისით კი დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთივე მანძილზეა უკრაინასთან, როგორც, ვთქვათ ისლანდია. აი, რას ვგულისხმობთ: ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი სწორედ უკრაინაში გაიმართება და საქართველოს ნაკრებს შესარჩევ ეტაპზე ისეთივე გზა აქვს გასავლელი, როგორიც ისლანდიას.

ეს პუბლიკაცია 2013-ისა და 2014-ის მიჯნაზე შემთხვევით არ გამოჩენილა, სწორედ 13-ში ნაჩვენები შედეგები გადაწყვეტს შესარჩევი ეტაპის წილისყრის წინ რომელ კალათში მოხვდება ჩვენი ნაკრები. 2015-ის ევრობასკეტის შესარჩევი 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართება და დღესვე თამამად შეიძლება ითქვას - ქართული კალათბურთის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

ერთი იმიტომ, რომ 2004 წელს შეკრებილი ნაკრების ძირითადი ბირთვი 2015 წლის ევრობასკეტისთვის 29-32 წლისა იქნება და სწორედ ამ ასაკში უნდა მიაღწიოს კარიერის მწვერვალს. შესაძლოა, უკრაინის ევროპის ჩემპიონატი ბოლო შანსი იყოს ზოგიერთი მათგანისთვის.

და მეორეც: მეგობარ ქვეყანაში გასამართ ევრობასკეტზე მოხვედრა ქართული კალათბურთის პოპულარიზაციისა და სახელისთვის იდეალური იქნება - დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ გულშემატკივრების სიუხვითა და ხმაურიანობით მხოლოდ მასპინძლებს თუ ჩამოვრჩებით. წარმოიდგინეთ, ევრობასკეტი-2015-ზე ვერმოხვედრა, რამდენ ქართველს მოაკლებს უცხო ქვეყანაში საკუთარი დროშის წინაშე ამაყად დგომის სიხარულს.



## ვის დავეჭიდებით?

დავიწყოთ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატიდან. ამ შეჯიბრების შვიდმა საუკეთესო ნაკრებმა მუნდიალი-2014-ის საგზური ავტომატურად მიიღო. ისინი ასევე უშესარჩევოდ მოხვდნენ 2015 წლის უკრაინის ევრობასკეტზე. „შესანიშნავ შვიდეულს“ დაემატება კიდევ ორი ევროპული გუნდი, რომლებიც თებერვალში მსოფლიოს ჩემპიონატის „ველურ ბარათს“ მიიღებენ. მართალია, ჯერ დაზუსტებით არავინ იცის, 4 ბარათიდან ევროპას რამდენს მისცემენ, მაგრამ ექსპერტების მტკიცებით, ორი იქნება. 500 ათას ევროსთან ერთად განაცხადი შეიტანეს რუსეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა, თურქეთმა, გერმანიამ...

როცა კალათბურთის ფედერაციაში ვიკითხე, ქართველებმა რატომ არ შევიტანეთ განაცხადი-მეთქი, მოკლე პასუხი მივიღე: 500 ათასს თავი რომ დავანებოთ, ფიბა-ს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, გუნდს წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰქონოდა გარკვეული შედეგი... საქართველოს ნაკრები კი ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს.

მუნდიალი-2014-ის მონაწილე შვიდეულს უნდა მივუმატოთ ორი „ველური“ ბარათის მეპატრონე და ესტონეთის ნაკრები. ბალტიისპირელები ევრო-2015-ის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებენ. ესტონეთი, 2013 წლის ევრობასკეტზე არ თამაშობდა და უკრაინის საგზური როგორ მოიპოვა? - იკითხავთ. უცნაურია, მაგრამ ასეა: ფიბა-ევროპამ 2013 წელს, იმ გუნდებისთვის, რომლებიც ევრობასკეტზე ვერ მოხვდნენ, შესარჩევი შეჯიბრება მოაწყო, რომლის გამარჯვებულმაც ევრო-2015-ის საგზური მიიღო. ფინალში ესტონელებმა ბულგარეთი დაამარცხეს.

2014 წელს გასამართ ევროშესარჩევზე ზემოთ ნახსენები ათეულის გამოკლების შემდეგ 30-მდე ნაკრები დარჩა. დღეს ზუსტი ციფრის დასახელება ორი მიზეზით არ შეგვიძლია - „ველური ბარათისა“ და ქვეყნების სურვილის გამო. რას ვგულისხმობთ სიტყვა „სურვილში“? ახლავე მოგახსენებთ: 2012 წელს აზერბაიჯანს ევრობასკეტის საგზურის მოპოვებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, 2013-ში კი გუნდი საერთოდ არ გამოჩენილა ასპარეზზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ აზერები წლეულს შესარჩევში მონაწილეობაზე უარს აღარ იტყვიან. მათ მსგავსად შეიძლება გამოჩნდეს კიდევ ზოგიერთი ქვეყანა. თუმცა ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიბა-ევროპა გუნდების რაოდენობას 30-ს არ გადააცილებს.

## რა გზით მოვხვდეთ უკრაინაში?

ფოთიდან შავი ზღვის გავლით უკრაინის საპორტო ქალაქებში გემებიც დადის და ეგრეთ წოდებული „კომეტებიც“, ჩვენს ქვეყნებს შორის საჰაერო ბილიკიც დაქნილია... თუმცა ამ ქვეთავის სათაურში სხვა შინაარსის შეკითხვაა - საქართველოს ნაკრებმა რა გზით უნდა იაროს ევრობასკეტზე მოსახვედრად?

მართალია, ფიბა-ევროპას გადაწყვეტილებათა სწრაფი ცვალებადობით არაერთხელ გავუოცებივართ, მაგრამ ამჯერად შესარჩევი ეტაპის ფორმატში ძირეულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ (თუმცა მიმაჩნია, რომ შესაცვლელია - შეიძლებოდა, გუნდები ოთხგუნდიან ჯგუფებად გაყოფილიყო და აგვისტო-სექტემბრის 24-დღიან შუალედში 8-ის ნაცვლად 6 მატჩი ჩაეტარებინათ). 2014 წელს გასამართი შესარჩევი ეტაპი 2012-ის ანალოგიური უნდა იყოს: გუნდები ხუთგუნდიან ექვს ჯგუფად გაიყოფა და პირველ-მეორეადგილოსნები (12 ნაკრები) ავტომატურად მიიღებენ ევრო-2015-ის საგზურს. მესამეადგილოსნებიდან საუკეთესო მაჩვენებლის გუნდები ამოირჩევა, იმდენი, რამდენიც 24 ადგილის შესავსებად იქნება საჭირო.

შესარჩევი ტურნირი მიმოსვლითი სისტემით (შინ და სტუმრად) ჩატარდება.

## წილისყრა როდის იგეგმება?

ეს ის შემთხვევაა, როცა ფიბა-ევროპა სხვაზეა დამოკიდებული. ოფიციალურ საიტზე დაიწერა, რომ შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება იანვარში, მას შემდეგ, რაც ფიბა მსოფლიოს ჩემპიონატის „ველურ ბარათებს“ დაარიგებს და გადაწყდება, ზუსტად რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას ევრო-2015-ის შესარჩევში. თუმცა ბოლო ინფორმაციით, ფიბა ბარათების მფლობელ ოთხ ნაკრებს თებერვლის დასაწყისში გამოაცხადებს. შესაბამისად, ევრო-2015-ის შესარჩევის წილისყრაც თებერვლისთვის გადაიდო. სხვა რა გზაა, უნდა დაველოდოთ.

გუნდები კალათებში „ველური ბარათების“ გაცემის შემდეგ დანაწილდება, თუმცა ისევ და ისევ წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, დღესვე შეგვიძლია გუნდები საკუთარი ხელით განვათავსოთ ხუთ კალათში.

საამისოდ საჭიროა ევრობასკეტი-2013-ისა და 2013 წელს გამართული შესარჩევი ეტაპის გუნდები შედეგების მიხედვით დავახარისხოთ. ოღონდ ერთი ნიუანსი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს: მას შემდეგ, რაც ფიბა „ველურ ბარათებს“ გასცემს, ჩვენ მიერ შედგენილ კალათებს იმდენი ნაკრები გამოაკლდება, რამდენი ევროპელიც მიიღებს ბარათს. შესაბამისად, თუ ორი ის გუნდი მოხვდა მსოფლიოზე, რომელიც კალათში საქართველოს ნაკრებზე წინ იყო, ჩვენი გუნდი ზემოთ ორი საფეხურით აინაცვლებს. თუმცაღა, საქართველოს ნაკრებისთვის ერთი საფეხურიც საკმარისია მესამედან მეორე კალათში გადასასვლელად.

დანარჩენზე, კალათების გადახედვის შემდეგ თავადაც შეგიძლიათ იმსჯელოთ.

### მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მონაწილენი ევროპიდან:

**საფრანგეთი, ლიტვა, ესპანეთი, ხორვატია, სლოვენია, უკრაინა, სერბეთი**

**ევრო-2015**

ესტონეთი - 2013 წელს შესარჩევი მოიგო და ლიცენზია 2 წლით ადრე მოიპოვა.

**ევრო-2015-ის შესარჩევი**

**I კალათი**

იტალია - ევრობასკეტი-2013-ის პლეი ოფი
ფინეთი - ევრობასკეტი-2013-ის II ეტაპი
ბელგია - ევრობასკეტი-2013-ის II ეტაპი
ლატვია - ევრობასკეტი-2013-ის II ეტაპი
საბერძნეთი - ევრობასკეტი-2013-ის II ეტაპი
ბოსნია - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (3 მოგება/2 წაგება)

**II კალათი**

დიდი ბრიტანეთი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (2 მოგება/3 წაგება)
ჩეხეთი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (2 მოგება/3 წაგება)
ჩერნოგორია - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (2 მოგება/3 წაგება)
გერმანია - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (2 მოგება/3 წაგება)
მაკედონია - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -13)
ისრაელი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -16)

**III კალათი**

საქართველო - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -26)
რუსეთი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -26)
თურქეთი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -43)
შვედეთი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -46)
პოლონეთი - ევრობასკეტი-2013-ის I ეტაპი (1 მოგება/4 წაგება, -48)
ბულგარეთი - 2013 წლის შესარჩევი (ფინალისტი)

**IV კალათი**

შვეიცარია - 2013 წლის შესარჩევი
ავსტრია - შესარჩევი, 2013 წელი
ბელარუსი - შესარჩევი, 2013 წელი
სლოვაკეთი - შესარჩევი, 2013 წელი
ისლანდია - შესარჩევი, 2013 წელი
პორტუგალია - შესარჩევი, 2013 წელი

**V კალათი**

რუმინეთი - შესარჩევი, 2013 წელი
ჰოლანდია - შესარჩევი, 2013 წელი
უნგრეთი - შესარჩევი, 2013 წელი
ლუქსემბურგი - შესარჩევი, 2013 წელი
დანია - შესარჩევი, 2013 წელი

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

ჭადრაკი

## ათეულშიც ვერავინ შევიდა

ალ-აინში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს 23 წარმომადგენელიც მონაწილეობდა. სამწუხაროდ, საპრიზო ადგილებს ვინ ჩივის, ათეულშიც ვერავინ შევიდა. გაუწყებთ ჩვენებურთა შედეგებს:

**8-წლიანები:** 67. სალომე ბეიტრიშვილი (11 შესაძლებლიდან 5 ქულა), 134. გიორგი ლომინაძე (4.5);

**10-წლიანები:** 16. თამარ ესაძე (7.5), 43. ეკატერინე ფიფია (6.5), 55. ნიკოლოზ კაჭარავა (6.5).

**12-წლიანები.** 72. ელენე კოსტავა (5.5), 73. ლუკა ობოლაძე (6), 127. კოკა ბუკია (5), 143. ნიკა ხვადაგიანი (5).

**14-წლიანები.** 45. თეა ჭოლაძე (6), 56. ნინო ჯალაღონია (5.5), 104. მარიამ ჯავახიშვილი (4). 64. ლუკა ლიჩელი (6), 76. გიგი აბსარიძე (6), 95. გიორგი თავზარაშვილი (5.5), 105. გურამ კოკაია (5.5).

**16-წლიანები.** 14. მარიამ ჭოლაძე (7), 21. გიორგი სიბაშვილი (7), 56. ნიკა ლვამბერია (6), 58. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (6), 73. ნოე თუთისანი (5.5).

**18-წლიანები.** 38. ნანი უნაფქოშვილი (6).

ძირითადი ტურნირის დამთავრების შემდეგ იქვე გაიმართა მსოფლიოს პირველობა ბლიცტურნირში. სამწუხაროდ, ჩვენებმა ვერც იქ იყოჩაღეს. 12 მედლით (5 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) პირველი ადგილი ინდოელებმა დაიკავეს, მეორე-მესამე ადგილებზე ირანელები (2,0,3) და რუსები გავიდნენ (1,1,1).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი განსჯისა და ფიქრისა. რაგბი. ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# IRB დარწმუნდა, რომ ინვესტიციებს სწორად დებს

**2013 წელიც** მიილია. ქართული რაგბი ტრადიციებს არ ღალატობს და ქომაგებს ახალ-ახალი წარმატებებით ახარებს. ახლახან, სულაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. „ბორჯღალოსნებმა" მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მყოფი სამოას ეროვნული გუნდი დაამარცხეს. წარმატება გასულ სეზონში სხვაც ბევრი ყოფილა. თუმცა, ცხადია, პრობლემები და საკეთებელი წინ კიდევ აურაცხელია. ყოველივე ამის შესახებ კი რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე მოგვითხრობს, რომელიც ნომინაციაში „წლის საუკეთესო მენეჯერი" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის ლაურეატად გამოაცხადა.



- წლევანდელი სეზონი ერთა თასის გათამაშებით დაიწყო, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირის პირველი წრე იყო. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მატჩში საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადაგვხდა და თამაშის ხარისხიც სასურველი ვერ იყო, დასახულ მიზანს მაინც მივაღწიეთ. პირველი ადგილი დავიკავეთ და ახალ სეზონს ლიდერის რანგში ვხვდებით. მსოფლიოს თასის გათამაშებამდე ერთი ნაბიჯი გვაშორებს, სადაც აუცილებლად C ჯგუფში უნდა მოვხვდეთ. საამისოდ კი, ერთა თასზე ხუთივე მატჩის მოგება იქნება საჭირო.

**- ეს რაც ეხება ნაკრებს. თუმცა არანაკლებ საინტერესო ბრძოლები და მოვლენები განვითარდა ეროვნულ ჩემპიონატში...**

- სანაკრებო მატჩების პარალელურად მიმდინარეობდა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე, რომელშიც ექვსი ფავორიტი გუნდი გამოიკვეთა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩემპიონატის დონე ამაღლდა, კონკურენცია გაიზარდა. გათამაშების მიმდინარეობისას ბევრი ძალიან კარგი მატჩი ვნახეთ. შესანიშნავი გამოდგა ფინალი, სადაც „ლელომ" „არმიას" ჩემპიონობა ჩამოართვა. ვფიქრობ, განვლილი წელიწადის უდიდესი მონაგარი იყო ქართული კლუბებისთვის სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა. იმ ბიუჯეტით, რაც აქამდე კლუბებს ჰქონდათ, განვითარება გაგვიჭირდებოდა. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა და ამ პრობლემის გადაჭრაში მოგვეხმარა.

**- წლეულს თბილისში IRB-ის ეგიდით პირველად ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრების ჩატარების უფლების მოპოვება იოლი საქმე არ არის...**

- ჩვენი წინსვლა სათანადოდ დააფასა რაგბის საერთაშორისო საბჭომ, რომელმაც თბილისის საერთაშორისო ტურნირის დაარსებაზე თანხმობა განაცხადა. მინდა შეგახსენოთ, რომ ექვსი ერის გარდა მსოფლიოში სულ სამი შეჯიბრება ტარდება. ესენია: წყნარი იკეანის აუზის ერთა თასი, IRB-ს ერთა თასი ბუქარესტში და მესამეა „თბილისის თასი".

მაქსიმალისტები ვართ და მეტოქეებად მხოლოდ უძლიერესი სარაგბო ქვეყნების ნაკრებები გვინდა. თუმცა, მიმაჩნია, რომ არგენტინის, იტალიის, ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის A ნაკრებები შესანიშნავი გუნდებია საიმისოდ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მოთამაშეებმა მათთან თამაშით ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღონ. წელიწადის ამ დროისთვის ეროვნულ გუნდში ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება გვიჭირს, ამიტომ „თბილისის თასს" ახალგაზრდების გამოსაცდელად გამოვიყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ წლეულს ეს ტურნირი ვერ მოვიგეთ, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ მან ბევრი სასარგებლო რამ მისცა ნაკრებს.

**- ახალგაზრდა მორაგბეები ახსენეთ. თვალნათლივ ჩანს, რომ ქართულ რაგბის კარგი მომავალი თაობა ეზრდება. თუნდაც ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვება რად ღირს?**

- საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მართლაც შესანიშნავად იასპარეზა. ჩვენმა გუნდმა წინა წელს გაუგებრობის გამო დაკარგული ტიტული დაიბრუნა. ეს გუნდი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ევროპის ჩემპიონატი ძალიან იოლად, ერთი ამოსუნთქვით მოიგო. ჯერ კიდევ მატჩების დაწყებამდე ყველამ წინასწარ იცოდა, რომ პირველობას არავის დავუთმობდით.

მომავალ წელს 19-წლამდელთა ნაკრებს კიდევ უფრო მაღალი მიზნისთვის მოუწევს ბრძოლა. ჰონგ კონგში გასამართ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დაიკავოს და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს.

**- ყველაზე რეზონანსული, ცხადია, ნოემბრის ტესტებზე გამართული შეხვედრები იყო. ამ მატჩებს, როგორც თავად მორაგბეები და მწვრთნელები აცხადებდნენ, უნდა გაეცა კითხვაზე პასუხი, სად იმყოფება? რა დონის ნაკრებია ჩვენი გუნდი?**

- ნოემბრის ტესტები უნდა ყოფილიყო ნაკრების მწვრთნელების ორწლიანი მუშაობის ლაკმუსის ქაღალდი. პირველი მატჩი კანადის ნაკრებთან ძალიან მძიმე იყო. პირველი ტაიმის შემდეგ გუნდმა უკეთესად ითამაშა და გავიმარჯვეთ. აშშ-ის ნაკრებთან საწყისი და ბოლო ოცი წუთი შესანიშნავი იყო, თუმცა შუალედში ყველაზე ცუდი ხარისხის თამაში ვაჩვენეთ ამ ტესტებზე. მართალია, ტაბლოზე საქართველოს ნაკრების მარცხი დაფიქსირდა, მაგრამ ქომაგებმა კარგად იციან, რომ არა მატჩის მიწურულს დაშვებული ფატალური შეცდომა და მსაჯის აბსოლუტურად უსამართლო გადაწყვეტილება, (IRB-ს სამსაჯო კომიტეტმა ეს აღიარა) ვიცით რომ ეს თამაში მოვიგეთ. ის მატჩი მაინც ჩვენი გუნდის აქტივშია.

ამას მოჰყვა ისტორიული გამარჯვება სამოას ძალიან ძლიერ გუნდთან. რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამდენად, ჩვენ ავედით სრულიად სხვა საფეხურზე. ამიერიდან მოგვიწევს მეორე და პირველი დონის გუნდებთან თამაში. ესენი ჩვენი დონის ან უფრო უკეთესები არიან. ამიტომ, ხან წავაგებთ და ხან მოვიგებთ. უნდა შევეჩვიოთ მათთან თამაშს. გავა დრო და ამ გუნდებთან მუდმივად მოგება ჩვეულებრივი ამბავი გახდება.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ სამოასთან გამარჯვების შემდეგ მომავალი მეტოქეები ნოემბრის ტესტებზე ასევე მაღალი დონის იქნებიან...**

- დიახ, IRB დარწმუნდა, რომ ინვესტიციებს სწორად დებს. მომავალ ტესტებზე სავარაუდოდ ირლანდიის ნაკრებთან მოგვიწევს თამაში 15 ნოემბერს სტუმრად „ავივა სთედიუმზე". 8 და 22 ნოემბერს კი თბილისში, სავარაუდოდ, კუნძულელებს ვუმასპინძლებთ.

ვფიქრობთ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დადებითი გადაწყვეტილება იყო ფრანგ სპეციალისტთან, შერკინების მწვრთნელ დიდიე ბესისთან ხელშეკრულების გაფორმება. მისი ნაკრებში მოწვევა საფრანგეთში მოასპარეზე წამყვანი მორაგბეების რეკომენდაციით მოხდა. ბესიმ შესანიშნავად გაართვა საქმეს თავი და მისი გაწეული სამსახურით ყველანი კმაყოფილი ვართ.

**- ქართული რაგბის ინფრასტრუქტურა ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. რა სიახლეები გველის ამ მიმართულებით 2014 წელს?**

- მომავალ წელს დასრულდება „ლელოს" სარაგბო კომპლექსის მშენებლობა დიდ დიღომში. წესით, უნდა დასრულდეს ქუთაისის სარაგბო ბაზის მშენებლობის პირველი ეტაპი. ანუ მწყობრში ჩადგება ძირითადი სტადიონი და ერთი სათადარიგო მოედანი. ამის შემდეგ დაიწყება კიდევ ორი ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა. იმედი გვაქვს, რომ დასრულდება ფოთისა და მარტყოფის კომპლექსების მშენებლობაც.

მარტყოფში მოედანი მოწყობილია, ახლა იქ სასტუმრო კომპლექსია გასაკეთებელი. მაღალი დონის ბაზა გამოდის და მისი გამოყენება კლუბებსაც შეუძლიათ საწვრთნელი შეკრებისთვის და ახალგაზრდულ ნაკრებებსაც. გამორიცხული არ არის, ამ ბაზამ „შევარდენის სარაგბო აკადემიის" ფუნქციების ნაწილიც შეითავსოს.

სტადიონის მშენებლობა ახალი დაწყებულია გორში. მომავალ წელს უნდა დაიწყოს ბათუმში, თელავსა და რუსთავში. იმედი გვაქვს, დიღომში არსებულ „ლოკომოტივის" ბაზაზე მცხოვრებ ლტოლვილებს უკეთეს პირობებს შესთავაზებენ. ამის შემდეგ ამ ბაზის რეკონსტრუქციაც დაიწყება.

რაგბის კავშირს ტერიტორია აქვს ნუცუბიძის პლატოზე, სადაც გარკვეული საკომუნიკაციო პრობლემებია მოსაგვარებელი და იქაც შეიძლება კარგი სარაგბო კომპლექსის აშენება.

**- ყოველივე ზემოთ თქმულის განხორციელებას სერიოზული ფინანსური სახსრები სჭირდება...**

- ცხადია, ასეა. დიდი მადლობა უნდა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გვერდში დგომისთვის. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ერთგულ სპონსორებს: საქველმოქმედო ფონდ „ქართუს", რომლის დახმარებაც არის უზარმაზარი. ასევე კომპანია RMG-სა და „ნატახტარს". მათთან ერთად ყველა იმ კომპანიასა და ფიზიკურ პირს, ვინც გვერდში გვედგა, გვეხმარებოდა.

მინდა მივმართო ქართული რაგბის ქომაგებს: ძვირფასო მეგობრებო, მინდა უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ გვერდში დგომისთვის. თქვენი მხარდაჭერა მუდამ მნიშვნელოვანია თითოეული მორაგბისთვის. ვეცდებით თქვენთან ერთად კიდევ არაერთი დიდი სიხარული მოვუტანოთ ჩვენს სამშობლოს.

საბოლოო ჯამში 2013 წლის სეზონი წარმატებული იყო. ეს არის უამრავი ადამიანის შრომის შედეგი. თითოეულ მათგანს ულრმეს მადლობას ვეუბნები. ქართული სარაგბო თემის სახელით, მინდა მივულოცო ჩვენს ქვეყანას ახალი წლის დადგომა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს წელი იქნება ბედნიერებისა და წარმატების მომტანი.

**ბესიკ ჯანგავაძე**




## 2013 წლის მონაგარი

**2-3. ძიუდო.** საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60 კგ), **შალვა ქარდავა** (66), **ფრიდონ გიგანი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **გურამ თუშიშვილი** (100), **ლევან მატიაშვილი** (100+).

**3. ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თბილისში საქართველოს ნაკრებმა 26:19 მოუგო ფინეთს.

**3. ჩოგბურთი.** ანა ტატიშვილმა ნიუ ბრაინფელსის ტურნირი (აშშ, 50 ათასი $) მოიგო, როგორც ერთეულებში, ისე წყვილებში.

**7-8. წყალბურთი.** პორტუგალიაში ევრო 2014-ის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა შვეიცარიას 24:7 მოუგო. მეორე დღეს კი ჯერ მალტას აჯობა - 11:4, შემდეგ - ბელარუსს 17:9.

**9. რაგბი.** ტესტმატჩში საქართველოს ნაკრებმა თბილისში კანადა დაამარცხა 19:15.

**9-10. წყალბურთი.** პორტუგალიაში საქართველოს ნაკრებმა ჯერ სლოვაკეთთან წააგო - 16:17, შემდეგ პორტუგალიას სძლია - 17:9 და ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში გავიდა.

**9-10. ჭიდაობა.** მოსკოვში ევროპის ერთა თასზე საქართველოს ნაკრებებმა (თავისუფალი სტილით და ბერძნულ-რომაული სტილით) მე-2 ადგილები დაიკავეს.

**16. რაგბი.** ტესტმატჩში საქართველოს ნაკრებმა, რუსთავში აშშ-სთან 23:25 წააგო.

**17. ბატუტზე ხტომა.** სოფიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე **ანა ოდიშვილი-თეონა ჯანჯღავას** წყვილი ჩემპიონი გახდა 16-წლამდელთა შორის.

**22. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ბაქოს „ოქროს გრან პრიზე" **იაკობ ქაჯაიამ** (120 კგ) მხოლოდ ფინალი დათმო და ვერცხლი მოიპოვა, მესამე ადგილებს დასჯერდნენ **უშანგი ჩიტიაშვილი** (74) და **ბექა როყვა** (96).

**22-24. სამბო.** სანკტ პეტერბურგში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57 კგ) და **ლევან ნახუცრიშვილი** (68); ვერცხლის მედალი მოიპოვა **ლაშა გურულმა** (100); ბრინჯაო იკმარეს **კახა მამულაშვილმა** (74) და **ნოდარ მეტრეველმა** (მძიმე). ქალებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ირინე ლეონიძემ**.

**23. რაგბი.** ტესტმატჩში საქართველოს ნაკრებმა თბილისში 16:15 დაამარცხა სამოა.

**24. თავისუფალი ჭიდაობა.** ბაქოს „ოქროს გრან პრიზე" ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **გიორგი ედიშერაშვილმა** (55 კგ), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (60) და **დავით მარსაგიშვილმა** (84).

**28-39. ძიუდო.** ძიგორო კანოს ტურნირზე ქართველებმა ბრინჯაოს ორი მედალი აიღეს: **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81 კგ) და **ვალერი ლიპარტელიანმა** (90).

### დეკემბერი

**6. ფეხბურთი.** ჩეხმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** ოფიციალურად გამოაცხადა თბილისის „დინამოდან" წასვლა.

**11. კალათბურთი.** ფედერაციის ყრილობაზე ახალ პრეზიდენტად **მიხეილ გაბრიჩიძე** აირჩიეს.

**15. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს 2013 წლის ფალავანი პაატა ღვინიაშვილი გახდა.

**24. ზოგადი:** სეოკ-მა 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენად ძიუდოისტი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** გამოაცხადა.

**25. ფეხბურთი.** სფფ-მ წლის საუკეთესო ფეხბურთელად **გურამ კაშია** (ვიტესი) დაასახელა.

**27. ზოგადი.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენად **ავთანდილ ჭრიკიშვილი** დაასახელა.

**28. რაგბი.** 2013 წლის საუკეთესო მორაგბედ მამუკა გორგოძე აირჩიეს.

**31. ზოგადი.** „ლელოს" მკითხველებმა 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენად მამუკა გორგოძე (რაგბი) აირჩიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსი ყველასთან აგებს



სპურსის ვეტერანებმა გაიბრწყინეს

**რუდი გეის** გადაბირების შემდეგ, „საკრამენტო" „გათავხედდა" და სერიოზულად დაიწყო ფიქრი პლეი ოფში მოხვედრაზე. „მეფეები" მაიამიში გამარჯვების შემდეგ, ახლოს იყვნენ მორიგ სენსაციურ გასვლით მოგებასთან, ამჯერად. „სან ანტონიოსთან". მესამე მეოთხედის 14 ქულით მოგებისა და ბოლო მეოთხედში 6-ქულიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ, სტუმრებმა თითქმის ბოლომდე შეინარჩუნეს ეს ჰანდიკაპი.

მაგრამ ყველაზე არასასურველ მომენტში „კინგზი" დაალალატა **ბენ მაკლემორმა**, რომელმაც შეცდომა დაუშვა და ამას ზედიზედ ორი სამქულიანით მოაყოლა **მანუ ჯინობილიმ**. არგენტინელმა „სპურსის" ორ სხვა ლიდერთან - **ტონი პარკერთან** და **ტიმ დანკანთან** ერთად, გაარღვია „საკრამენტოს" დაცვა. მასპინძლების ბოლო 23 ქულიდან ვეტერანთა „დიდმა ტრიომ" 21 მიითვალა. ამასთან, კონკრეტულად პარკერის ანგარიშზე იყო შვიდი ქულა უკანასკნელ 50 წამში. ჭორები „სან ანტონიოს" კრიზისსა და ჩავარდნაზე გადაჭარბებული აღმოჩნდა. ეს გუნდი (24 მოგება-7 წაგება) აგრძელებს ბრძოლას დასავლეთში ლიდერობისთვის „ოკლაჰომასთან" (25-5) და „პორტლენდთან" (24-6).

■ ■ ■

როგორც ჩანს, ამ სეზონში მაიკ დ'ენტონის „ლეიკერსიდან" გაგდება არ ასცდება. მართალია, გუნდის ლაზარეთი გადატვირთულია (**კობი ბრაიანტს, სტივ ნეშს, სტივ ბლეიკსა** და **კრის კამანს პაუ გასოლი** დაემატა), მაგრამ ეს არ არის გამართლება ყველასთან წასაგებად. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, კალიფორნიელებმა წააგეს ლიგის ყველაზე უარეს გუნდთან „იუტასთან", ამჯერად კი დამარცხდნენ „ფილადელფიასთან", რომელსაც სტუმრად პირველი ნოემბრის შემდეგ არ მოეგო და ზედიზედ 13 გასვლითი მარცხი ჰქონდა.

ერთადერთი, რითაც ამ მატჩში „ლეიკერსი" დაიკვეხნის, ეს არის 17:4 გაქცევა, რისი წყალობითაც მასპინძლებმა მეოთხე მეოთხედში სამი ქულით წინ გასვლა შეძლეს. მაგრამ მატჩის დასასრულს სტუმრების ისეთი უპირატესობა ჰქონდათ, რომ კალიფორნიელებს მინიმალური შანსიც არ დარჩათ სიტუაციის გადასარჩენად. ზედიზედ მეხუთე წაგების შემდეგ, მაიკ დ'ენტონის სერიოზული საუბარი ჰქონდა „ლეიკერსის" გენერალურ მენეჯერთან **მიტჩ კუპჩაკთან**. წამყვანი მოთამაშეების ტრავმები გასაგებია, მაგრამ 22 შეცდომა და თამაშიდან რეალიზაციის 37 პროცენტი - მეტისმეტი გახლავთ.

**კლივლენდი–გ. სტეიტი 104:108 (ო)**

35:26, 29:29, 20:27, 15:17, 5:9

**კ:** ირვინგი (27+9 პასი), ტომპსონი (17+12 მოხსნა), კ. მაილზი (17), ჯეკი (12), ვარეჟაო (8+12 მოხსნა).

**გ-ს:** კარი (29+11 პასი), ლი (19), ტომპსონი (16), ბოგუტი (12), ჰ. ბარნსი (10), იგუოდალა (8+10 პასი), გრინი (5+12 მოხსნა+4 დაფარება).

**ორლანდო–ატლანტა 109:102**

26:20, 30:29, 23:27, 30:26

**ო:** აფლალო (21), ჰარისი (17), ვუჩევიჩი (16+14 მოხსნა), დევისი (16), ოლადიპო (15+8 პასი), ჰარკლესი (11), ნელსონი (10+8 პასი).

**ა:** ტიგი (22+8 პასი), უილიამსი (18), მილსეპი (17), მაკი (14).

**ოკლაჰომა–ჰიუსტონი 117:86**

26:14, 30:30, 34:26, 27:16

**ო:** დურენტი (33+13 მოხსნა), ლემბი (22), ჯექსონი (16+8 პასი), სეფოლოშა (13).

**ჰ:** ბრუქსი (17), კასპი (15), პარსონსი (15).

**სან ანტონიო–საკრამენტო 112:104**

27:23, 30:26, 24:38, 31:17

**ს-ა:** ჯინობილი (28), პარკერი (22), დანკანი (17+13 მოხსნა), დიაო (14), სპლიტერი (11).

**ს:** კაზინსი (29+14 მოხსნა), ტომასი (27+9 პასი), გეი (24), ტომპსონი (7+11 მოხსნა).

**ლეიკერსი–ფილადელფია 104:111**

22:20, 30:32, 25:34, 27:25

**ლ:** ნ. იანგი (26), ჰილი (18+13 მოხსნა), მიქსი (15), შონ უილიამსი (11+10 მოხსნა).

**ფ:** ტ. იანგი (25), ტერნერი (22), ჰოუზი (19), კარტერ-უილიამსი (13), ანდერსონი (11).

ჩოგბურთი



მარია შარაპოვა

## მარია მოგებით დაბრუნდა

ამაწლის აგვისტოდან მოყოლებული, პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა გუშინ რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ**. ის ბრისბენის ტურნირის პირველ წრეში შეხვდა ფრანგ **კაროლინ გარსიას** და საათსა და ოთხ წუთში გაანადგურა ის - 6:3, 6:0.

ამ დროის განმავლობაში, მარიამ ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, თავად კი ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა გარსიას. გარდა ამისა, შარაპოვას ანგარიშზე იყო ექვსი ეისი და ერთი ორმაგი შეცდომა. ეს იყო ამ ჩოგბურთელთა რიგით მესამე მატჩი და რუსის მესამე გამარჯვება.

მეორე წრეში შარაპოვა ავსტრალიელ **ეშლი ბარტის** შეხვდება, რომელმაც მანამდე სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა** გამოთიშა ბრძოლას.

შარაპოვა, რომელიც WTA-ის კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილს იკავებს, მხარის ტრავმის გამო თითქმის ნახევარი წელი ვერ თამაშობდა და გამოტოვა აშშ-ის ღია პირველობა და წლის შემაჯამებელი ტურნირი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## NBA იანვრის კალენდარი

**1 იანვარი**
ვაშინგტონი-დალასი
ტორონტო-ინდიანა
მინესოტა-ნ. ორლეანი
დენვერი-ფილადელფია
კლიპერსი-შარლოტი

**2 იანვარი**
კლივლენდი-ორლანდო
მაიამი-გ. სტეიტი
ჩიკაგო-ბოსტონი
ოკლაჰომა-ბრუკლინი
სან ანტონიო-ნიუ იორკი
იუტა-მილუოკი
ფინიქსი-მემფისი
პორტლენდი-შარლოტი
საკრამენტო-ფილადელფია

**3 იანვარი**
ვაშინგტონი-ტორონტო
ატლანტა-გ. სტეიტი
ბოსტონი-ნ. ორლეანი
ჰიუსტონი-ნიუ იორკი
დალასი-კლიპერსი
დენვერი-მემფისი
ლეიკერსი-იუტა

**4 იანვარი**
ინდიანა-ნ. ორლეანი
ორლანდო-მაიამი
ბრუკლინი-კლივლენდი
ჩიკაგო-ატლანტა
მინესოტა-ოკლაჰომა
სან ანტონიო-კლიპერსი
ფინიქსი-მილუოკი
პორტლენდი-ფილადელფია
საკრამენტო-შარლოტი

**5 იანვარი**
დეტროიტი-მემფისი
კლივლენდი-ინდიანა
მაიამი-ტორონტო
ვაშინგტონი-გ. სტეიტი
ოკლაჰომა-ბოსტონი
დალასი-ნიუ იორკი
ლეიკერსი-დენვერი

**6 იანვარი**
ფილადელფია-მინესოტა
ბრუკლინი-ატლანტა
კლიპერსი-ორლანდო

**7 იანვარი**
შარლოტი-ვაშინგტონი
კლივლენდი-ფილადელფია
ინდიანა-ტორონტო
მილუოკი-გ. სტეიტი
მაიამი-ნ. ორლეანი
ნიუ იორკი-დეტროიტი
ჩიკაგო-ფინიქსი
მემფისი-სან ანტონიო
დალასი-ლეიკერსი
დენვერი-ბოსტონი
იუტა-ოკლაჰომა
საკრამენტო-პორტლენდი

**8 იანვარი**
სან ანტონიო-დალასი
ტორონტო-დეტროიტი
ატლანტა-ინდიანა
ბრუკლინი-გ. სტეიტი
მინესოტა-ფინიქსი
ნ. ორლეანი-ვაშინგტონი
ჰიუსტონი-ლეიკერსი
პორტლენდი-ორლანდო
კლიპერსი-ბოსტონი

**9 იანვარი**
ნიუ იორკი-მაიამი
დენვერი-ოკლაჰომა

**10 იანვარი**
ინდიანა-ვაშინგტონი
ფილადელფია-დეტროიტი
ატლანტა-ჰიუსტონი
მილუოკი-ჩიკაგო
ბრუკლინი-მაიამი
მემფისი-ფინიქსი
მინესოტა-შარლოტი
ნ. ორლეანი-დალასი
იუტა-კლივლენდი
საკრამენტო-ორლანდო
გ. სტეიტი-ბოსტონი
კლიპერსი-ლეიკერსი

**11 იანვარი**
ტორონტო-ბრუკლინი
ვაშინგტონი-ჰიუსტონი
დეტროიტი-ფინიქსი
ფილადელფია-ნიუ იორკი
ჩიკაგო-შარლოტი
ოკლაჰომა-მილუოკი
დალასი-ნ. ორლეანი
დენვერი-ორლანდო
პორტლენდი-ბოსტონი

**12 იანვარი**
მემფისი-ატლანტა
საკრამენტო-კლივლენდი
სან ანტონიო-მინესოტა

**13 იანვარი**
ტორონტო-მილუოკი
ბოსტონი-ჰიუსტონი
ნიუ იორკი-ფინიქსი
ჩიკაგო-ვაშინგტონი
ნ. ორლეანი-სან ანტონიო
დალასი-ორლანდო
იუტა-დენვერი

**14 იანვარი**
შარლოტი-ნიუ იორკი
ინდიანა-საკრამენტო
მემფისი-ოკლაჰომა
ლეიკერსი-კლივლენდი

**15 იანვარი**
მილუოკი-მემფისი
ორლანდო-ჩიკაგო
ფილადელფია-შარლოტი
ვაშინგტონი-მაიამი
ბოსტონი-ტორონტო
მინესოტა-საკრამენტო
ნ. ორლეანი-ჰიუსტონი
სან ანტონიო-იუტა
ფინიქსი-ლეიკერსი
პორტლენდი-კლივლენდი
გ. სტეიტი-დენვერი
კლიპერსი-დალასი

**16 იანვარი**
ატლანტა-ბრუკლინი
ინდიანა-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-ოკლაჰომა

**17 იანვარი**
ნიუ იორკი-კლიპერსი
ორლანდო-შარლოტი
ფილადელფია-მაიამი
ტორონტო-მინესოტა
ვაშინგტონი-ჩიკაგო
ბოსტონი-ლეიკერსი
დეტროიტი-იუტა
მემფისი-საკრამენტო
სან ანტონიო-პორტლენდი
დენვერი-კლივლენდი
ოკლაჰომა-გ. სტეიტი
ფინიქსი-დალასი

**18 იანვარი**
შარლოტი-მაიამი
ინდიანა-კლიპერსი
ვაშინგტონი-დეტროიტი
ჩიკაგო-ფილადელფია
ჰიუსტონი-მილუოკი
მინესოტა-იუტა
ნ. ორლეანი-გ. სტეიტი
დალასი-პორტლენდი

**19 იანვარი**
ტორონტო-ლეიკერსი
ორლანდო-ბოსტონი
ოკლაჰომა-საკრამენტო
სან ანტონიო-მილუოკი
ფინიქსი-დენვერი

**20 იანვარი**
კლივლენდი-დალასი
დეტროიტი-კლიპერსი
შარლოტი-ტორონტო
ვაშინგტონი-ფილადელფია
ნიუ იორკი-ბრუკლინი
მემფისი-ნ. ორლეანი
ატლანტა-მაიამი
ჩიკაგო-ლეიკერსი
ჰიუსტონი-პორტლენდი
გ. სტეიტი-ინდიანა

**21 იანვარი**
ბრუკლინი-ორლანდო
მაიამი-ბოსტონი
ნ. ორლეანი-საკრამენტო
ოკლაჰომა-პორტლენდი
იუტა-მინესოტა

**22 იანვარი**
შარლოტი-კლიპერსი
კლივლენდი-ჩიკაგო
მილუოკი-დეტროიტი
ორლანდო-ატლანტა
ტორონტო-დალასი
ვაშინგტონი-ბოსტონი
ნიუ იორკი-ფილადელფია
ჰიუსტონი-საკრამენტო
სან ანტონიო-ოკლაჰომა
ფინიქსი-ინდიანა

**23 იანვარი**
მაიამი-ლეიკერსი
პორტლენდი-დენვერი

**24 იანვარი**
ორლანდო-ლეიკერსი
ფილადელფია-ტორონტო
ატლანტა-სან ანტონიო
ბოსტონი-ოკლაჰომა
ბრუკლინი-დალასი
კლივლენდი-მილუოკი
დეტროიტი-ნ. ორლეანი
ნიუ იორკი-შარლოტი
ჩიკაგო-კლიპერსი
ჰიუსტონი-მემფისი
ფინიქსი-ვაშინგტონი
საკრამენტო-ინდიანა
გ. სტეიტი-მინესოტა

**25 იანვარი**
შარლოტი-ჩიკაგო
ტორონტო-კლიპერსი
მილუოკი-ატლანტა
ფილადელფია-ოკლაჰომა
მემფისი-ჰიუსტონი
დენვერი-ინდიანა
იუტა-ვაშინგტონი
პორტლენდი-მინესოტა

**26 იანვარი**
მაიამი-სან ანტონიო
ნიუ იორკი-ლეიკერსი
კლივლენდი-ფინიქსი
ნ. ორლეანი-ორლანდო
ბოსტონი-ბრუკლინი
დალასი-დეტროიტი
გ. სტეიტი-პორტლენდი
საკრამენტო-დენვერი

**27 იანვარი**
მილუოკი-კლიპერსი
ფილადელფია-ფინიქსი
ბრუკლინი-ტორონტო
ჩიკაგო-მინესოტა
ოკლაჰომა-ატლანტა
იუტა-საკრამენტო

**28 იანვარი**
კლივლენდი-ნ. ორლეანი
დეტროიტი-ორლანდო
ნიუ იორკი-ბოსტონი
ჰიუსტონი-სან ანტონიო
პორტლენდი-მემფისი
გ. სტეიტი-ვაშინგტონი
ლეიკერსი-ინდიანა

**29 იანვარი**
მაიამი-ოკლაჰომა
მილუოკი-ფინიქსი
ტორონტო-ორლანდო
ატლანტა-დეტროიტი
ბოსტონი-ფილადელფია
მინესოტა-ნ. ორლეანი
დალასი-ჰიუსტონი
დენვერი-შარლოტი
სან ანტონიო-ჩიკაგო
საკრამენტო-მემფისი
კლიპერსი-ვაშინგტონი

**30 იანვარი**
ინდიანა-ფინიქსი
ნიუ იორკი-კლივლენდი
გ. სტეიტი-კლიპერსი

**31 იანვარი**
ორლანდო-მილუოკი
ფილადელფია-ატლანტა
ბრუკლინი-ოკლაჰომა
მინესოტა-მემფისი
დალასი-საკრამენტო
დენვერი-ტორონტო
ლეიკერსი-შარლოტი
იუტა-გ. სტეიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


რაიან მილერი

# აშშ-ს გმირი მეკარე ჰყავს

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის მორიგ სათამაშო დღეს პირველი ვარსკვლავი გახდა აშშ-ის ნაკრების მეკარე **რაიან მილერი**, რომელიც „ბაფალო სეიბრზის“ ღირსებას იცავს. მან „ვაშინგტონ კეპიტალზთან“ შეხვედრაში 49 დარტყმა და ექვსი ბულიტი მოიგერია. შეხვედრა „ბაფალომ“ ბულიტების სერიაში მოიგო - 2:1. ამ მოგების მიუხედავად, „სეირბზი“ ბოლო ადგილზე რჩება აღმოსავლეთ კონფერენციაში.

მილერი აშშ-ის ნაკრების ძირითადი მეკარე იყო ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე და იქ ვერცხლის მედალი მოიპოვა. მიმდინარე რეგულარულში 33 წლის გოლკიპერმა 28 მატჩი ჩაატარა და მეტოქეთა დარტყმების 92.7 პროცენტი მოიგერია.

გუშინ, ზედიზედ მესამე მატჩში უგოლოდ დატოვა მოედანი „ვაშინგტონის“ ლიდერმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა**. ასეთი რამ რუსის კარიერაში წელიწადნახევარია არ მომხდარა. სულ ამ შეხვედრაში ოვეჩკინმა 12 დარტყმა შეასრულა. სხვათა შორის, აშშ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი უკვე ჩამოყალიბდა სოჭის ოლიმპიადისთვის მეკარეების საკითხში. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან მილერი, **ჯონათან კუიკი** („ლოს ანჯელესი“) და **ჯიმი ჰოვარდი** („დეტროიტი“). ასე რომ, ამერიკელთა გენერალური მენეჯერი **დევიდ პოილი** განაცხადის მიღმა დატოვებს **კორი შნაიდერს, ბენ ბიშოპსა და ტიმ ტომასს.**

არჩეულ სამეულში საკამათოა კუიკის კანდიდატურა, რადგან მას 12 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია საზარდულის ტრავმის გამო და არც მანამდე გამოირჩეოდა საიმედო თამაშით.

**ბაფალო-ვაშინგტონი 2:1 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სტეფორდი-4 (ერჰოფი-12), 1:1 ბროუერი-8 (გრაბოვსკი-19).

**ბულიტები გაიტანეს:** ოტი (ბაფალო).

**ფლორიდა-მონრეალი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კულიკოვი-2 (ფლიშმანი-15), 1:1 პრუსტი-4 (დიასი-11, ბუიონი-3), 2:1 ბ. კემპბელი-5 (გილბერტი-12, ბოიესი-6), 3:1 ბარკოვი-7 (გილბერტი-13, ბოიესი-7), 4:1 ბერგენჰაიმი-8 (ბ. კემპბელი-14).

**კოლამბუსი-პიტსბურგი 3:5**

1:1, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 დუბინსკი-7 (ტიუტინი-12, ჯ. ჯონსონი-8), 1:1 ჯ. ნილი-12 (ნისკანენი-15, კუნიტცი-20), 1:2 ჯ. ნილი-13 (კროსბი-35), 2:2 ტროპი-2 (ჯენერი-4, ნიკიტინი-9), 2:3 კროსბი-22 (კუნიტცი-21, ჯ. ნილი-15), 2:4 კუნიტცი-21 (კროსბი-36, ჯ. ნილი-16), 2:5 ჯ. ნილი-14 (ვიტალე-11, ენგელანდი-5), 3:5 ნიკიტინი-2 (მაკენზი-2, კომო-6).

**დალასი-სტ ლუისი 2:3 (ო)**

0:1, 2:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 შვარცი-13 (სობოტკა-11, ოში-27), 0:2 ოში-5, 1:2 ჯეიმი ბენი-13 (რეი უიტნი-11, ე. კოული-10), 2:2 გარბუტი-7 (როუმი-1, ჯორდი ბენი-7), 2:3 შატენკირკი-6 (პიეტრანჯელო-20, სობოტკა-12).

**კალგარი-ვანკუვერი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰანსენი-7 (ჰ. სედინი-25, ჰამჰუისი-7), 0:2 სანტორელი-9 (კესლერი-12).

**ტორონტო-კაროლინა 5:2**

1:0, 2:2, 2:0

**გოლები:** 1:0 კესელი-19 (ბოჟაკი-8), 1:1 გერბე-9 (სიომინი-10), 2:1 კესელი-20 (ვან რიმსდიკი-15, ბოჟაკი-9), 3:1 კულემინი-5, 3:2 ფოლკი-3 (სეკერა-14, სკინერი-10), 4:2 რეინჯერი-2 (ბოჟაკი-10), 5:2 ფანოფი-4.

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 3:4**

2:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 რიკ ნეში-7 (სტეპანი-17), 1:1 ტ. ჯონსონი-10 (პერსელი-12, ფილპულა-16), 2:1 პალატი-6 (გუდასი-7, კოუტი-3), 2:2 ცუკარელო-9 (ბრასარი-14, მაკდონაჰი-16), 2:3 კრაიდერი-10 (ცუკარელო-18, მაკდონაჰი-17), 2:4 პულიო-7 (ბრასარი-15, ცუკარელო-19), 3:4 ფილპულა-14 (პურსელი-13, კორობოვი-1).

**მინესოტა-აილენდერსი 4:5**

1:0, 2:2, 1:3

**გოლები:** 1:0 რ. სატერი-1 (რუპი-1, ტ. მიტჩელი-7), 2:0 ბროდინი-7 (მ. კოივუ-21, ნიდერაიტერი-12), 3:0 ნიდერაიტერი-7 (მ. კოივუ-22), 3:1 ტავარესი-14 (ვანეკი-15, ოკსოპო-23), 3:2 კლატერბეკი-5 (ჰიკი-6, ნელსონი-7), 3:3 ჰიკი-2 (კ. მაკდონალდი-3, სტრომი-2), 3:4 ოკსოპო-13 (ჰიკი-7, ენდრიუ მაკდონალდი-12), 4:4 ფონტენი-8 (კუკი-9, სკანდელა-9), 4:5 ოკსოპო-14 (ვანეკი-16).

**კოლორადო-ვინიპეგი 1:2 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ლედი-10 (ველერი-16, ტროუბა-8), 1:1 მაკინონი-9 (ლანდესკოგი-16, ე. ჯონსონი-10), 1:2 ველერი-15 (მაიფელი-13, ბაფლინი-22).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 3:1**

1:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ბერნსი-12 (პაველსკი-20, ჯ. ტორნტონი-38), 2:0 კუტური-11 (ბერნსი-11, დემერსი-14), 3:0 კირნსი-1 (დეჟარდენი-7, მ. ბრაუნი-2), 3:1 მარუნი-3 (პერი-20, ფაულერი-19).

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ბელენენსეში-ბეირა მარი | 1:0 |
| ნასიონალი-ბენფიკა | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| **I ლიგა** | |
| დანფერმლაინი-რეინჯერსი | 0:4 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მანიშა-ბუკა | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:3 |
| **კალათბურთი** | |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| რადნიჩკი-ციბონა | 78:71 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-ვალიადოლიდი | 95:79 |
| ფუენლაბრადა-უნიკახა | 71:81 |
| ესტუდიანტესი-ხუვენტუდი | 74:81 |
| გრან კანარია-გიპუსკოა | 63:56 |
| კანარიასი-მურსია | 82:69 |
| **იტალია** | |
| რეჯო ემილია-ვენეცია | 93:73 |
| **ჰოკეი** | |
| **ავსტრია** | |
| გრაცი-ვენა | 1:6 |
| ლინცი-ინსბრუკი | 6:3 |
| ოლიმპია-ფეჰერვარი | 2:3 |
| ვილახი-დორნბირნი | 3:0 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 3:4 (ბ) |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 2:1 (ბ) |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 3:4 (ო) |
| იზერლონი-სტრაუბინგი | 5:4 (ბ) |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 0:5 |
| მიუნხენი-კრეფელდი | 2:6 |
| ნიურნბერგი-შვენინგერი | 3:4 (ბ) |
| **დანია** | |
| ოდენსე-რუნგსტედი | 3:4 (ბ) |
| ჰერლევი-ესბერგი | 4:7 |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 3:2 (ბ) |
| სონდერიისკი-ფრედრიკშავნი | 5:1 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-სპარტა | 4:3 (ო) |
| სტიერნენი-რუსენბორგი | 5:3 |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 4:3 (ბ) |
| სტორჰამარი-ტონსბერგი | 5:1 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 4:3 (ბ) |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ზვოლენი | 3:4 (ო) |
| სკალიცა-პოპრადი | 2:4 |
| ბისტრიცა-მარტინი | 4:3 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 2:5 |
| პიეშტანი-კოშიცე | 1:5 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ტაპარა | 1:2 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 4:3 |
| პლზენი-კლადნო | 4:2 |
| ხომუტოვი-პარდუბიცე | 3:4 |
| ლიბერეცი-სლავია | 3:2 |
| კრალოვე-ბრნო | 2:3 |
| სპარტა-ლიტვინოვი | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-ვექსიო | 2:5 |
| ლექსანდი-ფერიესტადი | 4:3 |
| ლინჩოპინგი-ორებრო | 2:4 |
| ლულეა-ფრიოლუნდა | 2:1 |
| მოდო-აიკ | 3:1 |
| შელეფტეო-ჰვ71 | 4:1 |
| **შპენგლერის თასი** | |
| დავოსი-ცსკა | 4:5 (ბ) |
| სერვეტი-კანადა | 6:5 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ჩეხეთი-გერმანია | 0:3 |
| რუსეთი-ფინეთი | 1:4 |
| კანადა-სლოვაკეთი | 5:3 |
| შვეიცარია-ნორვეგია | 3:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბრისბენი** | |
| მატოშევიჩი-ბენეტო | 5:7, 6:4, 7:6 |
| ისტომინი-ჩილიჩი | 7:6, 6:7, 4:6 |
| დაკვორტი-ნიემინენი | 2:6, 3:6 |
| კუერი-ტურსუნოვი | 7:5, 6:4 |
| დიმიტროვი-ჰაასე | 6:2, 6:3 |
| **ATP. ჩენაი** | |
| ლუ-შმიჩეკი | 6:4, 6:2 |
| ნედუნჩეჟიანი-ვესელი | 5:7, 2:6 |
| სელა-ლაჩკო | 6:4, 6:2 |
| ედმუნდი-პოსპიშილი | 3:6, 5:7 |
| **ATP. დოჰა** | |
| ხირალდო-მონფილსი | 6:7, 2:6 |
| ხიმენო ტრავერი-კუბოტი | 4:6, 3:6 |
| ბერდიხი-კარლოვიჩი | 6:7, 6:7 |
| ვერდასკო-ვოლანდრი | 6:3, 6:3 |
| ჟაზირი-კამკე | 3:6, 4:6 |
| სოუზა-ჰანესკუ | 3:6, 2:6 |
| **WTA. ოკლენდი** | |
| მაკჰეილი-მუგურუსა ბლანკო | 4:6, 3:6 |
| მოისბურგერი-ბარტელი | 6:4, 6:3 |
| კარ. კლიშკოვა-ორმაეჩეა | 7:6, 6:1 |
| პაჩეკი-ჰემპტონი | 6:1, 0:6, 3:6 |
| ლარსონი-დომინგეს ლინო | 7:5, 6:0 |
| ნარა-კადანტუ | 6:1, 4:0 გადაიდო |
| ჰლავაჩკოვა-ვ. უილიამსი | 3:6, 6:7 |
| **WTA. ბრისბენი** | |
| უოტსონი-ციბულკოვა | 4:6, 3:6 |
| პანოვა-კანეპი | 3:6, 7:6, 2:6 |
| სკიავონე-იანკოვიჩი | 26, 6:7 |
| ჰსიე-სუარეს ნავარო | 2:6, 1:6 |
| ვოსკობოევა-დელაკუა | 6:3, 2:6, 3:6 |
| ბარტი-ჰანტუხოვა | 6:3, 7:5 |
| კერბერი-მლადენოვიჩი | 6:2, 6:2 |
| კუდრიავცევა-პავლიუჩენკოვა | 6:7, 6:4, 3:6 |
| შარაპოვა-გარსია | 6:3, 6:0 |
| **WTA. შენჟენი** | |
| მარტიჩი-კინგი | 5:7, 6:4, 3:6 |
| ზაკოპალოვა-ვეკიჩი | 6:3, 7:5 |
| ტომლიანოვიჩი-ბეკი | 3:6, 4:6 |
| ჟიე ჟენგი-პეერი | 6:0, 6:3 |
| მეირი-ოზაკი | 6:2, 6:1 |
| გოვორცოვა-ბ. ზახვალოვა | 5:7, 3:6 |
| გოლუბიჩი-ვოზნიაკი | 4:6, 6:0, 6:2 |
| საისაი ჟენგი-ერანი | 0:6, 6:3, 6:7 |
| კიჩენოკი-ჩეპელოვა | 6:4, 3:6, 1:6 |
| ფრიდსამი-იოვანოვსკი | 6:1, 7:5 |
| **ჰოფმანის თასი** | |
| ისნერი-მუნიოს დიასი | 6:3, 6:4 |
| ცონგა-შტეპანეკი | 6:1, 6:4 |
| სტივენსი-მედინა გარიგესი | 6:3, 6:1 |
| კორნე-კვიტოვა | 1:6, 6:3, 5:7 |

## სამთო თხილამურები

# სწრაფდაშვების მეფე სვინდალი

კვლავაც დომინირებს საჩქაროსნო დისციპლინებში ნორვეგიელი **აქსელ-ლუნდ სვინდალი**. სეზონში მეოთხე გამარჯვება სკანდინაველმა იტალიის კურორტ ბორმიოში, სწრაფდაშვებაში მოიპოვა, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა დისტანცია წუთსა და 54.8 წამში დაფარა, რაც 39 მეასედით უკეთესია ავსტრიელი **ჰანეს რაიხელტის** შედეგზე.

ბორმიოში წარმატებამ გაამყარა სვინდალის პოზიციები სწრაფდაშვებისა და საერთო ჩათვლაში, რომელშიც ის თავის უახლოეს მდევარს 195 ქულით უგებს.

რაიხელტმა შარშან მოიგო ბორმიოში სწრაფდაშვება, როცა სვინდალს მხოლოდ ერთი მეასედით აჯობა. ავსტრიელს შეუძლია ისევ კმაყოფილი იყოს საკუთარი შედეგით, რადგან დისტანციაზე მხოლოდ მეოთხე დროს აჩვენებდა, მაგრამ ტრასის ბოლო ნაწილი შესანიშნავად გაიარა. რაიხელტისთვის ეს იყო მესამე პოდიუმი სეზონში, თუმცა მის აქტივში არც ერთი გამარჯვება არ არის.

■ ■ ■

ქალებს შორის მსოფლიოს თასის მერვე ეტაპს ავსტრიის ქალაქმა ლინცმა უმასპინძლა. აქ სლალომში გამარჯვება ავსტრიელმა **მარლის შილდმა** მოიპოვა, თან მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ორი ცდის ჯამში, 32 წლის შილდმა წუთი და 55.63 წამი დააფიქსირა. ეს იყო 32 წლის სპორტსმენის 35-ე გამარჯვება სლალომში. წინა რეკორდი ლეგენდარულ შვეიცარიელ **ფრენი შნაიდერს** (34) ეკუთვნოდა.

მეორე ადგილი დაიკავა ამერიკელმა **მიკაელა შიფრინმა** (+0.41 წამი), მესამე იყო გერმანელი **მარია რიში** (+0.63).

გენერალურ კლასიფიკაციაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მარია რიშმა** ორი ქულით გაასწრო ლიხტენშტაინის წარმომადგენელ **ტინა ვაირატერს.** სულ ცოტას აგებს ამ წყვილთან ავსტრიელი **ანა ფენინგერი.**



მარლის შილდი

## ვონს ოლიმპიადამდე ვერ ვნახავთ

სამთო თხილამურებში აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექს ჰელდმოზერმა** განაცხადა, რომ **ლინდსი ვონმა**, შესაძლოა, გამოტოვოს ყველა სტარტი სოჭის ოლიმპიადამდე.

ვონი დაბრუნდა ვეილში (კოლორადო) მას შემდეგ, რაც გასულ კვირას, საფრანგეთში მსოფლიოს თასის ეტაპი ვერ დაასრულა მუხლის ტრავმის გამო.

*"ჯერჯერობით მიღებული არ არის გადაწყვეტილება, სად გამოვა ოლიმპიადამდე ვონი. შესაძლოა, ზამთრის თამაშებზე მას საერთოდ არ მოუწიოს სტარტზე გასვლამ"*, - განაცხადა ჰელდმოზერმა.

უფრო ადრე ვარაუდობდნენ, რომ ლინდსი მონაწილეობას მიიღებდა 11 იანვარს, ავსტრიის კურორტ ალტენმარკტში გასამართ სწრაფდაშვებაში.

სოჭში მედლები სწრაფდაშვებასა და სუპერ-გიგანტში 12 და 15 თებერვალს გათამაშდება. ვონმა 2010 წელს, ვანკუვერში ამ დისციპლინებში ოქრო და ბრინჯაო მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# გაუძელი, შუმი!

**ლეგენდარული მიხაელ შუმახერის** ტრავმამ, რომელიც მან საფრანგეთის კურორტ მერიბელში თხილამურებით სრიალის დროს მიიღო, შესაძლოა, სერიოზული გავლენა იქონიოს გერმანელის ჯანმრთელობაზე, ვიდრე ამას უფრო ადრე ვარაუდობდნენ.

თუ თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ დაცემისას მიღებული თავის ქალის ტრავმა სიცოცხლისთვის საშიში არ იყო, გვიან ღამისთვის სიტუაცია კარდინალურად უარესობისკენ შეიცვალა.

როგორც გაზეთი Le Dauphine Libere, აგრეთვე რამდენიმე ფრანგული გაზეთი წერს, გრენბოლის საავადმყოფოში მოთავსებულ მიხაელ შუმახერს ტვინში სისხლის ჩაქცევა დაუდგინეს, ასე რომ, ყოფილი პილოტის სიცოცხლის საფრთხე სერიოზულად გაიზარდა.

გუშინ, ყოველ წუთს ვრცელდებოდა დაუდასტურებელი თუ ოფიციალური ინფორმაციები „ფერერის“ ყოფილი პილოტის ჯანმრთელობის შესახებ. მოგვიანებით, შუმის მენეჯმენტის ოფიციალური განცხადება გავრცელდა: მიხაელი კომაში ჩავარდა და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.


ექიმების პრესკონფერენცია

თბილისის დროით დაახლოებით 18 საათზე, გრენობლის კლინიკაში გაიმართა ექიმების პრესკონფერენცია. მათ დაადასტურეს, რომ გერმანელი კომაში იყო, როცა ის საავადმყოფოში მიიყვანეს. ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, ჰემატომის მოშორება მოხერხდა, მაგრამ შუმის სხვა დაზიანებებიც აღმოაჩნდა. ლეგენდარული პილოტი ინტენსიური თერაპიის ცალკე პალატაში გადაიყვანეს. ამის შემდეგ საჭირო გახდა გერმანელის ხელოვნური კომაში შეყვანა. ამ მომენტისთვის, პილოტის სხეულის ტემპერატურა 34-დან 35 გრადუსამდე მერყეობს.

ექიმებმა უარყვეს ადრე გავრცელებული ინფორმაცია ღამით ჩატარებული მეორე ოპერაციის შესახებ. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ შუმახერი სიცოცხლისთვის იბრძვის, მაგრამ ამჟამად შეუძლებელია რაიმე პროგნოზის გაკეთება, რადგან გერმანელის მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია. ექიმების თქმით, მიხაელს დაცემის მომენტში ჩაფხუტის გარეშე რომ ყოფილიყო, გადარჩენის არანაირი შანსი არ ექნებოდა.

ველოდებით მოვლენათა განვითარებას და მხოლოდ კარგ ამბებს...

**გია თვალაბეიშვილი**

არ გამოგრჩეთ იანვრის ნომერი!







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
**საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**